ნანა ლომჯარია

# სკივრში ნაპოვნი ზღაპრებიდან

# საქარია

## თავი პირველი

## უფლისწულის დაბადება

უხსოვარ დროს, ძალიან დიდი ხნის წინათ, სრულიად საქარიას მეფობდა ძლევამოსილი, კეთილშობილი და ძლიერ მწიგნობარი მეფე აბესალ მეშვიდე. ექვსი ქალიშვილი ჰყავდა მეფე აბესალს, ვაჟი კი არ ეძლეოდა.

_ ექვსი მზეთუნახავი ქალიშვილის მამას, ერთი გონჯი ვაჟი როგორ არ მომცა ღმერთმა, საქარია უპატრონოდ როგორ დავტოვო, სიძეებისთვის როგორ დფავაქუცმაცო. _ ფიქრობდა აბესალი, თავის უმშვენიერეს ცოლს სევდიანი თვალებით შესცქეროდა, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდა.

მოსაღამოვდა, მზე ჩავიდა, ბინდი ჩამოწვა. უეცრად დარბაზში მოხუცი გრძნეული-ეფროსი შემოვიდა.

_ რას მივაწერო შენი უეცარი სტუმრობა?!!! _ ჰკითხა გაოცებულმა მეფემ გრძნეულს.

_ არ შეგაწუხებდი დიდო მეფეო, მაგრამ დრო აღარ ი თმენს, _ უპასუხა გრძნეულმა. _ უმთვარო ღამის ძალები გვიტევენ. ექვს წელზე მეტია სრულიად საქარია ამაოდ ელოდება მემკვიდრეს. შენ რომ ტახტი ჩაიბარე, მე და სხვა გრძნეულებმა შვიდი წლის ვადა დაგითქვით. დროის ამოწურვის შემდეგ, უმთვარო ღამის სამეფო უფლებას იტოვებს თვითონ დაასახელოს მემკვიდრე და მეფედ აკურთხოს იგი, რაც უმთვარო ღამის სამეფოს მიერ სრულიად საქარიის დაპყრობის ტოლფასია.

_ გამოსავალი! გამოსავალი მომიძებნე!!!, შენ ხომ გრძნეული ხარ!!! _ ეფროსმა თავი დახარა, ცოტა ხნით გაირინდა და მეფეს მიმართა.

_ გამოსავალი არსებობს, მაგრამ ძალიან ძნელი შესასრულებელია. პირველ რიგში, სანამ მემკვიდრე დაიბადება საქარიაში მზე არ ამოვა. იქნება ბინდი. არა ღამე, არამედ უმზეო დღე.

_ ხალხი შიმშილით დამეხოცება _ შესძახა სასოწარკვეთილმა მეფემ. მოხუცმა თითქოს ვერ გაიგო მეფის ნათქვამი და განაგრძო:

_ რაც შეეხება გამოსავალს. ერთი გზა გაქვს, უნდა წახვიდე მარტო, გადაიარო შვიდი მთა და გადაცურო შვიდი ზღვა, გაიარო შვიდი უღრანი ტყე და გადაცურო შვიდი მდინარე, გაიარო შვიდი უდაბნო და გადაცურო შვიდი ტბა. ბოლოს, შეგხვდება უზარმაზარი თოვლიანი მთა. რომ მიადგები, მწვერვალზე ახვალ და გაჩერდები. იქ დაელოდები მათ შეხვედრას.

_ ვის შეხვედრას? ვის უნდა შევხვდე? _ ჰკითხა გაოცებულმა მეფემ.

_ მზე რომ ჩადის, იმ მთას ეფარება ხოლმე, მაგრამ ჩასვლისას ერთი წამით ყოვნდება. ელოდება მთვარის ამოსვლას, რომელიც იმავე მთიდან ამოდის. ელოდება, რათა ერთი წამით მაინც შეავლოს თვალი მას, ვისაც საუკუნეებია ეთაყვანება, სამყაროს შექმნიდან დღემდე. ვისი სიყვარულითაც უიმედოდ იწვის და იტანჯება. ასევეა მთვარეც, მთის მეორე მხრიდან ამოსრიალდება, ამონარნარდება. თვალებდახრილი მზის მწველ სხივებს შეეგებება, წამით

შეჩერდება, ხელს გაუწვდის მზეს, რათა ერთხელ მაინც შეეხოს თავის მარადიულ სიყვარულს და..... ორივე გზას სხვადასხვა მიმართულებით განაგრძობს.

სწორედ ის ერთი წამი გაქვს, შენი სურვილის შესრულება რომ სთხოვო, შენი გასაჭირი შეავედრო მათ სიყვარულს. დანარჩენი მათზეა დამოკიდებული. აი ეს არის ერთადერთი გამოსავალი.

მოხუცმა გრძნეულმა დაასრულა საუბარი, თავი დახარა და გაუჩინარდა.

_ ჩქარა ცხენი!!! ჩემი უსწრაფესი ცხენი მომგვარეთ!!! _ დაიძახა მეფემ. შემდეგ დედოფალს მიეახლა, შუბლზე ეამბორა, კიბე ჩაირბინა, ცხენს მოახტა და გააჭენა.

ექვსი მთა გადაიარა, მეშვიდე მთის ძირას ცხენმა წაიფორხილა. აბესალმა სვლა შეანელა, "ცხენმა დაისვენოს და ცოტა ბალახიც მოძოვოსო". მაგრამ ცხენი ყალყზე დადგა და დაიჭიხვინა, თითქოს რაღაცამ დააფრთხოო. უცებ მთა შეტორტმანდა და გოლიათ კაცს დაემსგავსა.

_ საით გაგიწევია ადამის შვილო? _ საზარლად დაიქუხა მთა-კაცმა.

_ მზესთან შესახვედრად მივდივარ დიდო მთაო.

_ ვაჟიშვილი მოგინდა მეფეო? _ გადაიხარხარა მთამ. _ ერთი პირობით გაგიშვებ.

_ რა პირობოთ?

_ შენი უფროსი ქალიშვილი ცოლად უნდა მომათხოვო. 16 წლის რომ გახდება, მე თვითონ მოვაკითხავ.

"ამ მახინჯ და საზარელ კაცს ჩემი მზეთუნახავი როგორ მივათხოვო, თანაც ეს ხომ მთაა, ნეტავ ცოლი რად უნდა?" _ ფიქრობდა მეფე, მაგრამ იცოდა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ქვეყანა იღუპებოდა, ხალხი დაიხოცებოდა და მაშინ აღარც მის ქალიშვილებს დაადგებოდათ კარგი დღე.

_ თანახმა ვარ! _ უპასუხა მეფემ.

_ არც ინანებ! _ იყო პასუხი. კაცი-მთა შეტორტმანდა, ერთი ამოიგმინა და ჩვეულებრივ მთად გადაიქცა.

მეფე აბესალმა გზა განაგრძო, გული კი დამძიმებული ჰქონდა. ექვსი ზღვა გადაცურა, მეშვიდეს მიადგა, ის იყო წყალში უნდა შესულიყო, რომ ცხენი ყალყზე დადგა. წინ არ წავიდა. ზღვა ადუღდა, ტალღა ტალღას ეხეთქებოდა, თითქოს აბესალი თავის ცხენიანად უნდა შთანთქასო. უეცრად ზღვიდან წყლის დიდი სვეტი ამოიმართა და მეფის წინ კაცი-ზღვა გაჩნდა.

_ საით გაგიწევია?! _ ჰკითხა კაცი-ზღვამ ისეთი ხრინწიანი ხმით გეგონება გაციებულიაო, თან დააცემინა კიდეც.

_ მზესთან მივდივარ, გამიშვი!

_ მზესთან კარგია, თბილა, სიმშრალეა _ მძიმედ ლაპარაკობდა, უფრო ბურდღუნებდა კაცი-ზღვა. _ გაგიშვებ, თუ შენს მეორე ქალიშვილს ცოლად მომათხოვებ.

_ მოგათხოვებ, მაგრამ წყალში როგორ უნდა იცხოვროს?

_ ფეხის თითის წვერიც არ დაუსველდება. 16 წლის რომ გახდება მე თვითონ მოვაკითხავ. არ ინანებ.

ამ სიტყვების შემდეგ კაცი-ზღვა გაქრა, ზღვა დაწყნარდა და როგორ აღმოჩნდა მეფე აბესალი ზღვის მეორე ნაპირზე, ვერც კი მიხვდა. გული კიდევ უფრო დაუმძიმდა.

მეფე უღრან ტყეს შეუყვა. ექვსი გაუვალი ტყე რის ვაი-ვაგლახით გაიარა. მეშვიდე ტყეს რომ მიუახლოვდა, გაოცდა. აქ თითქოს წელიწადის სხვა დრო დამდგარიყო. გარშემო ყველაფერი დაბერებულიყო. გაშიშვლებული, მოხუცის თითებივით დაკრუნჩხული ხის ტოტები და ბუჩქები მალულად უბღვერდნენ მეფე აბესალს.

უეცრად მის წინ უზარმაზარი კაცი-ტყე წამოიმართა. ტანზე გამხმარი ფოთლების სამოსი ეცვა, თავზეც გამხმარი ფოთლების გვირგვინი ედგა.

_ გამარჯობა აბესალ! _ მიესალმა კაცი-ტყე.

_ გაგიმარჯოს! რას მთხოვ, მესამე ქალიშვ ილს? _ ჰკითხა მეფემ იმ იმედით, იქნებ ვცდებიო.

_ მიხვედრილი ყოფილხარ აბესალ, მალე მოგაკითხავ. 16 წლის რომ გახდება შენი მესამე ქალიშვილი გაამზადე. მზითევი არ მჭირდება.

კაცი-ტყე გაქრა, გაოგნებული მეფე მდინარის პირას იდგა. შვიდი მდინარე უნდა გადაეცურა. უკვე იცოდა წინ რაც ელოდა. ექვსი მდინარე რომ გადაცურა და მეშვიდეს მიადგა, თვითონ დაუძახა.

_ გამოდი, სადა ხარ, შენც ალბათ ჩემი სიძეობა გინდა! მეჩვენე!

წყლიდან კაცი-მდინარე ამოიმართა. უსიამოვნო შესახედი იყო. სლიპინა როგორც თევზი და ცივი როგორც მთის მდინარის წყალი.

_ მოვილაპარაკეთ? თუ შეგთავაზო რამე? _ ჰკითხა კაცი -მდინარემ. აბესალმა თავი დახარა. _ მაშინ შენი მეოთხე ქალიშვილი 16 წლის რომ გახდება მოვაკითხავ. ქორწილზე არც იფიქრო, ყველაფერზე მე ვიზრუნებ, _ ხითხითით მიუგო მომავალმა "სასიძომ" და გაქრა.

ერთი და იგივე მეორდებოდა. ახლა, შვიდი უდაბნო და შვიდი ტბა ჰქონდა გასავლელი. ქალიშვილიც ორი დარჩა გასათხოვარი. "ვიღუპები", ფიქრობდა აბესალი. "ქალიშვილები გავწირე, განა მე მამა ვარ ამის შემდეგ? მაგრამ საქარიას რა ვუყო, უმთვარო ღამის სამეფო დაიპყრობს და ყველას მონებად აქცევს. ჩემს ქალიშვილებს ამოხოცავს. ასე რომ, გამოსავალი მაინც არ არის. ეს ყოფილა ჩემი ბედი, უფრო სწორედ ჩემი უბედურება."

მეფე აბესალმა კაცი-უდაბნო და კაცი-ტბა თვითონ გამოიძახა.

_ კაცი-უდაბნო! კაცი-ტბა! სად ხართ?!!! მეჩვენეთ!!! _ ორივენი მის წინ გაჩნდნენ.

_ გ ამარჯობა მეფე აბესალ! როგორც მივხვდით ქალიშვილებზე უნდა გვესაუბრო. გასარკვევი არაფერია, ბედის წიგნში ასე წერია. 16 წლისები რომ გახდებიან მოგაკითხავთ, არ ინანებ, დაგვიჯერე. _ ორ ხმაში ლაპარაკობდნენ მომავალი სასიძოები. უფრო სწორედ, ერთი თითქოს სისინებდა, მეორე კი ბუყბუყებდა.

ყველაფერი დამთავრდა. გზაც დასრულდა. მეფე თოვლიან მთას მიადგა. აბესალი ცხენიდან ჩამოვიდა და მწვერვალს ფეხით აუყვა. საღამოვდებოდა, მზის ჩასვლა ახლოვდებოდა. ბუნება, თითქოს რაღაცის მოლოდინში გარინდულიყო. აბესალი დაძაბული შესცქეროდა თუ როგორ უახლოვდებოდა მზე მთის მწვერვალს. ცოტაც და მიუახლოვდა. სხივების სიკაშკაშემ იკლო, შერბილდა, თითქოს ვიღაცას უნდა მიელამუნოსო.

მთის მეორე მხრიდან ჯერ მოცისფრო შუქმა ამოანათა, შემდეგ კი თითქოს დარცხვენილი მთვარე ნელ-ნელა ამოსრიალდა.

ორივე ერთდროულად შეყოვნდა, თითქოს დროც გაჩერდა, ნიავი არ იძვროდა, მდინარის ხმაურიც ყურს აღარ სწვდებოდა. მეფე აბესალი შეტოკდა.

_ ქვეყანა მეღუპება მემკვიდრის არყოლის გამო. მე დავინახე თქვენი სიყვარულის ძალა, მიშველეთ!

_ გეყოფა!!! _ დაიგრგვინა მზემ.

_ ცოტა ჩუმად _ დაიჩურჩულა მთვარე მ და გაიღიმა. მზემ მთვარეს გადახედა, მისი გაღიმებული სახე რომ დაინახა, მეფეს ჩამოსძახა.

_ დღეს შენი ვადა იწურებოდა, ვიცით შენი ამბავი. კარგ დროს მოსულხარ, გელოდებოდით. მე, ცეცხლივით ძლიერ ვაჟს გაჩუქებ.

_ მე კი სილამაზეს, სისადავეს და მშვიდ ხასიათს ვუბოძ ებ მომავალ უფლისწულს_ ჩამოუჩურჩულა მთვარემ.

იმწამსვე მზე მთას მიეფარა, მთვარე კი ასრიალდა ცაზე და განაგრძო უსასრულო მოგზაურობა. მეფე აბესალი იდგა გაოგნებული. ქარი თმას უწეწავდა. შორიდან მდინარის ხმაური ისმოდა, ცხოვრება გრძელდებოდა.

_ ნეტავ მომეჩვენა ეს ყ ველაფერი? ღმერთო მაღალო შენ დამიფარე. _ ამ სიტყვებით დაუყვა მეფე დაღმართს, ცხენს მოახტა და საქარიისაკენ გააჭენა.

უკანა გზა ბევრად სწრაფად გაიარა, თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. ცხენიდან გადმოხტა. სასახლესთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მიუხედავად იმისა, რომ ისევ ბინდი იდგა, ყველა იცინოდა. მეფეს ცოტა არ იყოს გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უკითხავს. პირდაპირ დედოფალთან შეირბინა. დედოფალი სავარძელში იჯდა და უცნაურად იღიმოდა.

_ მთვარის ამოსვლას ველოდები, ფეხმძიმედ ვარ, ვაჟი გვეყოლება. _ უთხრა მეუღლეს და ისევ ფანჯრისაკენ მიბრუნდა.

_ მთვარეს რად ელოდები?

_ მინდა მოვეთათბირო, რა დავარქვა.

_ შენ რა, მთვარეს ესაუბრე?

_ ჰო, მან მიამბო შენი მოგზაურობის ამბავი. ისიც მითხრა: “თქვენი შვილი, ჩვენი შვილიც იქნება, ჩვენ მას დავიცავთო.

_ კარგი, მოიფიქრეთ სახელი, ოღონდ იცოდე, ტახტის მემკვიდრეს სახელიც შესაფერისი უნდა ჰქონდეს.

გავიდა ხანი, მეფეს ვაჟი შეეძინა. გათენდა, მზე ამოვიდა, მზემ ამაყად გადმოხედა აკვანში მძინარე უფლისწულს და გზა განაგრძო.

“იანგული” ჩაესმა მეფეს.

_ იანგულ პირველი, არა უშავს, ჟღერს _ გაიფიქრა მეფემ და დარბაზისაკენ გასწია, სადაც უკვე სადღესასწაულო სუფრები გაემზადებინათ. ქეიფი შვიდი დღე და ღამე უნდა გაგრძელებულიყო.

## თავი მეორე

## უმთვარო ღამის სამეფო

ქვეყანაში სიბნელეს და სიცივეს დაესადგურებინა. ეს ის სიცივე და სიბნელე არ გეგონოთ დილას მზე რომ ამოვა, გათენდება და გამოთბება კიდეც. ამ სამეფოში არასოდეს თენდებოდა და მზეც არასოდეს ამოდიოდა, აქედან გამომდინარე, არც არასოდეს თბებოდა ჰაერი. არ ყვაოდა ყვავილი, არ ხარობდა ხეხილი და არასოდეს ჭიკჭიკებდნენ ჩიტები. აქა-იქ გამხმარ, გამოფიტულ ხის ტოტებს თუ წააწყდებოდა კაცი, რომელსაც იმ წუთში ხელს დასტაცებდა და სახლისაკენ გაარბენინებდა, ცეცხლში რომ შეეკეთებინა.

ქვეყანას მართავდა ფიზიკურად ძალიან ძლიერი, მაგრამ ულმობელი, სასტიკი და ძალიან ბოროტი მეფე ქამეხი. ქამეხი მეტად დაუნდობელი კაცი იყო, გარეშე მტრებს კი არა, შინაურებსაც არ ინდობდა. რაც ტახტი ჩაიბარა, ქვეყანაში სისხლის ტბები დააყენა. ვინც მას არ ეთანხმებოდა, ყველას თავს ჭრიდა ან ჩამოახრჩობდა. უფრო, თავის მოკვეთა სიამოვნებდა, რადგან სისხლი უყვარდა.

ქამეხის და აბესალის მამები ძმები იყვნენ. სიამტკბილობაში ცხოვრობდნენ, თავთავიან ქვეყნებს მართავდნენ და ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს. ისინი ხომ მეზობლებიც იყვნენ.

უმთვარო ღამის სამეფო ერთ დროს საქარიის ნაწილი იყო, აქაც ასევე ამოდიოდა მზე და ბიბინებდა ბალახი. ხალხი ხვნა-თესვით იყო დაკავებული და ყველა ბედნიერად ცხოვრობდა.

ქამეხის გამეფების შემდეგ, ყველაფერი შეიცვალა. სახელმწიფოში ბოროტება, დასმენა, შური და სიძულვილი გამეფდა. მზემ და მთვარემ ვეღარ გაუძლეს ამდენი სისასტიკის ყურებას, გააფრთხილეს მეფე ქამეხი გონს მოსულიყო, მაგრამ ქამეხმა ყურად არ იღო მათი რჩევა. პირიქით, დაცინვით უპასუხა: "წადით და ჩემი სამეფოს თავზე აღარ დაგინახოთ. მე თვითონ გავანათებ ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს სინათლე არ სჭირდება, ბნელი საქმეები სიბნელეში უკეთ კეთდება. ჰა, ჰა, ჰა" _ თან გადაიხარხარა და მზეს ზურგი შეაქცია. ამის შემდეგ ქვეყანას "უმთვარო ღამის სამეფო" ეწოდა.

ქამეხის ოცნება საქარიის დაპყრობა იყო, დიდძალი ჯარი ჰყავდა, მაგრამ თავდასხმას ვერ ბედავდა, იმიტომ რომ, მეფე აბესალს გარდა თავისი ლაშქრისა, ომის შემთხვევაში გლეხებიც და არა მარტო თავისი, მეზობელი ქვეყნის ჯარებიც დაეხმარებოდნენ. ამიტომ ქამეხი კიდევ უფრო გამწარდა და გაბოროტდა, როდესაც პატარა იანგულის დაბადება შეიტყო. გადაწყვიტა თავისი უძლეველი ლაშქარი შეეკრიბა და საქარიაზე თავდასხმა განეხორციელებინა.

ქამეხს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, სახელად ელინი. ელინი რომ დაიბადა, ქვეყანაში უკვე სიბნელე და სიცივე სუფევდა. მას არასოდეს ენახა მზე, მთვარე და არასოდეს შეეგრძნო ყვავილის სურნელი. ელინს ვრც კი წარმოედგინა რომ სამყაროში არსებობს ქვეყნები, სადაც მუდამ არის სითბო, სინათლე და სიყვარული.

ელინს სეირნობა უყვარდა. მიუხედავად სიბნელისა, ყველა ბილიკი ზეპირად იცოდა. საათობით სეირნობდა, ხანდახან შემთხვევით გზააბნეული ობობა ან ჭიანჭველა შეხვდებოდა და მათ ესაუბრებოდა. ელინი მათ თავის მეგობრებს უწოდებდა.

ერთხელ სეირნობის დროს, ელინს გზა აებნა და შემთხვევით ქვეყნის საზღვარს მიუახლოვდა. შორს, რაღაც ბრჭყვიალი შენიშნა, ასეთი რამ არასოდეს უნახავს. გაიქცა იქით, საიდანაც სინათლე მოდიოდა. უცნაური შეგრძნება დაეუფლა, ტანში სითბო ჩაეღვარა, თითქოს ვიღაც მის სულს ეფერებაო. წუთიც და სინათლეში აღმოჩნდა. შემთხვევით მზის სხივი სახეზე მოხვდა.

_ ვინ ხარ? _ ჰკითხა მზის სხივმა.

_ მე ელინი ვარ _ უპასუხა გოგონამ.

_ ქამეხის ქალიშვილი? _ ბრაზიანად ჩაეკითხა სხივი.

_ დიახ _ იყო პასუხი.

_ ლამაზი ხარ, ძალიან მეცოდები რომ შენს სილამაზეს ვერავინ ხედავს. აიღე საჩუქარი, ოღონდ არავის აჩვენო. _ მზის სხივი შეტრიალდა და ღრუბელს მიეფარა.

ელინმა ხელისგულს დახედა. ზედ პატარა, ბრჭყვიალა, თბილი და მრგვალი რაღაც ედო. ელინმა პირველად ცხოვრებაში გადაიკისკისა. ცეკვა და სიმღერა მოუნდა, მაგრამ არც ერთი იცოდა და არც მეორე. უმთვარო ღამის სამეფოში ცეკვა-სიმღერა ელინის დაბადებამდე აიკრძალა და ხალხმაც მალე მიივიწყა სიმღერა, სევდიანიც კი. ქვეყანაში ნებადართული მხოლოდ ტირილი და ხმამაღალი გოდება იყო.

ელინმა მზის პატარა სხივი ჯიბეში ჩაიდო, მაგრამ სხივი მაინც ანათებდა.
ელინი შეშინდა ვინმემ არ დამინახოს და არ წამართვასო. მზის სხივი ცხვირსახოცში გაახვია და უბეში დამალა. ეს ისეთი სიამოვნება იყო, რომ ელინმა გაიფიქრა: "ეს რომ დავკარგო, ჩემი სიცოცხლეც დამთავრდებაო". შემდეგ აქეთ-იქით მიმოიხედა და სასახლის გზას დაუწყო ძებნა.

_ ელინ! ელინ! _ მოესმა ძახილი, მას უკვე ეძებდნენ. ელინმა ისევ მოწყენილი სახე მიიღო და თავისიანებს შეეგება. ეს მცველები იყვნენ, რომლებმაც სასახლემდე მშვიდობიანად მიაცილეს მეფის ქალიშვილი.

მეფე ქამეხი კი ამ დროს თავის ლაშქარს აგროვებდა და საქარიაზე თავდასხმისათვის ემზადებოდა.

## თავი მესამე

## პირველი ბრძოლა და უფროსი ქალიშვილის გათხოვება

ჯერ არ გათენებულიყო, მთელ სამეფოს ეძინა. ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდა. მხოლოდ მეფე აბესალი ფხიზლობდა. ძალიან დარდიანი იყო. დღეს მისი უფროსი ქალიშვილი 16 წლის ხდებოდა და პირობის თანახმად მთა-კაცისათვის უნდა გაეტანებინა ცოლად. ამის გაფიქრებაც კი გულს უკლავდა მეფეს. რაც აბესალმა ცოლ-შვილს გაუმხილა სიმართლე, მას მერე ქალებს თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ. უცებ სასახლის კარზე ბრახუნი და ყვირილი გაისმა.

_შიკრიკი მოვიდა, შიკრიკი! _ აბესალმა სასწრაფოდ ჩაიცვა და დარბაზში ჩავიდა. შიკრიკი მუხლებზე დაეცა, იქვე მეფის ერთგული მხედართმთავრებიც იდგნენ.

_ დიდო მეფეო! უმთვარო ღამის სამეფოს ჯარი გვიახლოვდება, სადაცაა საზღვარს გადმოვლენ, ძალიან ბევრნი არიან, ძნელი იქნება მათთან გამკლავება. რა ვიღონოთ?

მეფე აბესალი დაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

_ შიკრიკები გაგზავნეთ მე ზობელ ქვეყნებში, ჯარი მოგვახმარონ. მხედართმთავრებო! ახლავე შეკრიბეთ ხალხი! ათ წუთში გავდივართ. საზღვართან დავხვდეთ, ეგებ ქვეყანა არ ავაოხრებინოთ. ჩაცმაში მომეხმარე! _ მიუბრუნდა აბესალი თავის მსახურს და ჩქარი ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან.

ათ წუთში სრულიად საქარიის არმია მზადყოფნაში იყო და მწყობრი ნაბიჯით საზღვრისაკენ მიემართებოდა.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა საქარიისა და უმთვარო ღამის სამეფოს ჯარებს შორის. მეორენი უტევდნენ და ნელ-ნელა ავიწროვებდნენ მეფე აბესალის ხალხს.

უცებ შორიდან ძლიერი გრუხუნი გაისმა, თითქოს მიწა იძრაო. მეომრები შეჩერდნენ, მტერი სულ გადაავიწყდათ.

_ მთებო! კლდეებო! ლოდებო! ჩემსკენ გამოეშურეთ! _ დაიქუხა ხმამ და ხალხმა დაინახა, უზარმაზარი კაცი-მთა ბრძოლის ველისაკენ როგორ მოემართებოდა. ქამეხის ჯარისაკენ მიიწევდა, თან ათასი კლდე და ლოდი მოჰყვებოდა. კაცი-მთა მეომრებში შეიჭრა და ერთიანად გაავლო მუსრი უმთვარო ღამის სამეფოს უძლეველ არმიას. რამოდენიმე კაცმა ქამეხის მეთაურობით მოასწრო გაქცევა და ისევ სიბნელეს შეაფარეს თავი.

_ მადლობას გიხდი მთაო! _ აბესალი მთა -კაცს მიუახლოვდა _ შენ რომ არა, წინააღმდეგობის გაწევა ძალიან გაგვიჭირდებოდა.

_ ხომ გითხარი, არ ინანებ მეთქი, წამიყვანე ახლა შენს ქალიშვილთან.

შორს წასვლა არ დასჭირვებიათ, რადგან სასახლეში ხმა გავარდა: “მთა-კაცმა ქამეხის ჯარი ერთი ხელის მოსმით დაამარცხაო”. მეფე აბესალის უფროსი ქალიშვილიც თავისი მხლებლებით გამოიქცა სასწაულის სანახავად. კაცი-მთა რომ დაინახა, მხოლოდ ისღა გაიფიქრა _ ‘ვაიმე რამხელაააო”. მივიდა ახლოს და მიმართა: _ მადლობას მოგახსენებ მთაო_ გოგონა თითის წვერებზე აიწია და მთა-კაცს ეამბორა. მთა-კაცი შეტორტმანდა, აძაგძაგდა, რაღაც უცნაური სხივები შემოერტყა გარს. უეცრად მთა თითქოს ჩამოიფშხვნაო, აქეთ-იქით

მიმოიფანტა და დარჩა ულამაზესი ყმაწვილი, რომელიც გაკვირვებული და ამავე დროს შეყვარებული თვალებით შესცქეროდა მომავალ მეუღლეს. Gოგონამ სიხარულისაგან შეჰკივლა.

_ შენ რომ არ გეკოცნა ჩემთვის, სამუდამოდ მთად დავრჩებოდი. ბავშვობაში მომაჯადოვა უმთვარო ღამის გრძნეულმა. ახლა კი შენი წყალობით, ისევ ადამიანი ვარ. ცოლად გამომყვები?

_ მე ამაზე ვოცნებობ _ იყო პასუხი. გარშემო კლდეები და ლოდებიც ადამიანებად ქცეულიყვნენ, თურმე საქმროს მხლებლები იყვნენ. მეფე აბესალი გაოგნებული იდგა, უცებ გამოერკვა.

_ შენ მთიალეთის სამთავროს უფლისწული ხარ? მე მგონი არ მეშლება.

_ დიახ, დიდო მეფეო! თხუთმეტი წლის წინ მომაჯადოვა ქამეხის გრძნეულმა. ქვეყანა კი მისმა ხალხმა დაიპყრო. მხოლოდ შენი ქალიშვილის კოცნა მომიხსნიდა ჯადოს. მე თხუთმეტი წელია ჩემი მწვერვალიდან ვადევნებდი მას თვალს. დაბადებისთანავე შემიყვარდა. ვიფიქრე, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ცოლად უნდა მოვიყვანო-მეთქი. ასეც მოხდა, მე უბედნიერესი კაცი ვარ.

_ სახლში წავიდეთ, დღეს ქორწილი გვაქვს.

_ არა, მე ჯერ ჩემი სამეფო უნდა ვნახო. თ ხუთმეტი წელია არ ვყოფილვარ იქ. რა მდგომარეობაშია არ ვიცი. _ უპასუხა მთა-კაცმა.

_ ჯერ ქორწილი, შემდეგ კი ჩემს ხალხს გაგაყოლებ და ისინი მოგეხმარებისნ წესრიგის აღდგენაში.

_ იქ ქამეხის ხალხია გაბატონებული.

_ არა მგონია ქამეხს იმდენი ძალა ჰქონდეს, რომ შენი ს ამეფოს შენარჩუნება შესძლოს. ერთად დავიბრუნებთ მთიალეთს. არ იდარდო.

მეფე, მთა-კაცი, მისი საცოლე და მხლებლები სასახლისაკენ გაემართნენ, სადაც უკვე საქორწილო სუფრები იშლებოდა.

## თავი მეოთხე

## მთიალეთის გათავისუფლება

შვიდი დღე და ღამე სუფრა არ ალაგებულა მეფე აბესალის სასახლეში. დიდი თუ პატარა, ყველა გახარებული იყო მეფის უფროსი ქალიშვილისა და მთიალეთის უფლისწულის დაქორწინებით.

მერვე დღეს აბესალმა ჯარი შეკრიბა, ჯარს სათავეში კაცი-მთა ჩაუდგა და ყველამ ერთად გზა მთიალეთისაკენ აიღო.

ნელ_ნელა ბინდდებოდა. ხეებს ფოთლები შემოძარცვოდა. კაცი_მთა გაკვირვებული იყურებოდა აქეთ-იქით.

_ რა ხდება, რატომ დაბნელდა, ჯერ ხომ შუადღეა?

_ ქვეყნები, რომლებიც უმთვარო ღამის სამეფოს მბრძანებელს, მეფე ქამეხს აქვს დაპყრობილი, მოიძულეს მზემ და მთვარემ. თუ დროზე არ გავათავისუფლეთ, იქაც სამუდამო სიბნელე და სიცივე დაისადგურებს. _ უპასუხა კაცი-მთას მეფე აბესალის ჯარების სარდალმა.

ჯარი მთიალეთს მიუახლოვდა, ალყა შემოარტყა ქამეხის მიერ დაპყრობილ ტერიტორიას, რამოდენიმე მხრიდან შეუტია და ნელ-ნელა შევიწროვება დაუწყო. უცებ მტრის ჯარის შუაგულში წყლის დიდი სვეტი ამოიმართა, უზარმაზარ ტალღებად იქცა და უმთვარო ღამის

სამეფოს მეომრები ზღვისკენ წალეკა. ზღვამ ერთიანად შთანთქა მეომრებიცა და მათი მეთაურებიც.

_ ეს შენ ხარ ძმაო? _ გახარებულმა წამოიძახა მთა -კაცმა და წყლის სვეტისაკენ გაიქცა. წყლის სვეტი ნელ-ნელა ადამიანის გამოსახულებას იღებდა და ბოლოს ულამაზეს ყმაწვილად გადაიქცა., რომელიც საოცრად ჰგავდა მთა-კაცს.

_ შენა ხარ? _ მთა-კაცს ცრემლები ღვარად მოედინებოდა სახეზე.

_ მე ვარ მე! _ იცინოდა კაცი-ზღვა და მთა-კაცს გულში იკრავდა.

_ ქამეხის ჯარი განადგურებულია, დროა ჩვენი ძმებიც გავათავისუფლოთ, ძალიან იტანჯებიან.

_ ქამეხიც უნდა მოვძებნოთ, სანამ ის და მისი ავი გრძნეული ცოცხლები არიან, ჯადო ბოლომდე მოხსნილი არ იქნება.

ამასობაში მზე ამოვიდა, განათდა, ხეებმაც თითქოს სუნთქვა დაიწყეს. იგრძნობოდა, რომ მალე ყველაფერი აყვავდებოდა.

_ ჯერ შენი საცოლე ნახე, იქორწინე, ხომ გახსოვს პირობა? თუ ექვსივე ძმამ, მეფე აბესალის ქალიშვილები არ ვითხოვეთ ცოლად, ჯადოსგან ვერ გავთავისუფლდებით. _ შეახსენა მთა-კაცმა.

_ მე დიდი ხანია ჩემს რჩეულს ვეტრფი, მეფე აბესალის ქალიშვილი რომც არ ყოფილიყო, ცოლად მაინც მას შევირთავდი. _ უპასუხა ზღვა-კაცმა.

მეფე აბესალის ლაშქარი, ძმების მეთაურობით საქარიისაკენ დაიძრა. მეომრების ნაწილი მთიალეთში დატოვეს, ქალაქი რომ დაეცვათ და წესრიგი დაემყარებინათ. იქ ხომ დიდი ხნის განმავლობაში ხალხი მონობაში ცხოვრობდა და ქვეყნის აღსადგენად, დახმარება სჭირდებოდათ.

აბესალი თავის ჯარს ქალაქის შესასვლელთან ელოდებოდა. დედოფალი, ქალიშვილები და უკვე წამოზრდილი იანგულიც თან ახლდა. შორიდან ჯარი გამოჩნდა.

ჯარს ერთი მხედარი გამოეყო და დამხვდურებისაკენ გააჭენა ცხენი.

_ ის არის! ის! _ წამოიძახა აბესალის მეორე ქალიშვილმა. ეს ყმაწვილი მესიზმრებოდა ყოველ ღამე, შენ რომ გიყვებოდი დედა! _ ყმაწვილი, კაცი-ზღვა აღმოჩნდა. მხედარი ქალიშვილთან მიიჭრა, ცხენიდან ჩამოუსვლელად ხელში აიტაცა, გულში ჩაიკრა და აბესალს მიმართა.

_ მეფეო! ამ წუთიდან შენი ქალიშვილი, ჩემი ცოლია. ყველაფრისათვის მადლობას გიხდი. მგზავრობის დროს თუ რამე გაწყენინე, ბოდიში მომითხოვია.

_ ჩამოდი ცხენიდან, და შენი ცოლიც ჩამოსვი. შეისვენეთ, ჯარმაც დაისვენოს და დილით თქვენი ძმების, ჩემი სიძეების გასათავისუფლებლად ერთად დავიძრათ. ზღვა-კაცმა მორიდებით დახარა თავი, საცოლეს ეამბორა და ცხენიდან ფრთხილად ჩამოსვა.

_ აბა, გამარჯვება აღვნიშნოთ, შემდეგ დავისვენოთ, გამთენიისას გავალთ.

_ მამა, მეც წამოვალ. _ გაისმა იანგულის ხმა, _ უმთვარო ღამის სამეფოში ჩემი ბედი, პატარა, უმანკო და ულამაზესი ელინი ცხოვრობს. მას რომ რამე დაუშავდეს, თავს არ ვიცოცხლებ.

_ შენ საიდან იცი შვილო ელინის არსებობა?! ეგ ხომ ქამეხის ქალიშვილია, ჩვენი მოსისხლე მტრის! _ უპასუხა მეფე აბესალმა.

_ ჩვენი მოსისხლე მტერი ქამეხია და არა ელინი! ელინზე მზის სხივებმა მიამბეს, ისინი ჩუმ-ჩუმად ხვდებიან ელინს, ჩემზეც უამბეს ყველაფერი. ის მე მელოდება, იმ ჯურღმულებიდან რომ გავათავისუფლო. უკეთილშობილესი და ულამაზესი არსებაა.

_ რახან ასეა, მე მზეს ვენდობი, ის ყველაფერს ხედავს და სწორად აფასებს. კარგი, წამოდი, ოღონდ იცოდე, გვერდიდან არ მომცილდე. ქამეხს შენი ხელში ჩაგდება უნდა, რათა ამ გზით საქარიაზე გაბატონდეს. აბა სტუმრებო! დარბაზისაკენ გავწიოთ, მეფე-პატარძალი .

ხომ უნდა დავლოცოთ. _ მეფე თავისი ამალით დარბაზისაკენ გაემართა. ჯარისათვის კი სუფრები იქვე ეზოში გაეშალათ. სახეზე ყველას კმაყოფილების ღიმილი უთამაშებდა.

## თავი მეხუთე

## გადამწყვეტი ბრძოლა

გათენებისას საქარიის ლაშქარი მთელი შემადგენლობით შეკრებილიყო. ცხენები ფლოქვებს მოუსვენრად სცემდნენ მიწას, თითქოს მხედრებს აჩქარებდნენ: "გადამწყვეტი ბრძოლა იწყება, ჩვენ არ ჩამოვრჩეთო".

მეფე აბესალი სასახლის კიბეს ჩამოუყვა, ცხენს მოახტა და ჯარს სიტყვით მიმართა:

_ ჯერ უმთვარო ღამის სამეფოზე გავილაშქრებთ, ქამეხი და მისი გრძნეული _ კაცი - გველი უნდა შევიპყროთ. კაცი-გველი თვალით არავის უნახავს, ჯურღმულებში იმალება. მას კაცის ტანი აქვს, რომელზეც ხუთი გველის თავი აბია. მისი დამარცხება ძალზედ რთულია, მაგრამ ერთი სუსტი წერტილი აქვს. მბჟუტავ სინათლესაც ვერ უძლებს. კაშკაშა სინათლეზე კი სულ დაიფერფლება. უმთვარო ღამის სამეფოს დაპყრობისა და კაცი-გველის განადგურების შედეგად, თქვენს ძმებს ჯადო თავისთავად მოეხსნება. _ მიმართა აბესალმა სიძეებს _ მომყევით!!! _ გასცა მან ბრძანება. ჯარი დაიძრა.

გავიდა რამოდენიმე საათი, მეფე თავისი ხალხით ნელ- ნელა უმთვარო ღამის სამეფოს უახლოვდებოდა. ხანდახან შორიახლოს უცნაური ხმები ესმოდათ. ხან თითქოს ტყის შრიალი, ხან მდინარის ხმაური, ან ორივე ხმა ერთად არაბუნებრივ სისინსა და ბუყბუყში გადადიოდა.

_ რა ხდება, რა ხმებია? _ აფორიაქდნენ მეომრები.

_ ნუ ღელავთ ხალხნო, ესენი ჩვენი ძმები არიან, თუ გაგვიჭირდა დაგვეხმარებიან _ ერთხმად უპასუხეს აბესალის სიძეებმა. მეომრები კიდევ უფრო დარწმუნდნენ თავიანთი ლაშქრობის წარმატებაში. მათ კარგად ახსოვდათ როგორ დაეხმარნენ კაცი-მთა და კაცი-ზღვა ქამეხის ჯართან ბრძოლის დროს.

ჯარი ნელ-ნელა უმთვარო ღამის სამეფოს უახლოვდებოდა.

_ წინ აღარაფერი ჩანს, უკუნეთი ღამეა, საით წავიდეთ? _ ისმოდა დაბნეული ჩურჩული.

_ წინ! მხოლოდ და მხოლოდ წინ! უკვე უმთვარო ღამის სამეფოს მივუახლოვდით, _ შესძახა მეფე აბესალმა. შორს, ბინდ-ბუნდში შავებში ჩაცმული ქამეხის მეომრები გამოჩნდნენ. ისინი ნელ-ნელა, უხმაუროდ მოიწევდნენ წინ. ცოტაც და საქარიისა და ქამეხის მეომრები ეკვეთნენ ერთმანეთს. გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა. ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, ბრძოლა სინათლისა _ სიბნელის წინააღმდეგ.

_ საქარიის მეომრებო! უკან დაიხიეთ! _ გაისმა უცნაური, მძიმე, ფოთლების შრიალის მსგავსი ხმა. აბესალის ჯარმა უკან დაიხია. სანამ მოწინააღმდეგეები გაერკვეოდნენ რაშია საქმე, მათ წინ ხეთა ჯარი წამოიმართა.

_ შემომხედეთ! _ გაისმა ბრძანება _ შავმა მეომრებმა აქეთ -იქით მიმოიხედეს, რადგან ხეების გარდა ვერაფერს ხედავდნენ. უეცრად, ფართოდ გახელილი თვალები, ქარბორბალასავით დაბზრიალებული, უდაბნოს ქვიშით ამოევსოთ. ქამეხის ჯარმა უკან დახევა დაიწყო. აირივნენ, ვერც მტერს ხედავდნენ და ვეღარც ერთმანეთს. ხეთა ჯარმა ალყაში მოაქცია შავოსნები, უეცრად საიდანღაც მოვარდნილმა მდინარის წყალმა ფეხქვეშ მიწა გამოაცალა მათ, უძირო ჭაობივით ტბაში უკრა თავი და შიგ ჩაახრჩო.

_ ქამეხი! ქამეხი სად არის?! _ დაიძახა მეფე აბესალმა. შორს, შავ ცხენზე ამხედრებული, შავებში ჩაცმული მხედარი მიჰქროდა.

_ დაეწიეთ! შეიპყარით! _ მიმართა აბესალმა უფროს სიძეს. _ ოცი კაცი წაიყვანე, გეყოფა. დანარჩენები მომყევით! ჩირაღდნები ავანთოთ და კაცი-გველი ვიპოვოთ.

კაცი–მთა ოცი რჩეული მეომრით ქამეხს დაედევნა, დანარჩენები კი უმთვარო ღამის სამეფოში შევიდნენ, ჩირაღდნები აანთეს და ჯურღმულებისაკენ დაიძრნენ.

_ ჯურღმულს, რომელშიც გრძნეული კაცი -გველი იმალება, ორი შესასვლელი აქვს. _ გაისმა გოგონას ნაზი ხმა. მეფე აბესალი თავისი ხალხით შეჩერდა, ყველა გოგონას შეჰყურებდა, რომელიც ზღაპრული ფერიასავით იდგა სიბნელეში და ხელში მზის სხივი უელვარებდა.

_ შენ ელინი ხარ? _ გაისმა იანგულის ხმა, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მიემართებოდა გოგონასაკენ.

_ ელინი ვარ იანგულ! რა ხანია გელოდები, რატომ დაიგვიანე? _ ელინ ი უფლისწულისაკენ გაემართა, იანგული მიუახლოვდა და გოგონა გულში ჩაიკრა.

_ შენ უფრო ლამაზი ყოფილხარ ვიდრე მეგონე, ვიდრე მზე და მთვარე მიყვებოდნენ შენი მშვენიერების შესახებ. არსად აღარ გაგიშვებ, სულ ჩემთან დარჩები ელინ! ცოლად გამომყვები?

_ მე რაც მზის სხივი ვიხილე, მას შემდეგ მხოლოდ შენ გეკუთვნი. მაგრამ ახლა გრძნეულს უნდა მიხედოთ. ჯურღმულის ორივე შესასვლელთან ჩირაღდნებიანი მეომრები უნდა დადგნენ და ნელ-ნელა წაიწიონ წინ, იქ წააწყდებიან გრძნეულს, რომელიც კაშკაშა სინათლეს ვერ გაუძლებს და იქვე დაიფერფლება. ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა ელინი, თან თვალები ეცრემლებოდა, რადგან სინათლეს მიუჩვეველი იყო.

მეფე აბესალი გაოცებული უყურებდა ელინს.

_ ქამეხს, ბოროტ სულს ასეთი მშვენიერი ქალიშვილი როგორ ჰყავს?_ იკითხა მან.

_ მე ქამეხის შვილი არა ვარ. ქამეხმა დედაჩემი ფეხმძიმე მოიტაცა, რომელიც მთიალეთის სახელმწიფოს დედოფალი იყო. მე ექვსი ძმა მყავს. Eელინმა კაცი-ზღვას მიმართა _ მე შენი და ვარ, დედაჩვენი კი გარდაიცვალა. მთიალეთის უფლისწულმა გოგონას ხელები ჩაჰკიდა და ცრემლნარევი ხმით მიმართა:

_ მე ყოველთვის ვოცნებობდი და მყოლოდა, ეს ოცნებაც ამისრულდა. _ ელინი გულში ჩაიკრა და იანგულს გადახედა _ ჩემი ახლადშეძენილი საუნჯე შენთვის ჩამიბარებია იანგულ, უკეთეს სიძეს ვერც ვინატრებდი. ახლა კი წავედით, დრო აღარ ითმენს.

მეომრები ჯურღმულს მიუახლოვდნენ, ორივე შესასვლელთან ჩირაღდნებიანი მცველები დააყენეს. ათიოდე ვაჟკაცი კი წელში მოხრილი ჯურღმულის შუაგულისაკენ გაემართა. ცოტა ხანში ხროტინის მაგვარი ხმა გაისმა.

_ აი ისიც! _ წამოიძახა ჯარების სარდალმა, _ მეტი ჩირაღდნები მოიტანეთ, მეტი!

ის, რაც მათ თვალწინ გადაიშალა საშინელი შესახედი იყო. მიწაზე ადამიანი იწვა, იკლაკნებოდა და ხროტინებდა. თავის მაგივრად ხუთი გველი ება, ხუთივე საზიზღრად სისინებდა. მეომრები სულ უფრო უახლოვდებოდნენ გრძნეულს. ერთი რომ ხმლით თავს მოკვეთდა, მეორე ანთებული ჩირაღდნით უწვავდა მოკვეთილ ადგილს, რათა თავი ხელახლა არ ამოსულიყო. ცოტა ხანში გრძნეულმა ერთიც ამოიხროტინა და კოცონივით აბრიალდა, თითქოს აფეთქდაო. ერთ წამში მისგან ფერფლიღა დარჩა. მეომრები მშვიდობიანად გამოვიდნენ ჯურღმულიდან. გამოსვლა და ჯურღმულის ჩამონგრევა ერთი იყო. აღარც გრძნეული კაცი გველი არსებობდა და აღარც ჯურღმული.

# ზღაპრის დასასრული?

უმთვარო ღამის სამეფოში ნელ-ნელა გათენდა. მზე ამოვიდა. ბალახი მწვანედ აბიბინდა. ელინი გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით.

_ რა ლამაზია სინათლე! _ წამოიძახა მან. _ რა ლამაზია სითბო! _ იანგულს გაეღიმა _ ამიერიდან შენ სულ სითბოში და სიყვარულში იცხოვრებ _ უპასუხა ელინს, ხელი მოხვია და ხანგრძლივად, ნაზად აკოცა.

_ რა ლამაზია კოცნა, _ ჩაიჩურჩულა ელინმა და იანგულს მიეკრო.

მეომრები ნელ-ნელა იანგულისა და ელინის გარშემო გროვდებოდნენ. მეფე აბესალიც უფროს სიძესთან ერთად იქვე იდგა. უეცრად შორიდან მხედართა ჯგუფი გამოჩნდა.

_ ქამეხი სად არის! შეიპყარით?! _ წამოიძახა აბესალმა. Mმეომრები მეფეს მიუახლოვდა.

_ მეფეო! ძალიან დიდხანს ვსდიეთ, ვერაფრით დავეწიეთ, ქარივით მიჰქროდა, გეგონებოდა ადამიანი კი არა ეშმაკიაო. შემდეგ აღმართს აუყვა, მთის წვერზე მოექცა და გაქრა, მგონი გადახტა. მთას ჩვენც ავუყევით, მწვერვალიდან გადავიხედეთ, მაგრამ ვერაფერი დავინახეთ. უფსკრული ძალიან ღრმა იყო, იქ ჩავარდნილი ადამიანი ვერ გადარჩებოდა. _ უპასუხა კაცი-მთამ?

_ ქამეხი დამარცხებულია! უმთვარო ღამის სამეფო აღარ არსებობს. ბოროტი ჯადოქარი, კაცი-გველი განადგურებულია. გაუმარჯოს სრულიად საქარიას! _ მიმართა ხალხს მეფე აბესალმა. _ უმთვარო ღამის სამეფო ერთ დროს საქარიის სამთავრო, ტყიანეთი იყო, სად არის ტყიანეთის მთავარი, კაცი-ტყე?

მეომრებს ახალგაზრდა, ტანადი ვაჟკაცი გამოეყო, მეფესთან მივიდა და მიმართა:

_ მე ვარ კაცი -ტყე, შენი მესამე ქალიშვილის საქმრო. ნება მიეცი მას, ჩემი დედოფალი გახდეს.

_ გული მიგრძნობს ერთდროულად რამოდენიმე ქორწილის გადახდა მოგვიწევს. _ აბესალმა გაიღიმა და იქვე მდგარ იანგულსა და ელინს გადახედა.

შორიახლოს რამოდენიმე ახალგაზრდა იდგა და მეფისგან დალოცვას ელოდა.

_ წავიდეთ! სახლში ქალები გველოდებიან, საქორწილო სამზადისიც ალბათ დაწყებული აქვთ. მეომრები მეფე აბესალის მეთაურობით საქარიისაკენ დაიძრნენ. აქა-იქ სიმღერაც წამოიწყეს. საქარიაში შესვლისას ყველას გულში საზეიმო განწყობა სუფევდა.

უცებ ქარმა წამოუბერა. ჰა, ჰა, ჰა _ თითქოს მოესმათ მეომრებს.

_ რა ხმაა? _ იკითხეს ცოტა შეშფოთებულებმა.

_ არაფერი, ალბათ ამინდი იცვლება, ქარის ხმაა. _ უპასუხა მეფე აბესალმა. მეფის ნათქვამმა დააწყნარა ხალხი და ქალაქში მშვიდად შევიდნენ.

ჰა, ჰა, ჰა, _ არ ჩერდებოდა ქარი, ქარი თუ. . . . . .

*გაგრძელება იქნება.*

# საქარია

## რამოდენიმე წლის შემდეგ

## თავი პირველი

## ქამეხის დაბრუნება

გამოქვაბულში შავებში ჩაცმული ხუთი მამაკაცი იჯდა. ისინი ხმადაბლა საუბრობდნენ. შუაში ცეცხლი ენთოთ, რომელზეც ქვაბი იყო შემოდგმული. ქვაბიდან ძალიან მყრალი სუნი ამოდიოდა. ისედაც ბნელი გამოქვაბულის, კიდევ უფრო ბნელი კუთხიდან ჩუმი ხროტინი ისმოდა.

-ბაყაყის შიგნეული, ხუთი-ექვსი თავკომბალა და ამდენივე ობობა ჩაუმატეთ. ორი წუთი ადუღეთ, გადმოდგით, გააგრილეთ და გადამასხით. ერთი მისხალი ფერფლიც არ უნდა დარჩეს მშრალი. ჩქარა! ჩქარა!-.მეთქი.-შავოსნები წამოხტნენ და დაფაცურდნენ. მხოლოდ ერთი დარჩა ცეცხლთან, არც განძრეულა, ისე გადახედა კუთხეში დაყრილი ფერფლის გროვას და მიმართა:

- შენ გირჩევნია, ხმას დაუწიო, თორემ დარჩები სამუდამოდ ფერფლად. ჩემთან ჯერ ასეთი ტონით არავის ულაპარაკია. ვერავინ გაბედავს რაიმე უბრძანოს ქამეხს. დაიმახსოვრე! ჩემს ხელში ხარ.

- მაპატიე ქამეხ, გავცხარდი. ხომ იცი სიზარმაცეს ვერ ვიტან, შენ კი ამდენი მუქთამჭამელი შემოიკრიბე და გგონია ეგენი დაგეხმარებიან მეფე აბესალის დამარცხებაში. ცდები ქამეხ, ცდები... თუ ვინმე გიშველის, ეს მე ვარ, მხოლოდ მე. ხომ იცი, აბესალი მარტო აღარ არის, მას ექვსი სიძე ჰყავს. ექვსივე საუკეთესო მხედართმთავარია. იანგულიც გაიზარდა, საოცარი ვაჟკაცი დადგა, ოჰ, მაგის სული ჩამაგდებინა ხელში – ჩურჩულით დაასრულა ლაპარაკი ფერფლის გროვამ.

-ჰო, ჰო, ვიცი, მაგრამ არც მე მყავს ნაკლები მეომრები. შენც გამოჯანმრთელდები და მერე ვნახოთ ვინ ვის აჯობებს.

ამ დროს გამოქვაბულში ორი შავოსანი შემოვიდა, ხელში დიდი ქვაბი ეჭირათ.

- გაგრილდა – მიმართა ერთ-ერთმა ქამეხს და ქვაბი გაუწოდა.

- მიდი დაასხი, ოღონდ ფრთხილად, - შეუღრინა ქამეხმა ისე, რომ არც განძრეულა. შავოსანი მიუახლოვდა ფერფლის გროვას და სითხე ერთიანად გადაასხა.

გამოქვაბულში საშინელი სუნი დადგა, ფერფლიანი სითხე თითქოს ადუღდა, აბუყბუყდა, ნელ-ნელა წამოიმართა, თან იკლაკნებოდა  და რაღაც გაურკვეველ ენაზე ყვიროდა. თანდათან გამოიკვეთა ამაზრზენი შესახედაობის არსება, რომელიც საოცრად ჰგავდა კაცი-გველს, მაგრამ კიდევ უფრო საშინელი შესახედი იყო. თანაც, ხუთის მაგივრად, ცხრა თავი ება.

- მორჩა, დამთავრდა ტყვეობა –ყვიროდა კაცი გველი – ცეცხლი ჩააქრეთ, თვალები მტკივა, ისედაც ძალიან განათებულია აქაურობა.

- არა, ჩემო გრძნეულო, ცეცხლს არ ჩავაქრობთ! უნდა მიეჩვიო სინათლეს, ხომ ნახე სიბნელით და სიცივით ვერ დავამარცხეთ ჩვენი მტრები. რაღაც სხვა უნდა მოვიფიქროთ, თანაც სიბნელეში ჩემი ბიჭებიც ვერ ხედავენ – უპასუხა ქამეხმა – თხუნელები კი არ არიან!

- კარგი, სინათლე იყოს, მაგრამ სითბო არ გამაგონო. ჰა, ჰა, ჰა, უკვე მოვიფიქრე. მალე ყველგან სიცივე, თოვლი და ყინვა იქნება. ყველგან, მთელს საქარიაში. არასოდეს დადნება ყინული. ცეცხლს ვერ დაანთებენ, რადგან ხეებიც გაყინული იქნება. აბა, როგორია? – ამაყად გადახედა ქამეხს კაცი-გველმა.

- ჰო, კარგი, კარგი. ძალიანაც ნუ გაშალე ფრთები. სიცივეს ადამიანი უძლებს.

- სიცივეს უძლებს, ყინვას კი ვერა. სამუდამო ყინვას ვერ გაუძლებს. ვერც ბავშვები დაიბადებიან, და თუ დაიბადებიან, იქვე დაიხოცებიან. – არ ცხრებოდა ბოროტი გრძნეული. – ისეთი ყინვა იქნება, მზეც ვერ მოერევა, თვითონაც შესცივა და ჩაქრება. მე მზეს ჩავაქრობ. – სიხარულისაგან ადგილზე ხტოდა კაცი გველი.

- მზესთან ცოტა ფრთხილად იყავი, იქით არ ჩაგაქროს. – უპასუხა ქამეხმა და ცალყბად ჩაიცინა – ისე, ყინვა მომწონს, მაგრამ სრული გამყინვარებისათვის კარგად უნდა მოვემზადოთ. მე არმიაში ადამიანები მყავს, ისინი კი ყინვაგამძლეები არ არიან.

- ნუ გეშინია, ყინვაგამძლეები არ არიან ახლა. მაგრამ, მალე გახდებიან. მე რომ ელექსირს მივცემ, თითო ყლუპს დალევენ და საკმარისი იქნება, რომ ნებისმიერ ყინვას გაუძლონ, ოღონდ სითბოს უნდა მოერიდონ, თორემ მაშინვე დადნებიან.

- შენ რა თოვლისკაცებად გინდა ჩემი არმია აქციო?

- ჰო, დროებით. ისე შენც მოგიწევს მაგ ელექსირის დალევა, თორემ დაიღუპები. გამარჯვების შემთხვევაში, ელექსირი ძალას დაკარგავს და ყველანი ჩვეულებრივად იცხოვრებთ, გინდა სითბოში და გინდა სიცივეში.

- რომ დავმარცხდეთ? – იკითხა ქამეხმა.

- აა... გეშინია? – ჩაისისინა ბოროტმა გრძნეულმა – სწორია რომ გეშინია. შენი ქალიშვილი ელინი მათ მხარეზეა, სამწუხაროდ, მან ბევრი რამ იცის.

- ჯერ ერთი, ელინი ჩემი ქალიშვილი არ არის. მისი დანახვაც არ მინდა. მიუხედავად ამისა, ხანდახან გული მჩხვლეტს ხოლმე. თვალებში რომ ჩავხედავდი, ვმშვიდდებოდი. ძალიან დამაკლდა მისი წასვლა, ძალიან.

- შენ რა, სიყვარულიც შეგძლებია? – ბოროტად ჩაეცინა კაცი-გველს, უფრო სწორედ, მის ხმაში შური სჭარბობდა. - შენ ჯობია შენი ვაჟიშვილი ჩამოიყვანო, უკვე დროა მოგეხმაროს. დაბადებისთანავე ისეთ გრძნეულებთან გავგზავნე სასწავლებლად, რომ წინ ვერაფერი აღუდგება, მისთვის სიძნელეები არ არსებობს.

- არა, არა, ის ჯერ პატარაა. დედამისი რომ კვდებოდა, პირობა მივეცი, ჩემს საქმეებში არ ჩავრევ მეთქი. თანაც ელინი თუ გაიგებს რომ ძმა ჰყავს, ყველანაირად ეცდება თავისკენ გადაიბიროს.

- ეგ გამორიცხულია, პირიქით, ქანელი [ასე ერქვა ქამეხის ვაჟს] მოახერხებს თავისი დის დაყოლიებას, რომ ჩვენ დაგვეხმაროს. აი, ნახავ. – არ ცხრებოდა კაცი-გველი.

- ჰო, კარგი, კარგი, მოვიფიქრებ – ჩაილაპარაკა ქამეხმა, - ახლა დავისვენოთ, მძიმე დღეები გველის. - კაცი იქვე კოცონთან წამოწვა, შავი ნაბადი წაიხურა და ფიქრს მისცა თავი.

## თავი მეორე

## გაცნობა

საქარიაში გაზაფხულის ბოლო თვე ზაფხულთან შესახვედრად ემზადებოდა. ხილი მწიფდებოდა,
მოსავლის აღება ჯერ ადრე იყო, ამიტომ საქარიელები ისვენებდნენ, ერთმანეთს სტუმრობდნენ და ახლობლების სიყვარულით და ფერებით ტკბებოდნენ. მეფე აბესალი თავისი ოჯახით აივანზე ისვენებდა. ისინი ხმადაბლა საუბრობდნენ. იანგული და ელინი გვერდი-გვერდ ისხდნენ და შეყვარებული თვალებით შესცქეროდნენ ერთმანეთს.
- მამა, ხვალ სანადიროდ მინდა წავიდე. – მიმართა იანგულმა მეფე აბესალს.
- საით გინდა წასვლა? - ჰკითხა აბესალმა.
- რაც გარშემო ტყეებია, ასჯერ მაინც მაქვს შემოვლილი, საინტერესო არაფერია. ჩემმა ნათლიამ, გრძნეულმა ეფროსმა შემომთავაზა, ჩემს ტყეებში წაგიყვან და ბევრ უჩვეულო რამეს განახებო.
- ეფროსს ვენდობი, მაგრამ ხომ იცი, მისი სამფლობელოს მეზობლად სხვა გრძნეულებიც ცხოვრობენ. ზოგიერთი მათგანი კი, არც თუ ისე კეთილად არის ჩვენ მიმართ განწყობილი. ასე რომ, ძალიან ფრთხილად უნდა იყო. ეგებ შენი სეძე ტარესიც (აბესალის ერთ-ერთი ქალიშვილის ქმარს ტარესი ერქვა) წაიყვანო თან, ტყეებს კარგად იცნობს, ის ხომ წლების მანძილზე კაცი-ტყე იყო. რასაკვირველია თუ შენმა დამ გამოუშვა. – ჩაიცინა აბესალმა.
- გამოუშვებს, ჩვენ მაგაზე უკვე მოვილაპარაკეთ. დილით ეფროსთან ერთად გამომივლის და გზას გავუდგებით. დიდხანს არ შევყოვნდებით. რამოდენიმე დღეში დავბრუნდები.
- აბა, უჩემოდ გადაგიწყვეტიათ ყველაფერი, ეტყობა დავბერდი, არავინ არაფერს მეკითხება. – წაიბუზღუნა მეფე აბესალმა.
- კარგი, კარგი აბესალ, გაიხსენე შენი თავი. მაგ ასაკში რომ იყავი, სახლში ვერ გაგაჩერებდა კაცი. – დაუყვავა დედოფალმა.

ყველამ გაიცინა, ცოტა ხანიც ისხდნენ, ისაუბრეს და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ.
გამთენიისას იანგული ეზოში ელოდებოდა ეფროსსა და ტარესს. ცხენზე იჯდა და როგორც კი თვალი მოჰკრა ორ მხედარს, მათკენ გაეშურა. სამივე მხედარმა ერთად განაგრძო გზა.

- მშია, არ შეგვეძლო ჯერ გვესაუზმა და მერე წამოვსულიყავით? – იკითხა ტარესმა, რომელიც საკმაოდ ზორბა ტანისა იყო.

- ჩემთან ვისაუზმებთ, მალე მივალთ.- უპასუხა გრძნეულმა ეფროსმა.
- შენი სახლი განა ასე ახლოა?
- არა, ძალიან შორსაა, მაგრამ ჩვენ მალე მივალთ, იმიტომ რომ ჩემი სახლია. - უპასუხა ეფროსმა.
მართლაც, ცხენის გაჭენებაც ვერ მოასწრეს მხედრებმა, რომ შორიახლოს ეფროსის საცხოვრებელი გამოჩნდა. მწვანეში ჩაფლული შენობა თითქოს მიწიდან ამოვიდა და მათ თვალწინ საოცარი სასახლე გაჩნდა. ადამიანის აშენებულს არ ჰგავდა, თითქოს შენობაც ბუნების ნაწილი იყო.
- შემობრძანდით, მიირთვით სანამ საუზმე გაციებულა – მიმართა ეფროსმა ბიჭებს.
- საუზმე ვინ გაამზადა?- იკითხა გაოცებულმა ტარესმა.
- მე, - იყო პასუხი.
- როგორ? თქვენ ხომ გზაში იყავით ჩვენთან ერთად.

- ტარეს, შენ ხომ არ გავიწყდება, რომ ეფროსი ჯადოქარია, მას ძალიან არ უყვარს ამას რომ ვახსენებთ ხოლმე, მაგრამ ასეა და რა ვქნათ.
- მგზავრებმა ისაუზმეს. იანგულს ერთი სული ჰქონდა სანადიროდ წასულიყო. ტარესსაც ეჩქარებოდა იქაური ტყეების ნახვა. ცოტა ხანში სამივენი ცხენებს მოახტნენ და გზას გაუდგნენ. გრძნეული ეფროსი, რომელიც ყველას ძალიან მოხუცი ეგონა, თავის სამფლობელოში ახალგაზრდა ყმაწვილივით მიაგელვებდა ცხენს. თმა და წვერიც თითქოს გაუმუქდა, ჭაღარა გაუქრა და ნაოჭებიც გაუსწორდა.
ირგვლივ ზღაპრული სილამაზე იყო, ასეთი ჯიშის ხეები არც იანგულს ენახა და არც ტარესს. სხვადასხვა ცხოველები იქვე დარბოდნენ, მხედრებს არც ერიდებოდნენ. მხოლოდ ერთი წუთით შეყოვნდებოდნენ და გაკვირვებული თვალებით შეაცქერდებოდნენ უცხო სტუმრებს.
- აქ როგორ უნდა ვინადირო, ცხოველი რომელიც არ გარბის როგორ მოვკლა? – დანანებით იკითხა იანგულმა.
- შენც ნუ მოკლავ, უბრალოდ უყურე და ისიამოვნე. - უპასუხა ტარესმა.
- ჩემს სამფლობელოში არასოდეს არავის უნადირია, არც არავინ ყოფილა აქ მოკვდავთაგანი თქვენს გარდა. ცოტა ეჭვიც მეპარება, ხომ არ შევცდი რომ წამოგიყვანეთ. ჩემს მეზობლად სხვადასხვა გრძნეულები ცხოვრობენ, ზოგან ცხოველებზე კი არა ადამიანებზეც ნადირობენ. ამიტომ ჩემო

იანგულ, ფრთხილად იყავი. ჩემს საზღვრებს არ გასცდე. ნადირობით ვერ ინადირებ, სამაგიეროდ ბევრ საინტერესოს ნახავ. - მიმართა იანგულს ეფროსმა.
იანგული დაღონდა, ძალიან უყვარდა ნადირობა, მაგრამ ეფროსის წყენა არ უნდოდა და უხალისოდ დაეთანხმა, თვალები კი რატომღაც ეშმაკურად უბრწყინავდა. მოსაღამოვდა. მამაკაცებმა ივახშმეს და დასაძინებლად დაწვნენ. იანგულმა თავი მოიმძინარა. როდესაც მიხვდა, რომ ეფროსსა და ტარესს ღრმად ჩაეძინათ, ადგა, უხმაუროდ ჩაიცვა და სახლიდან ფეხაკრეფით გამოიპარა. ცხენს მოახტა და ნათლიის სამფლობელოს საზღვრისაკენ გააჭენა.
კარგა ხანს მიაგელვებდა ცხენს იანგული, მალე ეფროსის საზღვარს გასცდა, აქ ბუნება სულ სხვანაირი იყო, უფრო მკაცრი და თითქოს უდაბური. ცხოველებიც არსად ჩანდნენ. უცებ იანგულმა მხედარი დაინახა, რომელიც ცხენს პირდაპირ მისკენ მოაჭენებდა. იანგულმაც მისკენ გასწია. მხედარი შეჩერდა. ძალიან კარგი შესახედი იყო უცნობი, ახოვანი, ლამაზი, რუხი ფერის სამოსი ეცვა, შავ ბედაურზე იჯდა და თვალებიც გიშერივით უელავდა.
- ვინ ხარ?- ჰკითხა უცნობმა.
- მე იანგული ვარ, გრძნეული ეფროსის ნათლული. შენ ვინღა ხარ?
- მე ქანელი ვარ, ამ მიწაწყლის პატრონი. რატომ დაარღვიე საზღვარი. აქ მოსვლას არ იცი, რომ ვერავინ ბედავს?
- უკაცრავად, ნამდვილად არ ვიცოდი, თუ თქვენს ტყეში შესვლა არ შეიძლებოდა. ნათლიაჩემის სამფლობელოში ნადირობა ვერ შევძელი და ვიფიქრე იქნებ აქ მოვინადირო-მეთქი რამე. მაგრამ თუ გნებავთ წავალ, პრობლემას არ შეგიქმნით. - ქანელმა იანგულს ახედ-დახედა, მოეწონა მისი გულღია ნათქვამი, თვალებში სითბო ჩაეღვარა და მიმართა:
- არა იანგულ, შეგიძლია დარჩე და რამდენიც გინდა ინადირო, უფრო მეტიც, თუ გინდა ერთად ვინადიროთ. მეც მიყვარს ნადირობა. მთელი ცხოვრება მარტო ვნადირობ. აქ, ჩემი და ჩემი ნათლიების გარდა არავინ ცხოვრობს. არც სტუმრად მოდის ვინმე და არც მე მაქვს სადმე წასასვლელი. ძმა მე არა მყავს და და. ასე რომ, შენი გამოჩენა ჩემთვის საჩუქარივითაა. წავედით, მე ვიცი კარგი ადგილები, მომყევი.
ქანელი წინ გაიჭრა, იანგული უკან მიჰყვა. გული რატომღაც სიხარულით ჰქონდა ავსებული, ამ ყმაწვილში დაინახა რაღაც ისეთი, რაც მისთვის ძალიან ნაცნობი და ძვირფასი

იყო. გათენების ხანს დაბრუნდა ნანადირევით დატვირთული იანგული ეფროსის სახლში, ნათლია შესასვლელთან ელოდებოდა.

_ სად იყავი, დაუკითხავად როგორ წახვედი? – იანგული გახარებული მიუახლოვდა ეფროსს

_ ნუ ნერვიულობ ნათლია, სანადიროდ ვიყავი, ცოტათი გავცდი შენს საზღვრებს და ნადირიც შემხვდა.

_ ადამიანი ხომ არ შეგხვედრია ვინმე?- არა, არავინ. – იცრუა იანგულმა. – ეტყობა ისეთი დრო იყო, რომ ყველას ეძინა.

_ ხომ არ მატყუებ იანგულ, რაიმე ხიფათს არ გადაეყარო.\

- ხომ გითხარი არავინ მინახავს მეთქი. – დაიძახა იანგული.

- ჰო, კარგი, კარგი დაწექი, დაისვენე, რომ ადგები ჩანჩქერის სანახავად წაგიყვან.

იანგულს ჩაეღიმა, მან უკვე ჩანჩქერიც იხილა  და ბევრად უფრო საინტერესო ადგილებიც. სულმოუთქმელად ელოდა იგი დაღამებას, რომ ახლადშეძენილი მეგობრის სანახავად წასულიყო. დრო და ადგილი დათქმული ჰქონდათ.

ორი დღე და ღამე ხვდებოდა იანგული ქანელს. ისინი ერთად ნადირობდნენ, თევზაობდნენ, შემდეგ ნანადირევს წვავდნენ და მიირთმევდნენ. ძალიან დამეგობრდნენ ყმაწვილები, ერთმანეთს უსიტყვოდ უგებდნენ. მათ შემხედვარეს გეგონებოდა, დაბადებიდან ერთად გაიზარდნენო.

განშორების დღეც დადგა, წასვლისას იანგულმა სთხოვა ქანელს გრძნეული ეფროსის სახლში წაჰყოლოდა, რათა თავისი ნათლია გაეცნო მისთვის.

- არ გეწყინოს იანგულ, ვერ წამოვალ, სასტიკად აკრძალული მაქვს ჩემი ნათლიებისაგან ეფროსის სამფლობელოში გადასვლა. მათი თქმით ამას დიდი უბედურება მოჰყვება. მე მათი მჯერა, ისინი ძალიან ძლიერი და ხანდახან ძალიან ულმობელი გრძნეულები არიან. ასე რომ აქ დავემშვიდობოთ ერთმანეთს, ეგებ ღმერთმა კვლავ შეგვახვედროს. – ქანელი გადაეხვია იანგულს, ცხენს მოახტა და გააჭენა, თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა. მან პირველად შეიძინა მეგობარი, რომელიც ძმასავით შეიყვარა და ასე მალე, ალბათ სამუდამოდ დაჰკარგა იგი.

## თავი მესამე

## საქარიაში დაბრუნება და უეცარი ზამთარი

- იანგულ, სად ხარ აქამდე, ამას შენგან არ ველოდი. – მკაცრად მიმართა ეფროსმა ნათლულს. – ამდენი ხანი არაფერს გეუბნებოდი, მეგონა შენ თვითონ მიხვდებოდი, მაგრამ შევცდი. სამი დღით წამოვედით და უკვე ერთი კვირაა აქა ვართ. წარმომიდგენია მამაშენი და ელინი როგორ ნერვიულობენ. დასვენების დრო აღარ გვაქვს, ახლავე გავდივართ, ვგრძნობ საქარიაში რაღაც ხდება. არ ვიცი რა, მაგრამ მე მგონი სასიკეთო არ უნდა იყოს. გზაში დაგელაპარაკები.

სამივე მხედარმა სასწრაფოდ დატოვა ეფროსის სამფლობელო და საქარიისაკენ აიღო გეზი.

- ყურადღებით მისმინე იანგულ, შენ რომ ნადირობისას ყმაწვილს დაუმეგობრდი ქანელი ერქვა? – ჰკითხა ეფროსმა.

- დიახ, ქანელი ერქვა, შენ საიდან იცი? – გაიკვირვა იანგულმა.

- ლამაზი, ტანადი ვაჟკაცი, ჭკვიანი, მოხერხებული. ყველაფერი რომ შეუძლია და მისთვის სიძნელე არ არსებობს, ის არის?

- დიახ ეგეთია, კიდევ დავამატებდი, ყველაფერში რომ ენდობი, არ გიღალატებს და უერთგულესი მეგობარია.

- მჯერა რომ ეგეთია, ქანელი ისეთმა გრძნეულებმა გაზარდეს, რომ მისთვის შეუძლებელი არაფერია. ძალიან კარგი მეგობარი იქნებოდა შენთვის, ერთი რამ რომ არ უშლიდეს ხელს.

- მაინც რა? – იანგულს შეშფოთება დაეტყო.

- შენი მეგობარი ქამეხის ვაჟია, ჩვენი მოსისხლე მტრის. საბრალო ბიჭმა არც იცის მამამისის ვინაობა და არც ის იცის, რა ბოროტებას სჩადიოდა იგი. მაგრამ დადგება დრო და ქანელი მამის საქმიანობას გააგრძელებს, იმიტომ რომ მის ძარღვებში ბოროტი ქამეხის სისხლი სჩქეფს.

- არა, ეს შეუძლებელია. ქანელი თუ ქამეხის ვაჟია, ესეიგი ელინის ძმა ყოფილა. ელინის ძმა კი არ შეიძლება ბოროტი იყოს.

- თავს ნუ იტყუებ იანგულ. დღემდე მე ქამეხი დაღუპული მეგონა. შენ რომ ქანელთან მეგობრობა დაიწყე, იმიტომ არ შეგიშალე ხელი, რომ საშიშროებას ვერ ვხედავდი. დღეს გავიგე, ქამეხი გადარჩენილა. უფრო მეტიც, თავისი გრძნეული კაცი-გველიც ჯადოსნური ელექსირის საშუალებით გაუცოცხლებია და ახლა საქარიაზე ხელახალ შეტევას აპირებს. ოღონდ არ ვიცი როგორ. ის კი ვიცი, რომ ქამეხი ეცდება თავისი ვაჟი დაიბრუნოს და ძალა, რომელიც შვიდმა გრძნეულმა მისცა, ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენოს.

იანგულს ხმა აღარ ამოუღია, დამწუხრებული მიუყვებოდა გზას. თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. ვერაფრით იჯერებდა, რომ ქანელი როდისმე მის წინააღმდეგ წავიდოდა.

ნელ-ნელა აცივდა. მხედრებს მსუბუქად ეცვათ. ზაფხული იყო და თბილი ტანსაცმლის წამოღება არც უფიქრიათ. საქარიას მიუახლოვდნენ. ქვეყანა თოვლით იყო დაფარული, არადა ივნისის თვე იდგა.

- რა ხდება, რა დროს თოვლია? – იკითხა ტარესმა და აქეთ-იქით გაკვირვებით მიმოიხედა.

- ქამეხი დაბრუნდა შვილო, ქამეხი. – უპასუხა ეფროსმა და ცხენი სასახლისაკენ გააჭენა.

გზა და გზა  არავინ შეხვედრიათ, ისეთი სიცივე იდგა, ხალხი სახლებიდან ვერ გამოდიოდა. ცა ისეთი მოღრუბლული იყო, მზის სხივები დედამიწამდე ვერ აღწევდა. საქარიაში სამუდამო ზამთარი დამდგარიყო.

სასახლეშიც სიცივეს დაესადგურებინა.

- ბუხარი რატომ არ გინთიათ, ან ღუმელი? – იკითხა ეფროსმა.

- შეშა არ გვაქვს, ხეები გაყინულია, ლოლუებივით ტყდება. ცეცხლში თუ შეუკეთე, დნება. – უპასუხა აბესალმა. ეს ყველაფერი ვფიქრობ ქამეხის ოინებია. ეტყობა ცოცხალი გადარჩა და ახალ მზაკვრობას სჩადის.

- სწორი ხარ მეფეო, ქამეხი ცოცხალია და არა მარტო ქამეხი, კაცი-გველიც გაცოცხლებულა და საქარიის დასაპყრობად არაფერს არ დაიშურებს. ყველა ბოროტ გრძნეულსა და უწმინდურს დაიხმარებს, რათა ჩვენ დაგვამარცხოს. უფრო მეტიც, ქამეხმა თავისი ვაჟი, რომელიც შვიდ უძლეველ გრძნეულს გააზრდევინა, გამოიძახა და ისიც უნდა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართოს. ქანელის მომრევი კი ამ ქვეყანაზე არავინაა.

- როგორ, ქამეხს ვაჟი ჰყავს? – წამოიძახა ელინმა და გაფითრდა.

- ჰო შვილო ვაჟი ჰყავს.

- ესეიგი მე ძმა მყავს?

- ასე გამოდის, მაგრამ ქანელი არავის უნახავს, გრძნეულების გარდა. მამამისმა დაბადებისთანავე ნათლიებს ჩააბარა, რადგან ცოლს, რომელიც ბავშვის დაბადებისთანავე

გარდაიცვალა, პირობა მისცა, რომ თავის შავ საქმეებში შვილს არ გარევდა. მაგრამ როგორც ხედავთ, პირობა დაარღვია და ქანელი თავისთან გაიწვია.

- მე ჩემი ძმის ნახვა მინდა, ის რომ ჩემი არსებობის შესახებ გაიგებს ჩვენს წინააღმდეგ ვერ წავა. მაგრამ როგორ უნდა ვიცნო თუ არავის არ უნახავს?

- მე მინახავს, ქანელი ჩემი უახლოესი მეგობარია და ვერ დავიჯერებ, რომ მას რაიმე ბოროტების ჩადენა შეუძლია.

- იანგულ გევედრები, მაჩვენე ჩემი ძმა.

- ახლა ვერ მოხერხდება, რადგან ქანელი ალბათ უკვე მამამისთანაა, მაგრამ მალე ყველას მოგვიწევს მასთან შეხვედრა. – ჩაერია საუბარში გრძნეული ეფროსი.

- გეყოფათ ფუჭი საუბარი, საქმეს მივხედოთ, გამოსავალი უნდა მოიძებნოს. ეფროს, გისმენ. – ბრძანა მეფე აბესალმა.

- ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენეს ქამეხმა და მისმა ბოროტმა ძალებმა, მაგრამ ვფიქრობ მოვახერხებთ თავის გადარჩენას. უფრო მეტიც, მათ სამუდამო განადგურებას. რამოდენიმე საათი მომეცით. უნდა განვმარტოვდე, ყველაფერი ავწონ-დავწონო, რათა მთელი ჩემი ძალის გამოყენება შევძლო.

- გრძნეულო ეფროს, ერთი შეკითხვა მაქვს. შეგიძლია ჯადო, რომელიც მე მომეხსნა ჩემი ცოლის დახმარებით, დამიბრუნო? – ჰკითხა აღელვებულმა ტარესმა მოხუცს.

- შენ რა, ისევ კაცი-ტყე გინდა გახდე? – გაიკვირვა ეფროსმა, ხმაში კი აღტაცება დაეტყო.

- მე ვფიქრობ, ეს ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი გამოსავალი მაინც არის.

- ვეცდები, მაგრამ ფრთხილად იყავი, კაცი-გველთან თამაში უფრო ხშირად ცუდად მთავრდება ხოლმე. ჰო, მეუღლეს არ მოელაპარაკები?

- არა, არავითარ შემთხვევაში არ დამთანხმდება. თქვენც არაფერი უთხრათ, ვითომ არ იცით სად ვარ. – უპასუხა ტარესმა.

მეფე აბესალი და მისი ოჯახის წევრები მდუმარედ შესცქეროდნენ ტარესსა და ეფროსს. სათქმელი არავის არაფერი ჰქონდა.

## თავი მეოთხე

## ხანგრძლივი ბრძოლისათვის მზადება

- ეფროსი ოთახიდან გამოვიდა და დარბაზში ჩავიდა. ყველა მისკენ მიბრუნდა, გრძნეული თითქოს კიდევ უფრო დაბერებული და წელში მოხრილი ჩანდა.

- ტარეს, ეზოში გადი. – სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო გრძნეულმა, რომ სასახლეს ღია წაბლისფერებში ჩაცმული მხედარი მიუახლოვდა.

- ჩემი ძმა უნდა იყოს. – წამოიძახა ტარესმა – ყოფილი კაცი-უდაბნო.

- გრძნეული სად არის? – ახლადმოსულმა ყმაწვილმა გრძნეულს შეხედა. – ეფროს, თხოვნა მაქვს შენთან, ხალხი მეღუპება ყინვისაგან, ვხედავ აქაც იგივე მდგომარეობაა.

- ვიცი რასაც მთხოვ, საქციელს გიწონებ, ტარესიც შენი აზრისაა. Kკაცი მთასაც დაველოდოთ, გამოგვადგება ბრძოლის დროს. დანარჩენები კი ადამიანებად დარჩნენ. თორემ ზღვად , მდინარედ და ტბად გადაქცევისას იქვე გაიყინებიან, ვგრძნობ ქალი-ყინვა სადღაც ძალიან ახლოს უნდა იყოს.

მალე სასახლესთან კაცი-მთაც გამოჩნდა.

- გრძნეულო.

- გამარჯობა, შენი სურვილიც ვიცი, დროს ნუ ვკარგავთ, დავიწყოთ. ჩვენ ოთხის გარდა (კაცი ტყე, კაცი-მთა და კაცი-უდაბნო იგულისხმებოდა) ყველანი სასახლეში შედით. – ბრძანა ეფროსმა.

მეფე აბესალი თავისი ოჯახით სასახლისაკენ გაემართა, ქალები ტიროდნენ. მამაკაცები, დამწუხრებულნი მდუმარედ მიუყვებოდნენ კიბეებს.

გარეთ სიჩუმეს დაესადგურებინა, ჩამი-ჩუმიც კი არ ისმოდა. უცებ ჭექაქუხილივით ხმა გაისმა, რასაც არაადამიანური გმინვა მოჰყვა. სასახლეში მყოფთ სისხლი ეყინებოდათ ძარღვებში ამ ხმის გაგონებაზე. რამოდენიმე წუთში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. მეფე აბესალმა კარი გააღო და ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა გარეთ. ეფროსთან ერთად ეზოში უზარმაზარი კაცი-ტყე აღმართულიყო. დანარჩენები არსად ჩანდნენ.

– სად არიან ჩემი სიძეები? იკითხა აბესალმა.

- ისინი ბრძოლის დროს დაგვეხმარებიან. ახლა მთავარია ხალხი გავათბოთ, როგორც კი ხეთა ჯარი გამოჩნდება, ხალხი გამოვიდეს და შეშა მოიმარაგოს, სანამ ისინიც დანარჩენი ხეებივით გაყინულან. ნუ შეგებრალებათ, ვინც აქ მოვა, მოხუცი და თითქმის გამხმარი ხეებია, ახალგაზრდები კი ბრძოლისათვის ემზადებიან. – ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა ტარესი, უფრო სწორედ კაცი-ტყე. – ხეებო, ბუჩქებო, ტოტებო იჩქარეთ.- სად იყო სად არა გამოჩნდა ასობით ხე-ტყე. ხალხი შენობებიდან გამოცვივდა, ზოგი ნაჯახით, ზოგიც ხერხით. ხეებს აპობდნენ და სახლებისაკენ მიარბენინებდნენ. შიგადაშიგ ჩუმი კვნესა ისმოდა, რომელიც ტარესს გულს უკლავდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. ხეებმა თვითონ შესთავაზეს ტარესს ხალხის გადარჩენის ეს გზა. მალე ყველა სახლის საკვამური თითქოს გაცოცხლდა და კვამლი სიმღერ-სიმღერით წაღიღინდა ზეცისაკენ.

ქამეხის გუნდში არეულობა შეინიშნებოდა.

- რა მოხდა, როგორ თბება საქარიის მოსახლეობა? შეშა საიდან აქვთ? – ყვიროდა ქამეხი და გაცხარებული ბოლთას სცემდა.

- გრძნეული ეფროსი და ტარესი დაეხმარნენ. სად არის ქალი-ყინვა, სძინავს? არც გაუგია , რომ ყველა სახლში ღუმელი ააგუგუნეს? – ქამეხ, დროა შეტევაზე გადავიდეთ, თორემ ყველა ჩვენი გეგმა ჩაიშლება. აბესალს ისეთი სიძეები ჰყავს, თავს არ დაზოგავენ საქარიის გადასარჩენად. ეგ ბიჭები მე მოვაჯადოვე და ჩემი ჯადო ჩემს წინააღმდეგ შემომიბრუნდა. ქანელი რას ამბობს?

- ჩუმად არის, არც საჭმელს ჭამს, არც არავის ელაპარაკება. ერთადერთი რაც პირველად თქვა ეს იყო : “ ვერაფრით დაგეხმარებით, მე მეგობრებს არ ვღალატობო”. ახლა აქ მაინც არის, ელინის შესახებ რომ გაიგოს სულ დავიღუპებით, იმათ მხარეზე გადავა. მე მგონი საერთოდ შეცდომა იყო ქანელის ჩამოყვანა, ყოფილიყო იქ თავის ნათლიებთან.

- გრძნეულებს უნდა დაველაპარაკოთ, ეგება მათ დაითანხმონ.

- გამორიცხულია, ხომ იცი მათი ამბავი, ეფროსს არ დაუპირისპირდებიან, ეგენი ხომ ძმები არიან, მართალია ურთიერთობა არა აქვთ, მაგრამ მაინც ერთი დედის, უდიდესი ჯადოქრის, ეფმადორას შვილები არიან.

- თვითონ ეფმადორა სად არის ახლა? – წაისისინა კაცი-გველმა.

- ეფმადორა არავინ იცის სად არის, ხანდახან თვითონ გამოჩნდება ხოლმე, ჯადოქრობას თავი დაანება.

- რატომ? ეგეთი ძალის პატრონმა, რატომ?

- ერთხელ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა და მას შემდეგ სრულიად განმარტოვდა.

- რა შეცდომაა ესეთი, ვერ მეტყვი?

- დრო რომ მოვა, შენ თვითონ გაიგებ, მაგრამ არა მგონია გესიამოვნოს. კარგი, გვეყოფა საუბარი, ჯარი შევკრიბოთ და შეტევაზე გადავიდეთ.

ცოტა ხანში ქამეხის არმია სრულ მზადყოფნაში იყო. ჯარისკაცები ყინულისაგან ჩამოსხმულებს ჰგავდნენ. თითქოს ტანსაცმელიც ყინულისაგან ჰქონდათ დამზადებული.

- სხვა გამოსავალი არ არის, ელექსირს დავამზადებ, დროებით მეხსიერება რომ დავაკარგვინოთ ქანელს. ელექსირის მოქმედება რომ გაივლის, არც ემახსოვრება რა ჩაიდინა. – წაისისინა კაცი-გველმა.

- ჰო, კარგი, კარგი, ოღონდ იცოდე, ჩემს შვილს არაფერი არ უნდა დაუშავდეს. – უპასუხა ქამეხმა.

- მშვიდად იყავი, მშვიდად. – ჩაილაპარაკა კაცი-გველმა და უცნაურად ჩაიღიმა.

## თავი მეხუთე

## ქამეხის საიდუმლო მჟღავნდება

ელინი ოთახში მარტო იმყოფებოდა. ნერვიულობდა, მის მიერ გაგზავნილი შიკრიკები არსად სჩანდნენ, ძალიან იგვიანებდნენ. შიკრიკებიო ვამბობ თორემ, ესენი იყვნენ: ხუთი მოზრდილი ობობა და ჭიანჭველების მთელი ჯარი, რომლებიც ელინს გამოჰყვნენ უმთვარო ღამის სამეფოდან და მეფე აბესალის სარდაფში დაიდეს ბინა. ელინი მათ ძველებურად თავის მეგობრებს ეძახდა. ელინის სურვილი იყო, ქანელს გაეგო, რომ და ჰყავს და თუ მამის ნებას დაჰყვება და საქარიის წინააღმდეგ გაილაშქრებს, საკუთარი ძმების დახოცვა მოუწევს. ასეთი ცოდვა კი თვით ქამეხსაც არ ჩაუდენია.

ელინმა წინა დღით შეკრიბა თავისი მეგობრები, დედის ნაჩუქარი ბეჭედი გადასცა [ზუსტად ასეთივე ბეჭედს ატარებდა ქანელიც. ოღონდ ქანელის ბეჭედს დიდი ზურმუხტის ქვა ამშვენებდა, ელინისას კი იგივე ზომის ლალის თვალი] და სთხოვა:

_ ბაო, [ასე ერქვა უფროს ობობას] კარგად დამიგდე ყური, ეს არის ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი. ძალიან გთხოვთ, გაუფრთხილდით, მიუტანეთ ქანელს, ოღონდ ეცადეთ არავინ დაგინახოთ ბეჭდის გადაცემის დროს.

- წერილს ხომ არ გაგვატან, ან ეგებ სიტყვიერად გადავცეთ რამე. – დაიწრიპინა ბაომ. ელინს გაეღიმა.

- არა, ჩემო ერთგულო ბაო, ქანელი რომ ბეჭედს ნახავს, თვითონ მიხვდება ყველაფერს.

ელინის “გულადი რაზმი” გზას გაუდგა და აგერ უკვე ერთი დღე-ღამეა არ გამოჩენილან.

დროს უქმად არც გრძნეული ეფროსი კარგავდა.

- აბესალ, ქალი-წვიმა გამოვიძახე და ვესაუბრე. მზესთან გავგზავნე, მისი დახმარება გვჭირდება, ცხელი წვიმა გვინდა. სელინა, [ასე ერქვა ქალი-წვიმას] დაბადებისთანავე მოაჯადოვა კაცი-გველმა, ამ ჯადოს მოხსნა კი მხოლოდ დიდ ჯადოქარს, ეფმადორას შეუძლია. ბევრჯერ ვთხოვე ეფმადორას კაცი-გველის განადგურება, მაგრამ ყური არ მათხოვა. რაღაც დიდი საიდუმლო იმალება მანდ და ეს საიდუმლო ეფმადორას მეტი არავინ იცის. Qქალი-წვიმა ბრძოლის დაწყებისას გამოჩნდება, ასე რომ, გათენებისას შეგვიძლია დავიძრათ, ქამეხის ჯარი უკვე მზადყოფნაშია.

ქანელი განმარტოებული იჯდა თავის ოთახში. კარი გარედან ჩაერაზათ. ქანელს კარის განგრევაც შეეძლო და ფანჯრიდან გადასვლაც, ის ხომ თითქმის ყოვლისშემძლე იყო. მაგრამ სად წასულიყო. იანგულთან მისვლის შემთხვევაში, მამის წინააღმდეგ ბრძოლა მოუწევდა.

- არა, მე ვერ ვიბრძოლებ, ერთ მხარეს მამაა, მეორე მხარეს კი ძმადნაფიცი. დაე ღმერთმა გაარჩიოს მტყუან-მართალი. – საწყალმა ქანელმა ისიც კი არ იცოდა, რატომ ებრძოდა ქამეხი მეფე აბესალს. ვერაფრით გაეგო, შური, სიძულვილი და ბოროტება, როგორ ეტეოდა ერთი ადამიანის გულში.

უცებ კარებთან ჩუმი შრიალის, ფხაკუნის და მსუბუქი ნაბიჯების ხმაც გაიგო, ქანელს ხომ საოცარი სმენა ჰქონდა. ნათლიებმა კი ცხოველების, ფრინველების და ქვეწარმავლების ენაც შეასწავლეს. კარის ღრიჭოდან ოთახში ბეჭედი შემოგორდა, ბეჭედს მოჰყვა ობობების, და ჭიანჭველების მთელი ჯარი. წინ ყველაზე მოზრდილი ობობა იდგა.

- ქანელ, ეს ბეჭედი ელინმა გამოგიგზავნა, შენმა დამ. ასე თქვა თვითონ გაიგებს ყველაფერსო. – ბაომ წრიპინი დაამთავრა და წასასვლელად მოემზადა. ქანელმა გაიღიმა.

- მოიცადეთ, - ბაო შეჩერდა. – ქანელი დაიხარა, ბეჭედი აიღო და გაოგნებული დააცქერდა.

- ეს შეუძლებელია, რა ბედნიერებაა, ესეიგი ელინი, ამ ბეჭდის მფლობელი ჩემი დაა?

- დიახ ქანელ, ელინი შენი დაა, თანაც იანგულის ცოლია. – დაიწრიპინა ბაომ.

- ოჰ, ღმერთო დიდებულო, აი გამოსავალიც. – ქანელმა თავის ბეჭედს დახედა, თითიდან წაიძრო, ბაოს გადასცა და სთხოვა, ელინთან მშვიდობიანად მიეტანა, ელინის ბეჭედი კი ნეკა თითზე გაიკეთა. – ბაო, მიუტანე ეს ბეჭედი ელინს, უთხარი, პასუხს ამ ბეჭედში იპოვითქო. – ბაო და მისი ამალა კმაყოფილები ნელ-ნელა გაუდგნენ უკანა გზას.

ქანელმა კარზე დააბრახუნა. გარედან არავინ გამოეხმაურა “ კარგი მამაჩემო, შენ მე არჩევანი არ დამიტოვე”. ქანელმა მუშტის ერთი დარტყმით გაანგრია რკინის უზარმაზარი კარი და ჩქარი ნაბიჯით გავიდა გარეთ. ეზოში ყინულის მთელი არმია შეკრებილიყო.

- ქამეხ! – დაიძახა, უფრო სწორედ დაიქუხა ქანელმა. ქამეხმა მოიხედა, შვილს რომ შეხედა, სახეზე შეშფოთება დაეტყო,, ეს კოხტად აგებული, ლამაზი ყმაწვილი აღარ იყო, რომელიც გრძნეულებისაგან ჩამოიყვანეს. მის წინ აღმართულიყო მრისხანე, რუხი რაინდი. ცეცხლივით ანთებული თვალებიდან შურისძიება გამოსჭვიოდა. მის დანახვაზე უმამაცეს მეომრებსაც კი, შიშის ჟრუანტელმა დაუარა. ქამეხმა ძალდატანებით გაიღიმა.

- შვილო, შენ რაც აქ ჩამოხვედი, მამას მეძახდი, სახელით რატომ მომმართე? ან ეს რა სამოსი გაცვია?

- არა, ქამეხ. აქ ჩამოსვლამდე მამა არ მყოლია და აღარც მეყოლება. ჩათვალე, რომ შვილი აღარ გყავს. მე მყავდა მხოლოდ დედა, რომლისაგანაც აი ეს სახსოვარი დამრჩა. – ქანელმა ხელი გაუწოდა ქამეხს, რომელზეც ელინის გამოგზავნილი ბეჭედი ეკეთა.

- ეს ბეჭედი საიდან გაქვს? – სულ აირია ქამეხი.

- ამ ბეჭდის წყალობით გავიგე, რომ მარტოხელა, უბედური ბიჭი კი არა, უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომელსაც ჰყავს და და ძმები. ასეთი მარტოობისათვის როგორ გამწირე?

- მე მინდოდა შენ ყოვლისშემძლე რაინდი გამოსულიყავი. – საცოდავად ჩაილაპარაკა ქამეხმა.

- ამას მიაღწიე კიდეც, მაგრამ ჩემს ძალას შენ ვერასოდეს გამოიყენებ. – უპასუხა ქანელმა.

- აქ რა ხდება? – გაკვირვებული ხმით იკითხა კაცი-გველმა რომელმაც არ იცოდა, რომ საიდუმლო, რომელსაც ასე გულდაგულ ინახავდა ქამეხთან ერთად, ქანელმა უკვე იცოდა.

- აი, ელექსირი მოგიტანე, დალიე, ძალას შეგმატებს. – კაცი-გველი ქანელისაკენ შებრუნდა.

ქანელი ნელი ნაბიჯით გაემართა ბოროტი გრძნეულისაკენ. კაცი-გველი უკან-უკან იხევდა.

- თვითონ დალიე შენი სიცოცხლის ელექსირი. – დაიქუხა რუხმა რაინდმა, - დალიემეთქი, ჩქარა,

– ნელ-ნელა ხმას უწევდა ქანელი
– არა, არა გევედრები.

– დალიე, თუ გინდა, რომ სიცოცხლე შეინარჩუნო. – არ ცხრებოდა რაინდი.
ქანელი მიუახლოვდა კაცი-გველს, ელექსირი გამოსტაცა, ერთერთ გველს, რომელიც გრძნეულს თავის მაგივრად მხრებზე ება ხელი წაავლო, პირი დააღებინა და მთელი შუშა თავის ელექირიანად გადააყლაპა. – ესეც შენი გველური ელექსირი.

კაცი-გველმა ერთი დაასლოკინა, მიწაზე დაებერტყა და სულელივით გაიცინა. უცნაურია, მაგრამ მის სიცილში, ოდნავი სითბოც კი იგრძნობოდა.

- ესეც ასე. ამ სიბინძურისა და სიმყრალის გარეშე, თქვენ ვერაფერს შესძლებთ. მე კი წავედი ჩემს ოჯახთან. ქამეხ, იცოდე, გზაზე არ გადამეღობო. მე ხუმრობა არ მიყვარს. ნათლიებმა ერთადერთი რაც არ მასწავლეს ეს ხუმრობაა. შენთვის ყველაზე კარგი გამოსავალი კი, აი ეს არის. – ქანელმა ხანჯალი ამოიღო და მამამისის ფეხებთან დააგდო.

- შვილო, შენ ამას არ გააკეთებ, არ მიმატოვებ. შვილო! – თითქმის ქვითინებდა ქამეხი. ქანელი კი ცხენს მიაჭენებდა და ცხოვრებაში პირველად, გულიანად ტიროდა.

## თავი მეექვსე

## ბრძოლა

ორი კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი ქანელს, საქარიის არმიას რომ მოჰკრა თვალი. ჯარს წინ იანგული მიუძღოდა, მას უკან მხედართმთავრები მოჰყვებოდნენ. შემდეგ კი არმია, რომლის ბოლოსაც თვალს ვერ მიაწვდენდი. ქანელმა კიდევ უფრო ააჩქარა ცხენი და გეზი პირდაპირ იანგულისაკენ აიღო. იანგულმაც შეამჩნია რუხი რაინდი. თავდაპირველად ვერ იცნო, შეჩერდა და მარჯვენა ხელი ასწია, რაც ჯარისთვის გაჩერების ნიშანი იყო. მხედრები ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

- გამარჯობა ძმაო. – მიმართა ქანელმა იანგულს

- გაგიმარჯოს. - იანგული გაკვირვებული შესცქეროდა ძმადნაფიცს, რომელიც დიდად განსხვავდებოდა იმ ყმაწვილისაგან, იანგულმა რომ გაიცნო. დახვეწილი, ულამაზესი ახალგაზრდის ნაცვლად, მის წინ იდგა მკაცრი შესახედაობის რუხი რაინდი.

- ქანელ, ნუთუ ეს შენ ხარ? შეგემთხვა რამე? ხმით უფრო გიცანი ვიდრე გარეგნობით. – იანგულმა ქანელს მხარზე ხელი დაადო. – ძმაო, მომიყევი რა მოხდა. მე ვიცი, რომ შენ ქამეხის ვაჟი ხარ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ელინის ძმა ხარ და ძარღვებში უკეთილშობილესი დედის სისხლი გიჩქეფს.

- იანგულ, ახსნა-განმარტების დრო არა გვაქვს, ვიჩქაროთ, ყინულის არმია გვიახლოვდება, მომყევით.

იანგული დაემორჩილა, ხელით ანიშნა ჯარს უკან გამოჰყოლოდა და ქანელთან ერთად გააჭენა ცხენი ქამეხის არმიის შესახვედრად.

ცოტა ხანში ყინულის ჯარისკაცებიც გამოჩნდნენ და ორი ძალა, ორი უძლეველი არმია ეკვეთა ერთმანეთს. გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა.

უეცრად, ამ ყინვაში, როდესაც სუნთქვის დროსაც კი იყინებოდა ჰაერი, წამოვიდა წვიმა, ძალიან თბილი და ძალიან სასიამოვნო იანგულის მხედრებისათვის. ქამეხის ჯარისკაცები კი, თვალსა და ხელს შუა დნებოდნენ და მათ ნაცვლად პატარ-პატარა გუბეებიღა რჩებოდა. მიუხედავად დნობისა, ყინულის კაცები თავდაუზოგავად იბრძოდნენ. ნახევრად დამდნარებს, რომლებსაც ხელი მაინც შერჩენოდათ, ხმალს იქნევდნენ, რომელი ხმლითაც არაერთი

საქარიელი გამოასალმეს სიცოცხლეს. მაგრამ საბოლოოდ წვიმამ თავისი გააკეთა და უკანასკნელი ყინულის ჯარისკაციც გუბედ აქცია.

- წვიმა? საიდან? – იკითხა ქანელმა.

- ეს სელინაა, მე გამოვიძახე. – მიუგო გრძნეულმა ეფროსმა. სელინაც კაცი-გველმა მოაჯადოვა.

- თუ ასეა, ეს სელინას წვიმად ყოფნის ბოლო დღეა. კაცი-გველი საშიშროებას აღარ წარმოადგენს. მან სამუდამოდ დაჰკარგა ძალა. – წამოიძახა ქანელმა.

წვიმა ნელ-ნელა შეწყდა და ქანელისა და ეფროსის თვალწინ ულამაზესი ქალიშვილი წამოიმართა.

- გამარჯობა გრძნეულო, ყველაფერი ისე შევასრულე როგორც მთხოვე? – იკითხა სელინამ.

- ყოჩაღ, ჩემო ლამაზო, შენ გააკეთე ის, რასაც ასიათასიანი არმია ვერ მოახერხებდა. ტარესი თავის ძმებიანად კი სრულიად უქმად დატოვე. – ღიმილით უპასუხა ეფროსმა.

ქანელი გაოგნებული სახით შესცქეროდა სელინას. ასეთი დახვეწილი სილამაზის ქალი მას ცხოვრებაში არ ენახა.

- საოცრება ხარ სელინა, ნამდვილი საოცრება. – ქანელი აღტაცებული შეჰყურებდა გოგონას და გრძნეულ ეფროსს სიტყვის ამოღებას არ აცლიდა.

- ასეთი სილამაზე სიცოცხლეში არ მინახავს. – აღტაცებას ვერ მალავდა ქანელი. სელინა იდგა თვალებდახრილი, მორცხვად იღიმოდა და შიგადაშიგ ანთებულ მზერას მიაპყრობდა ხოლმე ქანელს.

- მალე მგონი კიდევ ერთი ქორწილი გველოდება. – ჩაიცინა მეფე აბესალმა. ქალი-წვიმა, არაჩვეულებრივადაა მოფიქრებული, კაცი-გველს მშვენიერი ფანტაზია ჰქონია.

სელინა გაღიმებული შესცქეროდა ქანელს. ეს მკაცრი, რუხი რაინდი, რომლის დანახვაზეც უმამაცეს მეომრებსაც კი შიშის ჟრუანტელი უვლიდათ, ნელ-ნელა ისევ დახვეწილ, მომხიბლავ ყმაწვილად გადაიქცა, რაც რათქმაუნდა სელინასადმი გაჩენილი გრძნობით იყო გამოწვეული. ქანელმა სელინას წელზე ხელი მოხვია და ცხენზე შემოისვა.

- მე შენ არსად აღარ გაგიშვებ, სულ ჩემთან უნდა იყო, თანახმა ხარ ცოლად გამომყვე? ჩემთან ერთად კაცი-გველი კი არა, რაც ქვეყნიერებაზე ჯადოქრებია, ვერავინ ვერაფერს დაგიშავებს. – სელინამ თანხმობის ნიშნად გულზე მიადო თავი ქანელს და ღიმილიან სახეზე ცრემლი ჩამოუგორდა.

- გილოცავ ქანელ, შენ ჩვენთან ოჯახიც იპოვე, მეგობრებიც და სიყვარულიც. – მიუახლოვდა იანგული. – სიმართლე გითხრა არასოდეს მჯეროდა რომ მიღალატებდი.

- მე უბედნიერესი კაცი ვარ, და-ძმები მყოლია და არ ვიცოდი. და რაც მთავარია თქვენი წყალობით სიყვარული ვიპოვე, რომელსაც მთელი სიცოცხლე ველოდი. – ქანელმა კიდევ უფრო მაგრად ჩაიკრა გულში სელინა.

- ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ქამეხი სად არის? – უეცრად იკითხა მეფე აბესალმა.

ქანელმა მიიხედა, ხის ძირას სისხლში ამოსვრილი მისი ხანჯალი ეგდო.

- არ ვიცი. – იყო პასუხი. – ძალიან გული მტკივა, მაგრამ ქამეხმა ალბათ სამუდამოდ დაგვტოვა. – ქანელს თვალებზე ცრემლი მოადგა და უხერხულობის გამო აბესალს ზურგი შეაქცია. – მაპატიე მამა. – ჩაიჩურჩულა მან.

- თავს ნუ იდანაშაულებ ქანელ, - მიმართა გრძნეულმა ეფროსმა, ბოროტება ყოველთვის თვითონ ამარცხებს თავის თავს.

ამ დროს, იქვე შორიახლოს ზლუქუნი გაისმა. ყველანი იქით გაემართნენ. საოცარი სურათი გადაიშალა მათ თვალწინ. მიწაზე კაცი-გველი იჯდა და სლუკუნებდა.

- მე ბავშვობიდან პეპელა მინდოდა ვყოფილიყავი. ლამაზი, კეთილი და ნაზი პეპელა. დედაჩემო რატომ არ მომეცი ნება, ვიფარფატებდი ჩემთვის, მზის სხივებში ვიბანავებდი, ჯურღმულში კი არ ვიქნებოდი გამოკეტილი. დედიკო, რატომ დამსაჯე ასე.

მეომრები გაოგნებული შესცქეროდნენ ამ ბოროტების განსახიერებას, რომელიც ახლა მხოლოდ სიბრალულს იწვევდა მათ გულებში.

უეცრად ზემოდან საშინელი გრგვინვის და ქალის კივილის ხმა გაისმა. ხალხი შეშფოთდა, ყველამ ერთდროულად ზემოთ აიხედა. მათკენ შავი ეტლით მოჰქროდა, შავებში ჩაცმული ქალი, ქარი თეთრ თმას უწეწავდა, რომელზეც შავი გვირგვინი ედგა. ქალი არაადამიანური ხმით კიოდა და თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა.

- ეფმადორა! – დაიყვირა გრძნეულმა ეფროსმა.

ეტლი მიწაზე დაეშვა. ქალი გადმოხტა და კაცი-გველისაკენ გაიქცა.

- ეფმადორა, აქ რამ მოგიყვანა? – ჰკითხა ეფროსმა. ეფმადორამ არაფრად ჩააგდო ეფროსის შეკითხვა და კაცი-გველს მიუახლოვდა.

- შვილო, ჩემო უსაყვარლესო შვილო, ჩემო პატარა პეპელა, მაპატიე თუ შეგიძლია. – ქვითინებდა ეფმადორა. – მე შენ თან წაგიყვან. სულ ჩემთან იქნები, ყველაფერს შეგისრულებ, ოღონდ მაპატიე. – არ ცხრებოდა ქალი.

- შვილო? – გაკვირვებულმა და ამავე დროს განრისხებულმა ეფროსმა ეფმადორას შეხედა. – ეს ბინძური გველი შენი შვილია? ესეიგი ჩემი ძმაა? ეს შეუძლებელია.

- ჰო, ეფროს შენი ძმაა. ძმებში ყველაზე კეთილი და ნაზი ბუნების სწორედ ეს ურჩხული იყო. მთელი ბავშვობა მზის სხივებს ეთამაშებოდა. ჩიტი ან პეპელა უნდოდა გამხდარიყო. მთელ არამარეს მისი კისკისი აყრუებდა. ერთ მშვენიერ, უფრო სწორედ უბედურ დღეს, მართლა გამოება პეპლის ფრთები და ნელ-ნელა, ნარნარით დაიწყო მაღლა მზისკენ ფრენა. მაშინ კი აივსო ჩემი მოთმინების ფიალა. საუკუნეების მანძილზე არც ერთ ჯადოქარს არ უგემია ასეთი სირცხვილი, როგორც ჩემს ოჯახს. სწორედ მაშინ იყო, რომ დავწყევლე საკუთარი შვილი, არც დავფიქრებულვარ, თუ რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. დავწყევლე, რომ მზის სხივი ცხოვრებაში ვეღარ ეხილა და მთელი თავისი ცხოვრება ჯურღმულებში მცოცავ არსებად გადაქცეულს გაეტარებინა. დავწყევლე და იმ წუთშივე მწარედ ვინანე. რაც ვნახე, ჯობდა არ მენახა, ან იქვე მოვმკვდარიყავი. როგორ არ ვეცადე, რანაირი ჯადოქრობა არ გამოვიყენე, მაგრამ ჩემი შვილი ვეღარ დავიბრუნე. ის ვეღარც მე მცნობდა და ვეღარც საკუთარ ძმებს. მის მახინჯ სხეულში, კიდევ უფრო მახინჯი სული ჩასახლდა. მხოლოდ ბოროტება ასულდგმულებდა და ძალას მატებდა. მაშინ ჩავიქნიე ხელი, ჯადოქრობას თავი მივანებე და აქედან ძალიან შორს, ადამიანის ხმას რომ ვერ გავიგებდი, იქით გადავიკარგე. უცნაურია, მაგრამ დღეს ჩემი შვილის ტირილის ხმა მომესმა, თითქოს ჩემს გვერდით იჯდა და საცოდავად ზლუქუნებდა. – ეფმადორამ დაამთავრა საუბარი, კაცი-გველი პატარა ბავშვივით ხელში აიყვანა, ეტლში ჩასვა და გაუჩინარდა.

ყველა დადუმებულიყო. გრძნეული ეფროსი ჩუმ-ჩუმად იწმენდდა ცრემლებს.

კარგა ხნის შემდეგ, პირველი მეფე აბესალი მოეგო გონს.

- ყველაფერი დამთავრდა ჩემო ეფროს, ალბათ ეს საუკეთესო გამოსავალია. შენს ძმას აღარაფერი ეშველება. სამაგიეროდ დედის გვერდით იქნება და პეპლობაზე იოცნებებს. შეიძლება ოდესმე კიდეც აისრულოს ოცნება. ახლა კი დავიძრათ, ქალები გველოდებიან.

ჯარმა საქარიისაკენ აიღო გეზი. ჯარს წინ იანგული და ქანელი მიუძღოდნენ. სელინა ცალკე ცხენზე იჯდა და თავი ისე ეჭირა გეგონება მთელი ცხოვრება ცხენის ჭენებაში გაატარაო. აქა-იქ სიმღერაც წამოიწყეს.

უცებ ქარმა წამოუბერა. ჰა, ჰა, ჰა, მოესმათ მეომრებს.

- რა ხმაა? – იკითხეს ცოტა შეშფოთებულებმა.

- არაფერი, ამინდი იცვლება, ქარის ხმაა. – უპასუხა იანგულმა. იანგულის ნათქვამმა დააწყნარა ხალხი და ქალაქში მშვიდად შევიდნენ.

ჰა, ჰა, ჰა – არ ჩერდებოდა ქარი.

ქარი თუ. . . . . .

# საქარია

# მესამე ნაწილი

## თავი პირველი

## ეფმადორას სამფლობელო

ეფმადორა ძალიან ბედნიერი იყო. მისი ყველა შვილი სწორ გზას ადგა. უმცროსი ვაჟი, ევპრისი (ჩვენ რომ, კაცი-გველის სახელით ვიცნობთ), თავისთან ჰყავდა. ევპრისი პეპლის საჭერით დარბოდა. პეპელას რომ დაიჭერდა, თავის გაუგებარ ენაზე რაღაცას ეტყოდა, ოდნავ სულს შეუბერავდა და გაუშვებდა. მერე მეორეს დაიჭერდა და ასევე ესაუბრებოდა.

პეპლებს მთელი ქვეყანა ჰქონდათ ნანახი, აქედან გამომდინარე მიწაზე და მიწის ზემოთ რაც ხდებოდა, ყველაფერი იცოდნენ. მათ ძალიან უყვარდათ ევპრისი, სიამოვნებით ესაუბრებოდნენ და ათას საინტერესო ამბებსაც უყვებოდნენ.

ევპრისი სულგანაბული უსმენდა და სახე ბედნიერებისაგან უბრწყინავდა, რადგან ყველგან ყველაფერი კარგად იყო. ერთ მშვენიერ დილას, როდესაც მზის სხივი ევპრისს სახეზე ელამუნებოდა, მოფრინდა მისი მეგობარი პეპელა-ირი, ირის პეპლის საჭერი, დიდი ხანია არ სჭირდებოდა. რაიმე საინტერესოს რომ ნახავდა, მოფრინდებოდა ხოლმე ევპრისთან და წვრილ-წვრილად უყვებოდა ახალ ამბებს.

_ ძვირფასო ევპრის, _ ნაზად დაიწყო პეპელამ. ლამაზი, ცისფერ-ვარდისფერი ფრთები დაიფერთხა და გააგრძელა. _ რომ იცოდე რა არაჩვეულებრივი ქვეყანა მოვინახულე. საქარია ჰქვია თურმე. არაჩვეულებრივი იმითაა, რომ იმ ქვეყანაში მხოლოდ გაზაფხული და ზაფხულია. შემოდგომა და ზამთარიც კი თბილია. მთელი წელი სურნელოვანი ყვავილები ყვავის, სამოთხეა პირდაპირ ჩემთვის. _ პრანჭვით დაამთავრა ლაპარაკი პეპელამ.

_ საქარია? საქარია! _ რაღაც მეცნობა, _ ცოტა მოიღუშა ევპრისი, _ ვინ მეფობს მაგ შენს საქარიაში?

_ აბესალს ეძახიან, მეფე აბესალს. მაგრამ ძალიან მოხუცია, ამბობენ მალე მისი ვაჟი, იანგული გამეფდებაო. მხედარმთავრად იანგულს თავისი ცოლის ძმა დაუნიშნავს. _ არ ჩერდებოდა ცისფერ-ვარდისფერი პეპელა. ევპრისს ნელ-ნელა სახე ეცვლებოდა, სულ უფრო და უფრო იღუშებოდა.

_ იმ შენი სამოთხის მხედართმთავარს ქანელი ხომ არ ჰქვია?

_ ჰო, ჰო, ქანელი ჰქვია, ახლა გამახსენდა. ასე თქვეს, ძალიან ბოროტი მამა ჰყავდაო.

_ ქამეხი? _ შეცვლილი ხმით იკითხა ევპრისმა.

_ ჰო, ქამეხი. ძალიან ცუდი კაცი ყოფილა, ბოროტი გრძნეული ჰყოლია. თავზე, მგონი გველები ება. ყველა საზიზღრობა მისი მოფიქრებული და გაკეთებული ყოფილა. ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ. მაგრამ შეიძლება ჭორიცაა , რა ვიცი აბა?! _ კიდევ ერთხელ ააფახულა ფრთები პრანჭია პეპელა-ირიმ.

ევპრისი ქვაზე ჩამოჯდა. უცაბედად ყველაფერი გაახსენდა. მხრებში მოიხარა, ღრმა მოხუცს დაემსგავსა საოცრად.

_ ეჰ, ჩემო ძველო მეგობარო, სამწუხაროდ ყველაფერი მართალია. მეტსაც გეტყვი...

_ მოიცა, მოიცა. ჰო, კიდევ ამბობენ ქამეხი სადღაც ტყეში ზის მარტოდ-მარტო და ოცდაოთხი საათი ლოცულობს და ტირისო. _ ატკრციალდა ისევ პეპელა-ირი და ლამაზი Fფრთები თათებით შეისწორა.

_ ლოცულობსო? ქამეხი? ჰა, ჰა, ჰა, _ გადაიხარხარა ევპრისმა. მის სიცილში რაღაც ავის მომასწავებელი იგრძნობოდა. პეპელამ ევპრისს გაფართოებული თვალები მიაპყრო.

_ ევპრის, რა დაგემართა? _ ჰკითხა შეშინებულმა.

_ ჩემო ლამაზო, ნაზო და მშვენიერო. შენ წეღან სიტყვა გამაწყვეტინე. ადრე ჩემთან ასე მოქცევას ვერავინ ბედავდა. იცი ის ბოროტი გრძნეული ვინ იყო? იცი ის ურჩხული, რომელიც ისეთ საქმეებს სჩადიოდა, რომ ყველა სულიერს ძარღვებში სისხლი ეყინებოდა ვინ იყო? იცი ვინ იყო კაცი-გველი? _ ნელ-ნელა ხმას უწევდა ევპრისი.

_ ააარ ვიიცი _ ხმა აუკანკალდა ირის.

_ მე ვიყავი, მე. _ სიამაყით დაიყვირა, უფრო სწორედ უკვე დაიქუხა ევპრისმა.

_ სახე ნელ-ნელა შეეცვალა. ნაკვთები თითქოს წაეშალა, მხრებში გაიშალა, გაიზარდა, “მეშველა” _ ერთი კი ამოიგმინა და პეპლის წინ კეთილი ევპრისი კი არა, ურჩხული იდგა. სამთავიანი ნამდვილი ურჩხული. ისეთი როგორიც პეპელას საშინელ სიზმრებშიც კი არ უნახავს.

_ მე წავალ. _ამოიჩურჩულა მან.

_ არსადაც არ წახვალ, შენ ჩემი ერთადერთი კეთილი მოგონება ხარ, რომელიც მე არაფერში არ მჭირდება. მშვიდობით. _ ევპრისმა მახინჯი თათი დააბიჯა ასაფრენად მომზადებულ პეპელა-ირის და თვალის დაუხამხამებლად გასრისა. ცისფერ-ვარდისფერმა პეპელამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. მხოლოდ თვალები დახუჭა, ალბათ სიკვდილის წინ ამ სიმახინჯისათვის რომ არ ეცქირა.

_ ახლა ძვირფას დედაჩემს მივხედო. _ ურჩხული-ევპრისი გაავებული შევარდა ეფმადორას სასახლეში, სადაც საოცარი სიმყუდროვე სუფევდა. ეს სიმყუდროვე თვით ევპრისის დამსახურება იყო.

_ დედა! დედა! _ ღრიალებდა ურჩხული.

_ ვაიმე, რა მოხდა? _ ეფმადორა დილიდან აწრიალებული იყო, ახლა კი მიხვდა მიზეზს. _ ევპრის, რა მოგივიდა? _ მშვიდი ხმით იკითხა მან.

_ მათრახი! ჩქარა მათრახი მომეცი, მივდივარ.

_ სად მიდიხარ შვილო, შენ არსად არ მიგიღებენ ამ სახლის გარდა. ჩემს გარდა შენ არავის სჭირდები. _ მოფერებას ეცადა ეფმადორა.

_ მადლობა მითხარი ცოცხალს რომ გტოვებ. ისიც იმიტომ რომ, ოდესმე შეიძლება დამჭირდე. მათრახი მომეცი, მე სწორედ იქ მივდივარ სადაც ყველაზე უფრო საჭირო ვარ, თორემ ერთმანეთის Fფერებაში ამოხდებათ სული. მე მივეხმარები. _ ევპრისს ხმაში აღტყინება დაეტყო.

_ შენ რა იცი, როგორი სიამოვნებაა ადამიანის სხეულს სულისგან რომ ათავისუფლებ. _ ევპრისმა მათრახი აიღო და ეფმადორას ეტლში ჩაჯდა. _ მშვიდობით დედა, თუ დავბრუნდი ესე იგი დავმარცხდი. სჯობს ილოცო რომ არ დავბრუნდე. _ ურჩხულმა ცხენებს მათრახი გადაუჭირა და გაქრა.

ეფმადორა მწარედ აქვითინდა, ყველაფერში ისევ თავს იდანაშაულებდა. რომ არა ის პირველი წყევლა, არაფერი მოხდებოდა. ადგა, გარეთ გამოვიდა. ახლა მას სამყაროსთან ყოველგვარი კავშირი უკვე გაწყვეტილი ჰქონდა. ეტლი ხომ ურჩხულმა-ევპრისმა წაიყვანა.

უცებ კვნესის ხმა მოესმა. დაიხედა. იქვე, გასრესილი პეპელა-ირი ეგდო, რომელსაც ჯერ კიდევ სიცოცხლის ნიშანწყალი შერჩენოდა.

_ ღმერთო ჩემო, _ ამოიოხრა ეფმადორამ, პეპელა ნაზად ხელში აიყვანა და სახლში შევიდა, მაგიდაზე დააწვინა, ჯიბიდან გასაღებების აცმა ამოიღო, ერთ-ერთ კუთხეში მდგარი შეუხედავი კარადა გამოაღო, შუშის პატარა ბოთლი აიღო და რამოდენიმე წვეთი პეპელას დააპკურა. ირი შეიშმუშნა, შეაკანკალა და წამში ფეხზე დადგა. ფრთები ჩამოიფერთხა, თვალები ააფახულა და გაკვირვებული შეაცქერდა ეფმადორას.

_ ევპრისი სად... არა, ის ურჩხული სად არის?

_ ევპრისი წავიდა. გული ძალიან ცუდს მიგრძნობს. მე თვითონ ვერ მივდივარ. ეტლი მან წაიყვანა. სანამ ელექსირს დავამზადებ, რომ მე თვითონ გავფრინდე, დიდი დრო გავა. ამიტომ შენ გავალებ. _ გაუჩერებლად ლაპარაკობდა ეფმადორა.

_ ჩახვალ საქარიაში, მოძებნი გრძნეულ ეფროსს. ისიც ჩემი ვაჟია. ყველაფერს მოუყვები, მან იცის როგორ იმოქმედოს, რამეს მოიფიქრებს. ჩემს ვაჟებში ის ყველაზე დიდი გრძნეულია. მალე ალბათ მეც შემოგიერთდებით.

_ მადლობას მოგახსენებ ეფმადორა. სიკეთეს, სიკეთით გადაგიხდი. _ პეპელა-ირი შებრუნდა და რამდენადაც შეეძლო სწრაფად გასცილდა იქაურობას.

## თავი მეორე

## იანგულის გამეფება და ქამეხის აღსასრული

სასახლეში დიდ მწუხარებას დაესადგურებინა. სრულიად საქარიის მეფე აბესალი სარეცელზე იწვა და წუთებს ითვლიდა.

_ იანგულ, _ მიმართა ჩურჩულით აბესალმა თავის ვაჟს. _ სამეფო შენს ხელში გადმოდის. ეცადე კეთილშობილი, მაგრამ ამავე დროს მკაცრი მეფე იყო. ღარიბს დაეხმარე, მდიდარს კი ნუ წაართმევ. სიკეთე დათესე. ბოროტებას, შურს და ღალატს არ შეეგუო. ქამეხი თუ ცოცხალია, ეცადე შემოირიგო. ის ახლა მარტოა და ადამიანური სითბო სჭირდება. _ იქვე კუთხეში მდგარმა ქანელმა წინ წამოდგა ნაბიჯი, თვალები უელავდა. _ პატიება ისწავლეთ ახალგაზრდებო, პატიება, მაშინ მიხვდებით, რომ ადამიანი ხშირად ბოროტებას უმეცრებით სჩადის. _ კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა მეფე აბესალს, მაგრამ ვეღარ მოახერხა, ღრმად ამოისუნთქა და სული ღმერთს ჩააბარა.

რამოდენიმე დღე არ იყო გასული, რომ დედოფალი ვერ შეეგუა ქმრის არყოფნას და მანაც განუტევა სული. მეფე_დედოფალი დიდი პატივით დაკრძალეს. თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ მეფეები, თავიანთი მხლებლებით. რათა გამომშვიდობებოდნენ აბესალ მეშვიდეს, რომელსაც მთელს სამყაროში უძლიერეს და უკეთილშობილეს მეფედ მიიჩნევდნენ.

სამეფო ტახტი იანგულმა ჩაიბარა. იანგულ პირველი, ასე აკურთხეს იგი მეფედ. გრძნეული ეფროსი და ქანელი სულ გვერდზე ჰყავდა იანგულს. რადგანაც უფლისწულობა ერთია, მაგრამ ამხელა ქვეყნის მართვა ყმაწვილისათვის ძალზედ რთული აღმოჩნდა.

_ ძალიან ცუდი წინათგრძნობა მაქვს იანგულ. _ მიმართა მეფეს გრძნეულმა ეფროსმა. _ კაცი-გველი აღარ არსებობს, ქამეხი ტყეშია და ცოდვებს ინანიებს. ვის უნდა უნდოდეს საქარიის განადგურება? არა და ვგრძნობ, მძიმე დღეები გველის.

_ ეფროს, შენ მამაჩემის გარდაცვალებით ხარ დამწუხრებული და მძიმე ფიქრებიც მოგეძალა. დამშვიდდი. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ იმდენი ძალა გაგვაჩნია, რომ მტერს სათანადოდ გავუმკლავდეთ. მითუმეტეს, როდესაც ქანელია მხედართმთავარი.

ეფროსი მაინც აწრიალებული იყო.

_ უნდა განვმარტოვდე, უნდა მივხვდე საფრთხე საიდან მოდის. თუ არა და ჩემს ძმებს დავიხმარიებ. დროა მათთან ურთიერთობა აღვადგინო. დღეს ჩვენს ქვეყანას ასე სჭირდება, ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ.

ამავე დროს, საქარიიდან ძალიან შორს, მეშვიდე უღრან ტყეში ქამეხი განმარტოებით ცხოვრობდა. დილიდან საღამომდე ლოცულობდა. ცოდვების მონანიება სურდა, ღმერთთან შეხვედრისა ეშინოდა. "ქანელ, ქანელ" ჩურჩულებდა დღეების განმავლობაში. ხანაც ხმამაღლა უძახდა თავის ვაჟს. კი არ ყვიროდა, არამედ მხეცივით ღრიალებდა და თვალებიდან ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. ამ დროს ტყე ზანზარებდა, შეშინებული ცხოველები კი სოროებში იმალებოდნენ. საცოდავი შესახედი იყო ქამეხი. მისი ტანსაცმელი ძონძებად ქცეულიყო, წვერი ლამის მუხლამდე გაზრდოდა, არც იბანდა. ასე ისჯიდა თავს ქამეხი საკუთარი ცოდვების გამო.

ერთ ჩვეულებრივ დილას, ქამეხმა საოცრად მშვიდად გაიღვიძა. თვითონვე გაუკვირდა, რატომ იყო სიხარულით სავსე მისი გული. ლოცვა დაიწყო, თავდავიწყებით ლოცულობდა, სახე უცოდველი ბავშვივით უღიმოდა.

უცებ ციდან საშინელი გრუხუნის ხმა მოესმა, ზევით აიხედა. "ქამეხ, ქამეხ", მოესმა ნაცნობი ხმა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა. "არა, ეს შეუძლებელია, საიდან მომაგნო. თუმცა არა, ეს კაცი-გველი არ არის, ვიღაც სხვაა, მაგრამ ხმა რომ უგავს"? ფიქრობდა ქამეხი და თანდათან იძაბებოდა. შეცდომა შეუძლებელი იყო. ქამეხი ყველაფერს მიხვდა. მისკენ კაცი-გველი, ევპრისი- ურჩხული მოემართებოდა.

ეტლი მიწაზე დაეშვა, საიდანაც საშინელი შესახედაობის, უზარმაზარი ურჩხული გადმოვიდა და რამდენადაც შეეძლო გაღიმებული სახით (უფრო სწორედ, სახეებით) ქამეხისაკენ გაემართა.

_ ქამეხ, მეგობარო, როგორც იქნა მოგძებნე. _ ხრიალით ლაპარაკობდა ურჩხული-ევპრისი და ქამეხს მხარზე ტორს უტყაპუნებდა. _ რას დამსაგავსებიხარ, უჩემობა დაგეტყო არა? _ საზიზღრად ჩაიხითხითა მან.

_ შენ ვინა ხარ? _ კითხვაზე კითხვით უპასუხა ქამეხმა.

_ შენი მეგობარი, კაცი-გველი, აღარ გახსოვარ? ახლა უფრო ძლიერი ვარ და ტორის ერთი დარტყმით შემიძლია საქარიის განადგურება.

_ კაცი-გველი ჩემი მეგობარი არასდროს ყოფილა, შენ კი საერთოდ არ გიცნობ. _ თავი მოისულელა ქამეხმა. _ მეორეც ერთი, რას გადაეკიდე საქარიას. საქარიასთან და მეფე აბესალთან მე ჩემი ანგარიში მქონდა, მაგრამ მეფე აბესალი გარდაიცვალა. მე თვითონ კი იმდენი ცოდვა ჩავიდინე ამასობაში, რომ ასი წელი რომ ვილოცო და კიდევ ასი წელი ჩემი შვილის ფეხებთან ვიგორაო, პატიებას ვერ ვეღირსები. ასე რომ, მე და შენ ერთ გზაზე ვერ ვივლით.

_ ხუმრობ? _ ამოიხრიალა ურჩხულმა.

_ მე ხუმრობის ხასიათზე არა ვარ ჩემო..... ვინც არ უნდა იყო. თუ კაცი-გველი ხარ, ისევ ჯურღმულშია შენი ადგილი და თუ ევპრისობას იჩემებ, სდიე ისევ პეპლებს. ყველაზე კარგად ეგ გამოგდის. ეგ არის შენი ნამდვილი მოწოდება.

ურჩხული-ევპრისი სიბრაზისაგან გამწვანდა, (ვერ გაწითლდებოდა, რადგან შედედებული სისხლის ფერი, ხორკლიანი ტყავით იყო დაფარული.

_ შენნაირ ამაზრზენ ცხოველთან საუბარიც არ მინდა. რომ გელაპარაკები, საკუთარი თავი მეზიზღება. _ მიუგო ქამეხმა, ზურგი შეაქცია და თავის ქოხს შეაფარა თავი.

_ გამოეთრიე, გამოეთრიე-მეთქი შე ვირთხა. თუ რამეს წარმოადგენდი, ჩემი წყალობით. _ ურჩხულმა ტორი დაჰკრა ქამეხის ქოხს და ნაფოტებად აქცია. ქამეხი იდგა და დამცინავი თვალებით შესცქეროდა მონსტრს, რომელთანაც მართლა აკავშირებდა დიდი ხნის ახლობლობა.

_ ვერ გადამირჩები, ცოცხალი ვერ გადამირჩები, _ ხრიალებდა ყოფილი კაცი-გველი და ყველა პირიდან დორბლი სდიოდა.

_ მეც ეგ მინდა, საცოცხლებელი არა ვარ, შენნაირ სიბინძურესთან რომ მქონდა ურთიერთობა. _ ქამეხმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ევპრისმა თათით აიტაცა ჰაერში და ძირს დაანარცხა, შემდეგ ტორი დააბიჯა და ძვლები გადაუმსხვრია.

_ სწორედ ეს მინდოდა მეგობარო, სიცოცხლეში პირველად შენ კეთილი საქმე ჩაიდინე. ეგებ ახლა მაინც მაპატიოს ჩემმა შვილმა. _ ქამეხმა გაიღიმა და ასე გაღიმებული წავიდა ამ ქვეყნიდან.

_ ხომ გითხარი არ გაცოცხლებ- მეთქი, შე მართლა საცოდავო ვირთხა. _ წამოიძახა ურჩხულმა, ეტლს მოახტა და გაცეცხლებულმა  ცხენებს მათრახი გადაუჭირა. შემდეგ შეჩერდა, ეტლიდან გადმოვიდა, ქამეხს დააცქერდა. _ ეს რა ვქენი, ხომ შემეძლო დამეყოლიებინა. თუმცა არა, ჭკუიდან იყო უკვე შეშლილი. ძალიანაც კარგი, მაგის ადგილი მაინც ჯოჯოხეთშია.

ურჩხული-ევპრისი ქვაზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. _ რა ვაქნა, მარტო ვერ გავუმკლავდები იმ უბედურ საქარიელებს. არა და ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვსპო მაგათი ჯიში. ვინ დამეხმარება, ვინ დამიდგება გვერდში ერთგულად. _ ევპრისს უცებ სახე გაუნათდა. _ მიწისქვეშეთის მბრძანებელი, დიდი ჯურხანი, ჯურღმულების მეფე, აი ვინ არის ჩემი მშველელი. _ ურჩხული გახარებული წამოხტა. _ ჯურხან, დიადო ჯურხან გამომეხმაურე, სათხოვარი მაქვს. ჯურხან, დიდო მბრძანებელო. _ საზიზღრად ხრიალებდა ევპრისი-ურჩხული.

უცებ თითქოს მიწა იძრაო. უზარმაზარი ნაპრალი გაჩნდა და მიწისქვეშეთიდან ჯურღმულების მეფე, ჯურხან-მახრჩობელა ამოიმართა.

_ ვინ მეძახდა, შენ ვინა ხარ?! სიმშვიდე რომ დამირღვიე. _ მიმართა ევპრისს განრისხებულმა ჯურხანმა. თვალები თითქოს არა აქვსო, თვალების ადგილას ღრმულები უჩანდა. შავებში იყო გამოწყობილი და თვითონაც შავი ფერისა იყო.

_ დიადო ჯურხან, ეს მე ვარ ევპრისი, კაცი-გველი, ახლა უკვე კაცი-ურჩხული, ნუთუ ვერა მცნობ. მე წლების მანძილზე, შენთან ჯურღმულებში ვცხოვრობდი. ხშირად პურიც კი ერთად გაგვიტეხია.

_ ჰო გიცანი, ახლა გიცანი. ძალიან შეცვლილხარ, გალამაზებულხარ ჰა, ჰა. კარგი, ხუმრობა იქით იყოს, რა გინდა?! _ ევპრისი- ურჩხული ჯურხან მახრჩობელასთან ახლოს მიჩოჩდა და ჩურჩულით დაუწყო ლაპარაკი.

მოსაღამოვდა, დაღამდა, ეს ორი ამაზრზენი შესახედაობის არსება კი გათენებამდე აგრძელებდა საუბარს.

## თავი მესამე

## საქარია თავდაცვისათვის ემზადება

დიდხანს იფრინა ცისფერ-ვარდისფერმა პეპელა-ირიმ. დაიღალა. ხან წვიმაში მოხვდა, ხან ქარი მიაქროლებდა გაურკვეველი მიმართულებით. გადაწყვიტა დაესვენა. ფერად-ფერადი ყვავილებით მოფენილ ბუჩქზე ჩამოჯდა და არომატულ წვენს დაეწაფა. ისეთი მოშიებული იყო, რომ ვერც კი შეამჩნია, იქვე ქვაზე ჩამომსხდარი და ხმადაბლა მობუბუნე ორი საზარელი არსება.

პეპელამ შიშისაგან კინაღამ შეჰკივლა, მაგრამ თავი შეიკავა. თვალებში შიში ჩაუდგა.

_ შეუძლებელია, ნუთუ ვერ უნდა დავაღწიო თავი ამ ურჩხულს? _ სასოწარკვეთით ჩაიჩურჩულა პეპელა-ირიმ. _ ნეტავ რაზე საუბრობენ? ან მეორე მონსტრი ვინ არის, მკვდარს რომ ჰგავს? _ პეპელა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ახლოს მიუჩოჩდა მოსაუბრეებს. ამ ადგილიდან, გარკვევით ისმოდა ლაპარაკი.

_ უნდა გაანადგურო ჯურხან, საერთოდ მოსპო და აღგავო პირისაგან მიწისა. საქარიამ აღარ უნდა იარსებოს. უფრო სწორედ, საქარიელებმა, თავისი ლაწირაკი, ცხვირმოუხოცავი მეფიანად. ქვეყანა კი, მე დამრჩება, მე ვიქნები საქარიის მეფე, ოღონდ სახელს გადავარქმევ, ცოლს მოვიყვან, გავმრავლდებით და სულ ჩვენ ვიქნებით.

_ შენ რა, შეყვარებული ხომ არ ხარ შემთხვევით? _ ჩაიღიმა ჯურხანმა. _ ურჩხულმა თავი დახარა, უფრო სწორედ თავები და ჩაიჩურჩულა.

_ ჰო, მგონი.

_ ჰა, ჰა, ჰა, შენ და სიყვარული? ძალიან გამამხიარულე ხომ იცი, ვინ არის ის ბედნიერი, შენნაირ ვაჟკაცთან რომ უნდა შექმნას ტკბილი ოჯახი? _ ურჩხულმა კიდევ უფრო დაუწია ხმას.

_ ქალი-ყინვა.

_ ქალი-ყინვა? შენ გაგიჟდი? ის ხომ მზეთუნახავია, შენნაირ მახინჯს ზედაც არ შეხედავს.

_ გეგონოს, ჯურხან ძვირფასო, ჩვენ ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი. იმ დროიდან, თუ გახსოვს, პეპლებს რომ დავდევდი. ჩემი გულისათვის ზამთარს აჩერებდა და გარშემო სულ სითბო იყო.

_ ეგეთი სიყვარული თუ გქონდათ, ასე რამ გაგაბოროტა? _ გაიკვირვა ჯურღმულების მბრძანებელმა.

_ სიმახინჯემ, ჩემო ჯურხან, სიმახინჯემ. მაგრამ, ამას წინათ ქალი-ყინვამ მითხრა, როგორიც არ უნდა იყო, მაინც მეყვარებიო.

_ მეცოდები ევპრის, მართალია ეს ჩემთვის უჩვეულო გრძნობაა, მაგრამ ორივე შემთხვევაში დაღუპული ხარ.. _ ურჩხულმა გაკვირვებით შეხედა ჯურხანს, მაგრამ მის თვალებში სისასტიკის მეტი ვერაფერი ამოიკითხა, რამაც, გაურკვეველი, ეჭვი გაუჩინა თვით მოსაუბრის მიმართ. რაც შეეხება საქარიას, მეც დიდი ხანია თვალი მიჭირავს მაგ ქვეყანაზე, ასე რომ, ბუნაგი შენთვის და ქალი- ყინვასათვის სხვაგან ეძებე. საქარია ჩემი უნდა გახდეს. “ჯურღმულეთის მშვენება” ერქმევა. საქარია-შაქარია, რა სახელია, ტფუ, _ გადააფურთხა ჯურხანმა. ძალიან მშრომელი ხალხია, გამომადგებიან. ჩემთან ბევრი საბადოა და დიდი მუშახელი მჭირდება. ცოტა ხანში საქარია თავისი ხალხით მიწისქვეშეთში აღმოჩნდება, ისე რომ თვითონაც ვერ მიხვდებიან, თუ როგორ გადაიქცა მათი მზიანი საქარია, ჯურღმულეთის ერთ-ერთ ნაწილად, “ჯურღმულეთის მშვენებად”. ჰა, ჰა, ჰა, _ მხიარულობდა დიდი ჯურხანი და შიგადაშიგ ურჩხულ-ევპრისს ირონიულად გადახედავდა ხოლმე. ევპრისი იჯდა მხრებჩამოყრილი.

_ ამისთვის მოვკალი მეგობარი ქამეხი? ამისათვის გავსრისე ჩემი უსაყვარლესი პეპელა-ირი?

_ პეპელა-ირი არ გაგისრისავს, უფრო სწორედ, ვერ გასრისე. ვფიცავ, შენს გაჩენაში ღმერთის ხელი არ ურევია. _ ჩურჩულებდა პეპელა.

_ ამისათვის გავამწარე დედაჩემი? _ წამიერად სინანულმა ჩამოუქროლა ურჩხულის სულს, მაგრამ, მხოლოდ წამიერად და სამუდამოდ დატოვა ეს მახინჯი და გახრწნილი ბუნების საზარელი არსება. _ კარგი, საქარიას რაც გინდა ის უქენი, _ გამოერკვა ევპრისი, _ მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს, მეფე იანგულის კვერთხი, მე უნდა ჩამიგდო ხელში.

_ მეფის კვერთხი რაღად გინდა, რა თავში იხლი? _ გაიკვირვა ჯურხანმა. ეგეთ კვერთხს, ხუთს მოგცემ თუ გინდა. ამოირჩიე: ოქროსი, ვერცხლის, მარგალიტითა და იაგუნდით მოჭედილი.

_ არა, არა. მომეცი პირობა ჯურხან, კვერთხი ჩემია, ჩემი ხელითაა დამზადებული. ეს ერთადერთია რაც მე მჭირდება, დანარჩენი ეშმაკსაც წაუღია. _ საცოდავად ემათხოვრებოდა ევპრისი ჯურხანს.

_ კარგი, მოვილაპარაკეთ. ორ-სამ დღეში საქმეს ბოლომდე მივიყვან, მეოთხე დღეს აქ დამელოდე. ჰო, შენთვის ბუნაგი მოძებნე, ასე ნუ დადიხარ, ვინმეს არ შეუყვარდე. ჰა, ჰა, ჰა _ გადაიხარხარა ჯურხანმა. იქვე მიწა გაიხსნა და მიწისქვეშეთის მბრძანებელი თან ჩაიყოლა.

ევპრისი-ურჩხული კი წაბაჯბაჯდა ბუნაგის საძებნელად, რათა დღისით დამალულიყო, რომ ვინმეს შემთხვევით თვალი არ მოეკრა მისთვის.

პეპელა-ირი როგორც კი მიხვდა, რომ მისი აღმოჩენის საშიშროება აღარ იყო, ლამაზი ფრთები შეიფერთხა და საქარიისაკენ აიღო გეზი.

საქრიელები განცხრომას მისცემოდნენ. ქეიფსა და ღრეობაში ატარებდნენ ძირითად დროს, ერთადერთი, გრძნეული ეფროსი იყო დადარდიანებული.

_ იანგულ, ბოდიში მომითხოვია, საქმეს რომ მოგწყვიტე, მაგრამ სალაპარაკო მაქვს, ქანელსაც სთხოვე შემოგვიერთდეს. _ ეფროსის საუბარში ირონია იგრძნობოდა, მაგრამ იანგულმა არ შეიმჩნია და თავი დაუკრა. გრძნეული გარეთ გავიდა და ბაღში სკამზე ჩამოჯდა. იანგული და ქანელიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

_ იანგულ, ძალიან მიჭირს ლაპარაკი, მაგრამ, მამაშენის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანა უკან-უკან მიდის. აღარავინ მუშაობს, აქაოდა მტრები აღარ გვყავსო, სულ ქეიფსა და დროსტარებაში არიან. შენ უკვე მეფე ხარ და არა უფლისწული, მეტი პასუხისმგებლობა გმართებს. შენ რაღას უყურებ ქანელ, რატომ არ ეტყვი შენს მეგობარს რასაც ფიქრობ?

_ ვეუბნები ეფროს, მაგრამ უშედეგოა ჩემი მცდელობა, რაიმე შევცვალო. სამეფო კვერთხს ხელიდან არ უშვებს, დაჰკრავს ძირს და დარტყმის ადგილიდან ოქროს ვაშლი ამოგორდება. აიღებს ვაშლს, ვინმეს ესვრის და ეუბნება: “რად გინდა მუშაობა, აჰა, ეს ვაშლი ერთი თვე გეყოფაო”.ყოველ დარტყმაზე ახალ-ახალი ოქროს ვაშლი გორდება.

_ ეგ კვერთხი აბესალის ნაქონი არ არის, მახსოვს იანგული მეფედ რომ აკურთხეს, უცნობი მეფის იუველირმა მოუტანა საჩუქრად, კარებთან დადო და გაუჩინარდა.

_ მახსოვს, მახსოვს _ ჩაერია საუბარში იანგული, ხელში ისევ ის კვერთხი ეპყრა. _ ულამაზესი ნივთია, იშვიათი ნაკეთობაა. _ იანგულმა დაჰკრა ძირს კვერთხი და იქვე ოქროს ვაშლი გამოგორდა. _ საოცარი რამაა _ გაიღიმა ბედნიერად.

_ ეგ კვერთხი უნდა გავანადგუროთ, ჩემი აზრით, სწორედ ეგ არის მთელი უბედურების მიზეზი. იანგულ, მომეცი, _ ხელი გაუწოდა ქანელმა.

_ არა, ჩემო კარგებო, ამას ვერ დავთმობ. _ მეფემ თვალები მოწკურა და ქანელს მოეჩვენა, რომ ავი სხივი გამოკრთა იანგულის მზერიდან.

_ ცუდად არის საქმე ეფროს, თუ დროზე არ ვუშველეთ, ეშმაკი სრულად დაეუფლება მის სულს.

_ შენც შეამჩნიე მის მზერაში ცვლილება? _ წასჩურჩულა ეფროსმა ქანელს.

სად იყო, სად არა, პეპელა ირიც გამოჩნდა, იქვე ტოტზე ჩამოჯდა, ცისფერ-ვარდისფერი ფრთები დაიფერთხა და იკითხა.

_ გრძნეული ეფროსი სად შეიძლება ვნახო? _ თან კითხვა თვით ეფროსს დაუსვა.

_ მე ვარ ეფროსი. _ პეპელამ გადაიკისკისა.

_ ეგრეც მივხვდი, გავხართ კიდეც, აბა ესენი ხომ არ იქნებიან გრძნეულები? _ ირიმ იანგულსა და ქანელს გადახედა და გრძელწამწამიანი თვალები კეკლუცად აახამხამა. _ ახლა მომისმინეთ. შორიდან მოვფრინავ, ეფმადორამ გამომგზავნა, ევპრისი ურჩხულად გადაიქცა და ჯურღმულეთის მეფესთან მოილაპარაკა საქარიის განადგურების თაობაზე. ერთადერთი რაც ვერ გავიგე, ევპრისი ურჩხული სულ იმეორებდა, კვერთხი, იანგულის კვერთხი ჩემი ხელით გავაკეთეო. ნუთუ ეს მართალია?

იანგული გაფითრდა, კვერთხის გადაგდება მოინდომა, მაგრამ ხელიდან ვეღარ მოიცილა, ხელზე მიკვროდა. ქანელი მიუახლოვდა.

_ გამაგრდი ძმაო, შეიძლება ცოტა გატკინო, _ შესძახა, კვერთხი ხელიდან გამოგლიჯა, შუაზე გადატეხა და იქვე მოისროლა. კვერთხს იანგულის ხელიდან კანის ნაფლეთები აჰყვა, ხოლო თითებიდან სისხლმა თქრიალით დაიწყო დენა.

_ შეხედეთ, ჩქარა _ გაახედა პეპელამ მამაკაცები კვერთხისაკენ. კვერთხის ნამტვრევები გველებად ქცეულიყო. გველები აქეთ-იქით აწყდებოდნენ და საზიზღრად სისინებდნენ.

_ გასრისე ქანელ, გასრისე ეგ უწმინდურები. _ ქანელმა ხმალი ამოიღო და გველები ნაკუწებად აქცია. შემდეგ იანგულს გახედა, რომელსაც კვლავ კეთილშობილი მზერა დაბრუნებოდა. ძმადნაფიცს გული სიხარულით აევსო. ეს ისევ ის იანგული გახლდათ ქანელმა რამოდენიმე წლის წინ რომ გაიცნო ტყეში.

_ ქანელ, შენ არ იცი რა ხიფათს ამაცილე, _ წამოიძახა იანგულმა. _ ნელ-ნელა მეც კაცი-გველს ვემსგავსებოდი. რა სულელი ვიყავი. ძალიან სუსტი აღმოვჩნდი. სიმართლე გითხრა, წესით მეფე შენნაირი უნდა იყოს.

_ არა იანგულ, მე სწორედ ჩემი ადგილი მიკავია. წამოდი ჯობია შენს ხელს მივხედოთ, სისხლდენა გაქვს. _ ძმადნაფიცები ერთად გაუყვნენ ბილიკს სასახლისაკენ.

## თავი მეოთხე

## ქანელი საქარიის გათავისუფლებას ცდილობს

_ წადი ირი, დაღლილი იქნები, დაისვენე, ისადილე და შემდეგ წვრილ-წვრილად მოგვიყევი ყველაფერი, რათა გამოსავალი ერთად მოვნახოთ. _ მიმართა ეფროსმა პეპელას. ირიმ გაუღიმა და სასახლის კიბეებს აუყვა. ეფროსი ეზოში მარტო დარჩა. მზეს აჰხედა, ხელები აღაპყრო და მიმართა:

_ მზეო, ჩემო მამობილო, ძმაო და მეგობარო, როგორც ყოველთვის, გაჭირვების ჟამს შენ მოგმართავ. ჩემი ძმები მინდა შემოვირიგო. მაგრამ არ ვიცი, იმათ უნდათ თუ არა. გრძნეულებს რომ გადაუსრიალებ თავზე, ეგებ სთხოვო. არა, უბრძანო საქარიაში ჩამოვიდნენ. გააგებინე, რომ საქარია იღუპება, მეც ვიღუპები და მათთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი, მათი გაზრდილი, მათი შვილობილი, ჩვენი მხედართმთავარი ქანელი დაისჯება ყველაზე მეტად. ეს ვიცი და გთხოვ მათაც გააგებინო.

_ არა ეფროს, ეგ მისია შენ უნდა შეასრულო. მე რომ მათ სხივს ვტყორცნი, ეს იქნება ბრძანება იმისა, რომ უნდა შერიგდეთ. დანარჩენი შენ უნდა გააკეთო. ხვალ გამენიისას ქანელთან ერთად გაემგზავრე და შენი ძმები წამოიყვანე.

_ მეფე როგორ დავტოვო? _ გაიკვირვა ეფროსმა.

_ საღამოს უკვე აქ იქნებით.

_ ცუდად მაქვს დაცდილი საქარიის დატოვება.

_ სისულელეს ნუ ლაპარაკობ, აქ ჯდომით და მოთქმა-გოდებით დაეხმარები? გააკეთე რასაც გეუბნები, საბოლოო გამარჯვება თქვენი იქნება. _ მკაცრად უპასუხა მზემ და გასრიალდა.

ეფროსი კარგა ხანს იდგა ეზოში გაოგნებული. შემდეგ შეტრიალდა და სწრაფად აუყვა სასახლის კიბეს.

_ ქანელ, ხვალ დილით მივემგზავრებით.

_ სად?

_ გრძნეულების ქვეყანაში. შენი ნათლიები უნდა ჩამოვიყვანოთ.

_ დარწმუნებული ხარ, რომ წამოგყვებიან?

_ დავითანხმებთ, მზეც დაგვეხმარება. საქარია დაღუპვის პირასაა და მათი დახმარება დაგვჭირდება. გათენებისას გავალთ. _ მიმართა ეფროსმა. _ პეპელა ირი სად არის? დაწვრილებით გვიამბოს ყველაფერი.

_ ახლა ჩამოვა, შორი გზიდან მოვიდა და თავს იწესრიგებს. აი ისიც.

პეპელა-ირი კიბეზე ჩამოფარფატდა და სავარძელზე დაეშვა. ეფროსი და ქანელი აღტაცებული შესცქეროდნენ მშვენიერ არსებას. ირი მიხვდა, რომ მამაკაცების მოწონება დაიმსახურა და გრძელწამწამიანი თვალები ნაზად ააფახულა.

ცოტა ხანში იანგული და ელინიც შემოვიდნენ და დასხდნენ. პეპელა-ირიმ წვრილ-წვრილად მოყვა, ჯერ თავისი მოგზაურობის ამბავი, (რომელიც, დამსწრეთ დიდათ არ აინტერესებდათ), შემდეგ ქამეხის მკვლელობა. მართალია ირი ქამეხის მკვლელობას არ დასწრებია, მაგრამ ევპრისმა დაწვრილებით და თანაც ტრაბახით მოუყვა ჯურხანს თავისი "გმირობის" ამბავი, რაც პეპელამ თავისი ყურით მოისმინა. თხრობა დაამთავრა ევპრისი-ურჩხულისა და ჯურხანის საიდუმლო გეგმით საქარიის დაღუპვის შესახებ.

_ მოვკლავ მაგ გველის ნაშიერს _ წამოვარდა ფეხზე ქანელი. _ არა, ეფმადორას დავიჭერ და მისი თანდასწრებით წავაჭრი რიგრიგობით ევპრისს იმ აყროლებულ თავებს. _ ქანელი ასეთ მდგომარეობაში არავის ენახა. _ ბოლო თავი რომ დარჩება, ეფმადორასაც მივაკლავ ზედ, რათა დედა-შვილმა, ამ სიბინძურის ბუდემ ერთმანეთის სიკვდილს უყურონ.

_ ეფმადორას თავი დაანებე, _ წამოიჭრა ეფროსი _ ეგ დედაჩემიცაა და შენი გამზრდელების დედაც. ადამიანი არა ხარ?

_ მე ადამიანი ადამიანებთან ვარ, ურჩხულებთან კი ურჩხულად გადავიქცევი. ისეთ ურჩხულად რომ, ჩემ დანახვაზე დედა შვილის ტირილს ვერ გაიგებს. წავედით ეფროს, დილას რაღას ველოდოთ.

_ არა ქანელ, მზე უნდა ამოვიდეს და გრძნეულები მოინახულოს, შემდეგ ჩვენც მივალთ.

_ მე არ მინდა, რომ ჩვენი შვილი შენ დაგემსგავსოს. _ გაისმა ქალის სასოწარკვეთილი ხმა. ყველამ მიიხედა. კარებში სელინა იდგა და ტიროდა. _ შენ მე მგონი უკვე გადაიქეცი ურჩხულად.

_ სელინა, ქამეხი მამაჩემი იყო, მამაჩემი და ასე საცოდავად, ულმობლად გამოასალმა სიცოცხლეს იმ ცხოველმა. სწორედ ამ დღეებში ვაპირებდი მასთან შესარიგებლად წასვლას, მაგრამ დამაგვიანდა. განა შური არ უნდა ვიძიო? _ არ ჩერდებოდა ქანელი.

_ სწორი ხარ ქანელ, შური უნდა იძიო, ამდენი კი არ უნდა იყვირო ქვეყნის გასაგონად. _ წყნარად მიმართა ეფროსმა. შემდეგ სელინას მიუბრუნდა, _ სელინა, შენ უნდა იოცნებო, რომ შენი შვილი მამამისს დაემსგავსოს. შენი ქმარი ისეთი კაცია, ვისაც შეიყვარებს, თუ დასჭირდა, გულს ამოიღებს და ყორნებს გადაუგდებს საჯიჯგნად. მაგრამ ვინც უბოროტებს, იმას ვერ დაინდობს და სასტიკი იქნება მისი შურისძიება. ეს ყველამ კარგად დაიმახსოვროს. მე ას წელზე მეტია ამ მიწას ვამძიმებ. იმედია იანგულს არ ეწყინება, მაგრამ ქანელისნაირი ვაჟკაცი არ შემხვედრია და ალბათ არც შემხვდება სამწუხაროდ. რაც შეეხება მამამისს. ევპრისმა პასუხი უნდა აგოს თავის საქციელზე. სისხლი სისხლს ითხოვს.

ქალები ტიროდნენ, სელინა გაიქცა, ქანელს მიუახლოვდა, თითის წვერებზე აიწია, კისერზე მოხვია ხელები და ჩაეხუტა.

_ მაპატიე ქანელ, მაპატიე _ ქვითინებდა სელინა _ მაპატიე _ სხვა სიტყვებს ვერ პოულობდა და უფრო მეტად ეკვროდა ქმარს მკერდზე.

_ ეფროს, გათენებისას გაგაღვიძებ. _ ქანელი ნაზად ეამბორა ცოლს ტუჩებზე, ხელში აიტაცა და ოთახიდან გავიდა.

_ ჰმ, გაგაღვიძებო, ვნახოთ ვინ ვის გააღვიძებს. _ ღიმილით ჩაილაპარაკა ეფროსმა. _ მეც წავალ, დავისვენებ, ხვალ მძიმე დღე მაქვს. იანგულ, ვინიცობაა ჩვენს დაბრუნებამდე რამე მოხდეს და ჯურხანმა მართლაც შეასრულოს მუქარა, სასახლიდან ფეხი არავინ გაადგათ. კარები და ფანჯრები ჩარაზეთ. ახლავე შიკრიკები დაგზავნე საქარიის ყველა კუთხეში და მთელი მოსახლეობა გააფრთხილე, ცხვირი არ გამოყონ გარეთ. ჩვენ მალე დავბრუნდებით. _ ეფროსი შებრუნდა და თავისი ოთახისაკენ გაემართა.

იანგულმა განკარგულება გასცა. ასი შიკრიკი გაემგზავრა საქარიის მოსახლეობის გასაფრთხილებლად, რომ საჭმელი მოემარაგებინათ და კარ-ფანჯრები ურდულით ჩაეკეტათ.

_ ელინ, ძვირფასო შენ დაიძინე, მე ღამეს აქ გავატარებ, შენს ძმებს ველოდები, რათა ერთად შევიმუშავოთ თავდაცვის გეგმა. _ ელინმა იანგულს აკოცა და პეპელა ირისთან ერთად დარბაზიდან გავიდა.

გათენებული არ იყო, ეფროსი და ქანელი გზას რომ დაადგნენ. მალე გრძნეულების სამფლობელოს მიუახლოვდნენ.

_ მომენატრა აქაურობა, _ ჩაილაპარაკა ქანელმა. მიახლოებისთანავე დაინახეს, ცხენებზე ამხედრებული შვიდი მამაკაცი. შვიდივეს ერთიმეორეზე ლამაზი, მედიდური, ძლიერი და მტკიცე შესახედაობა ჰქონდა. მათ შემხედვარეს ერთი წუთით ეჭვი არ შეგეპერებოდა მათ ყოვლისშემძლეობაში.

_ გამარჯობა ძმებო! _ მიმართა ეფროსმა.

_ გაგიმარჯოს, ცოტა გვიან კი გაგახსენდით. ადრე რომ დაგეძლია შენი პატივმოყვარეობა, საქარია შეიძლება გადაგვერჩინა, ახლა კი ძალიან მეპარება ეჭვი, რომ რაიმე შევძლოთ. _ მიმართა ეფროსს, ძმებში უფროსმა. _  ქანელ, მოდი აქ შვილო. _ ქანელი მიუახლოვდა და რიგრიგობით მხარზე ემთხვია ნათლიებს. _ აბა წავედით ეგებ გაგვიმართლოს და მივასწროთ. _ მხედრები საქარიისაკენ დაიძრნენ.

კარგა ხანს მიდიოდნენ, გზას ბოლო არ უჩანდა, ეფროსმა ირგვლივ მიმოიხედა, ცხენი შეაჩერა და ჩამოვიდა.

_ საქარია აღარ არსებობს. _ ჩაილაპარაკა მან.

_ როგორ არ არსებობს, იქ ხომ სელინაა _ სასოწარკვეთით წამოიძახა ქანელმა.

_ არა მარტო სელინა, ჩემო ქანელ, იქ ჩვენი სისხლი და ხორცია. საქარია კი, აი აქ არის აქ, მიწისქვეშეთში.

საცოდავი შესახედი იყო ქანელი, ვერაფრით მოეფიქრებინა, როგორ დახმარებოდა ძმადნაფიცს, თავის ცოლ-შვილს და საერთოდ საქარიას. უცებ წელში გაიმართა და გრძნეულებისაკენ შებრუნდა. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა თითქოს.

_ ჩემო მამებო, ჩემო გამზრდელებო და უსაყვარლესო ადამიანებო. სათხოვარი მაქვს თქვენთან. უარს ვერ მივიღებ. თუ არ შემისრულებთ, შეიძლება უარესი რამ ჩავიდინო.

_ რა გინდა შვილო,ან ამხელა შესავალი რად გინდა. ჩვენც გამოსავალს ვეძებთ და გვთხოვე, ეგებ გთანხმდებით.

_ ჯურხან-მახრჩობელას ხომ იცნობთ?

_ ჯურხანს ვინ არ იცნობს, გაიძვერების ერთია, _ უპასუხა ერთ-ერთმა გრძნეულმა.

_ ძლიერია?

_ უძლიერესია. _ იყო პასუხი.

_ მე უფრო ძლიერი უნდა გავხდე.

_ შენ ძალიან ძლიერი ხარ, ვერ გავიგეთ რას გვთხოვ?

_ მე გთხოვთ დახმარებას. ურჩხულებს ურჩხული უნდა ებრძოლოს და შესძლოს კიდეც მათი დამარცხება, დამეხმარეთ.

_ ქანელ, თუ ხვდები რას გვთხოვ? შეიძლება შენი თავი ვეღარ დაგიბრუნოთ და ისეთივე ურჩხულად დარჩე, როგორებიც ევპრისი და ჯურხანი არიან.

_ მაგაზეც ვიფიქრე. მე თუ ადამიანის სახე აღარ მეღირსება, იმ წუთას გამანადგურეთ. სასწორზე ჩვენი მომავალი დევს, ჩემი შვილების მომავალი. ერთი კაცის სიცოცხლედ მე ვფიქრობ უნდა ღირდეს.

გრძნეულები მდუმარედ შესცქეროდნენ ქანელს. ხვდებოდნენ, რომ სახვა გამოსავალი მართლაც არ არსებობდა, მაგრამ როგორ გაეწირათ ადამიანი, რომლის გარეშეც მათ სიცოცხლესაც აზრი ეკარგებოდა.

_ კარგი, შენი გადასაწყვეტია, მოემზადე. ქვესკნელში მოგიწევს ჩასვლა და ჯურხანთან შებრძოლება. რაც, მე ვფიქრობ ძალიან რთული იქნება. _ მიმართა ქანელს უფროსმა გრძნეულმა, თვალებში კი ცრემლები ჩაუდგა.

_ ევპრისი? _ იკითხა ქანელმა.

_ ევპრისი თვითონ გაინადგურებს თავს და თანაც სამუდამოდ. _ უპასუხა ეფროსმა. _ მალე მისი დაღუპვის ამბავს გავიგებთ. _ შუათი სად არის? (შუათი, ეფროსის ერთ-ერთ ძმას ერქვა, რომელიც ძმებში უმცროსი იყო).

_ ელექსირის მოსატანად წავიდა, წუთი-წუთზე აქ იქნება. _ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო უფროსმა ძმამ, რომ შუათიც გამოჩნდა. ქანელს მიუახლოვდა და ელექსირი გაუწოდა.

_ დალიე, ღმერთი იყოს შენი მფარველი. _ ქანელმა შუშა გამოართვა და არც დაფიქრებულა ისე გადაჰკრა.

_ სულ ეს არის? _ გაკვირვებით იკითხა მან. ამავე დროს, თანდათან სიგრძე და სიგანე ემატებოდა. უცებ თითქოს აფეთქდა და ცეცხლის ალში გაეხვია. ცეცხლი მალევე ჩაქრა და გრძნეულების თვალწინ შემზარავი არსება წამოიმართა. ეს არ იყო არც ურჩხული, არც მონსტრი, არც დრაკონი. ეს იყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილის ნაზავი, რომლის მსგავსი, თვით გრძნეულებსაც კი მხოლოდ საშინელ სიზმარში ენახათ.

_ სიზმრის ურჩხული! _ წამოიძახეს გრძნეულებმა ერთხმად.

_ ჯურხან, ჯურხან _ არაადამიანური ხმით აღრიალდა ქანელი. _ ამ დროს მიწა გაიხსნა და ქანელი, სიზმრის ურჩხულად წოდებული, ქვესკნელში ჩაიტანა.

## თავი მეხუთე

## ევპრისი-ურჩხულის დაღუპვა

დაღამებამდე ევპრისი ბუნაგში იჯდა. როგორც კი შებინდდა, თავშესაფრიდან გამოვიდა. “ ჯურხანთან შეხვედრამდე რამოდენიმე დღე მაქვს,” ფიქრობდა ურჩხული. “დროა ქალი-ყინვა მოვძებნო და ჩემი მომავალიც საბოლოოდ დავალაგო”. იქვე რამოდენიმე ყორანმა ჩამოიფრინა.

_ მეგობრებო, ძვირფასო ყორნებო, ქალი-ყინვა არ გინახავთ? _ ყორნებმა ევპრისს გახედეს, _ როგორ არა, შენ ევპრისი-ურჩხული არა ხარ? სწორედ შენ გეძებს, ცხარე ცრემლით ტირის, ლამის დადნეს _ ჩაიხითხითეს ყორნებმა, _ აი იმ თოვლიან მთას რომ გადახვალ, იქ დაგიხვდება.

ევპრისი ეტლს მოახტა, ცხენებს მათრახი გადაუჭირა და თოვლიანი მთისაკენ გააჭენა. ერთიც დაჰკრა ცხენებს და თოვლიან მთას გადაუფრინა. ცხენები თითქოს შედრკნენ,

შეჩერდნენ. ირგვლივ ყველაფერი ყინულს დაეფარა. მთვარის შუქზე ქალი-ყინვას, ოდნავ მოცისფრო გადაჰკრავდა და სარკესავით ლაპლაპებდა.

_ ძვირფასო, ჩემო ერთადერთო, _ მიეჭრა ევპრისი-ურჩხული ქალს.

_ მოდი სიყვარულო, ჩამეხუტე, _ ხელები გაუწოდა ქალი-ყინვამ. _ ევპრისი მიბაჯბაჯდა.

_ შენ როგორი სახეც არ უნდა მიიღო, მაინც მეყვარები და ჩემგან არსად გაგიშვებ. ჩემთვის ისევ ის ევპრისი ხარ, პეპლები რომ უყვარდა. ახლა პეპლებზე მეტად მე შემიყვარებ, სულ ერთად ვიქნებით. _ ქალი-ყინვამ გულში ჩაიკრა ურჩხული, თან ჩურჩულებდა, _ არსად აღარ გაგიშვებ.

ევპრისი ძალიან ბედნიერი იყო, ამ წუთებს იგი მთელი ცხოვრება ელოდა, მაგრამ ცოტა ხანში შეაჟრჟოლა, ცოტა არ იყოს შესცივდა. ერთი კი ეცადა, ქალის მკლავებიდან განთავისუფლებულიყო, მაგრამ განძრევის საშუალებას ყინვა არ აძლევდა. ცოტა ხანში, ევპრისი ყინულის დიდ ურჩხულად გადაიქცა და ქალი-ყინვას მკლავებში სამუდამოდ დაიდო ბინა.

დილით მზემ ამოანათა, შეყვარებულ წყვილს დახედა და ქალი-ყინვას, ყველაზე მწველი სხივი სტყორცნა. ქალი-ყინვამ დნობა დაიწყო, რაც ძალიან სიამოვნებდა და ევპრის-ურჩხულს, კიდევ უფრო მაგრად იკრავდა გულში.

ცოტა ხანში მთელი ყინული დადნა და უზარმაზარ ტბად გადაიქცა. ევპრისმა ერთი კი გაახილა თვალები, მაგრამ ქალი-ყინვამ, (ახლა უკვე ტბად ქცეულმა) თან წაიყოლია. წყალში ჩაითრია და თავის ფსკერზე, ქვიშაში მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი. ურჩხულმა ერთხელ კიდევ სცადა გაბრძოლება, მაგრამ ქვიშიანი ტბის ძალას ვერაფერი მოუხერხა, დანებდა და იქვე განუტევა სული. ტბიდან თითქოს პეპლები ამოფრინდნენ და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ.

_ კარგი სიკვდილია. _ წამოაყრანტალა ტბასთან მჯდომმა ყორანმა.

_ ჰო, სიყვარულს შეეწირა ეგ უბედური. მთელი სიცოცხლე სიძულვილი ასულდგმულებდა და სიყვარულმა კი ბოლო მოუღო. _ უპასუხა მეგობარმა.

ტბის გარშემო მწვანე ბალახი აბიბინებულიყო.

## ზღაპრის დასასრული

ქანელი, სიზმრის ურჩხული, სრულ წყვდიადში აღმოჩნდა. აქა-იქ ჩირაღდნები ბჟუტავდა. გარშემო არავინ ჩანდა. სადღაც შორს, ბინდ-ბუნდში ქანელმა იანგულის სასახლეს მოჰკრა თვალი. ცოტა ხანში სიბნელეს მიეჩვია. სასახლე და საქარიის ყველა სახლი სიბნელეს მოეცვა, შუქი არსაიდან ჩანდა.

_ ჯურხან! _ დაიღრიალა ქანელმა, _ ჯურხან, ჯურხან _ მხოლოდ ექო გამოეპასუხა.

_ ჯურხან გამოდი, მეჩვენე, თუ ვაჟკაცობა შეგრჩენია. _ პასუხი არსაიდან იყო.

_ როდემდე აპირებ თაგვივით სოროში ჯდომას, გამოდი. _ სიჩუმეს მხოლოდ ჩუმი ტირილი არღვევდა. ქანელმა მბჟუტავი ჩირაღდანი კედლიდან ჩამოხსნა და ხმას მიჰყვა. იქვე გალიები იდგა, სადაც პატარა, მფრინავი არსებები იყვნენ გამომწყვდეულნი.

_ თქვენ ვინა ხართ? _ იკითხა ქანელმა

_ მე ყვავილების სამეფოს უფლისწული ვარ, ესენი კი ჩემი მხლებლები არიან. ჯურხანმა დაგვატყვევა, ჩვენ კი ყვავილებისა და ჰაერის გარეშე დიდხანს ვერ გავძლებთ. _ უპასუხა ერთ-ერთმა.

_ პეპელა-ირის გევხართ, _ ჩაეცინა ქანელს.

_ პეპელა-ირი? სად არის. მთელი ცხოვრება მაგის ძებნაში გავატარე.

_ მალე ნახავ, ოღონდ მე რომ შემომხედავ, არ შეგეშინდეს. _ ქანელმა ხელის ერთი დარტყმით გაანგრია გალია და ეს უცნაური არსებები გაათავისუფლა. _ სასახლეს ხედავთ? მიფრინდით და იქ დაიმალეთ. უთხარით, რომ ქანელმა გამოგაგზავნათ. ირისაც იქ ნახავთ. _ ყვავილების უფლისწული, თავისი ამალით სასახლისაკენ გაფრინდა.

_ ყოჩაღ ქანელ, ყოჩაღ _ მოესმა ქანელს ხმა ზურგს უკან. სწრაფად შებრუნდა. მის წინ ჯურხან-მახრჩობელა იდგა, მთელი თავისი ამალით. _ რა გინდა, რისთვის გარჯილხარ?

_ ჯურხან, მე ხუმრობის ხასიათზე როდი ვარ. საქარია გაათავისუფლე, პირობა მომეცი, რომ საერთოდ დაივიწყებ ამ ქვეყანას და მე, ქანელი, სიზმრის უჩხულად წოდებული, შენ აღარ შეგაწუხებ.

_ არა ჩემო ქანელ, შენ გარეგნობა შეიცვალე, თორემ ბუნებით ისეთივე ლაჩარი ხარ, როგორც ყველა ადამიანი.

ქანელს მოთმინების ფიალა აევსო.

_ აი ეგ არ უნდა გეთქვა ჯურხან. აი ეგ, ძალიან შეგეშალა. ახლა უკვე შენს თავს დააბრალე. _ ქანელი მძიმედ მიიწევდა ჯურხანისაკენ, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა თითქოს. საშინელი შესახედი იყო. ერთი მომენტი ჯურხანმა უკან დაიხია, შემდეგ გონს მოეგო და ქანელს მიეჭრა.

დაუნდობელი ორთაბრძოლა გაიმართა სიზმრის ურჩხულსა და ჯურხან-მახრჩობელას შორის. ძნელი გასარკვევი იყო, ვინ ვის აჯობებდა. ხან ერთი უტევდა და ხან მეორე. ქანელს ის უშლიდა ხელს, რომ თან ჯურხანის მეომრებს რიგრიგობით იგერიებდა. ზოგს კისერი მოსტეხა, ზოგს ხელი ან ფეხი. ზოგს სულაც თავი წაცალა. უცნაური კი ის იყო, რომ დაღუპული მეომრები იმავე წამს მიწად იქცეოდნენ.

როგორც იქნა პირისპირ დარჩნენ. ჯურხანს არც ერთი მეომარი აღარ ჰყავდა და მიხვდა, მისი აღსასრული ახლოვდებოდა.

_ ქანელ, მოდი მოვილაპარაკოთ _ შესძახა ჯურხანმა, ნათქვამი უფრო მუდარას ჰგავდა. _ ევპრისი აღარ არსებობს, სამუდამოდ დაგვტოვა. მეც საქარიას დავივიწყებ, აღარ გავეკარები, ეს სულ მაგ გველის წიწილის ატეხილია. _ განაგრძობდა ჯურხან-მახრჩობელა.

_ არა, მე ვეღარაფერი შემაჩერებს. შენი დრო ამოიწურა, მიწისქვეშეთის მეფე იყავი და აქვე დაიმარხები. _ ქანელმა აიტაცა ჯურხანი, მუხლებზე დააგდო და კისერში სწვდა.

_ ლაჩრები მუხლებზე დაჩოქილნი კვდებიან. _ ეს თქვა და ხელის ერთი მოქნევით, თავი წაცალა. ჯურხანიც თავისი მეომრებივით იმწამსვე მიწად გადაიქცა.. ქანელმა მიწას ფეხი ჰკრა და აქეთ-იქით მიმოფანტა.

_ მშვიდობით ჯურხან, _ ჩაიცინა მან და ჰოი საოცრებავ, ირგვლივ ყველაფერი ნელ-ნელა განათდა. მიწა მსუბუქად ირხეოდა. თურმე საქარია თავის ადგილს უბრუნდებოდა. მალე ქანელმა სახეზე მზის სხივის მოფერება იგრძნო.

_ ყოჩაღ ქანელ, ღმერთმა ამრავლოს შენნაირი ვაჟკაცები.

ნელ-ნელა სახლებიდან ხალხი გამოეფინა. სასახლის კარიც გაიღო. იანგულმა ქანელთან მიირბინა და სცადა გადახვეოდა.

_ ქანელ, როგორ გადაგიხადო მადლობა, შენ ჩვენთვის გასწირე თავი. რა ვქნათ, მითხარი რამე. _ ყვიროდა იანგული და თვალებიდან ცრემლები სდიოდა. იქვე სელინამ მოირბინა.

_ ძვირფასო, საყვარელო _ ეფერებოდა სელინა და ვერც კი ხედავდა, რომ ქანელის მაგივრად, მის წინ ურჩხული იდგა. დანარჩენები შორიდან შესცქეროდნენ. ახლო მისვლის, ცოტა არ იყოს ეშინოდათ.

გრძნეულები შორიახლოს იდგნენ. ქანელმა გახედა ნათლიებს და მიხვდა, რომ მათი შიში უსაფუძვლო არ იყო. ქანელი სამუდამოდ ურჩხულად უნდა დარჩენილიყო. იგი ნათლიებს მიუახლოვდა.

_ შეასრულეთ თქვენი პირობა. მე ჩემი გავაკეთე, ახლა თქვენი ჯერია. _ საცოდავი შესახედი იყვნენ გრძნეულები, მათ უნდა მოესპოთ ადამიანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტად უყვარდათ. ამიტომ გადაწყვიტეს, ქანელთან ერთად თვითონაც დაღუპულიყვნენ.

_ წავიდეთ ჩვენს სამეფოში, _ მიმართა უფროსმა ნათლიამ.

_ მეც წამოვალ, _ წამოიძახა სელინამ _ ქანელის გარეშე აქ რა მინდა?

_ არა სელინა, შენ აქ დარჩები და ბავშვებს მიხედავ. _ მკაცრად მიმართა ქანელმა.

_ ამ დროს ციდან ქუხილივით ხმა გაისმა. გამოჩნდა შავი ეტლი, რომელიც საოცარი სისწრაფით მოჰქროდა მათკენ.

_ ეფმადორა! _ გაისმა აქეთ-იქიდან ხმები.

_ დედა! _ ეფროსი შეეგება ეფმადორას, _ რისთვის მოხვედი?

_ მოვედი, რათა თქვენ ისევ დედობა გაგიწიოთ და პატიება გთხოვოთ. მოვედი, რათა ქანელს თავისი სახე დავუბრუნო. დამიჯერეთ მე ეს შემიძლია.

ეფმადორა ქანელს მიუახლოვდა, თვალებზე თითები ააფარა და კარგა ხანს ბუტბუტებდა რაღაცას გაურკვეველ ენაზე. მზემაც გამოანათა, ქანელს სხივი სტყორცნა და როგორც დასაწყისში, ურჩხული ცეცხლის ალში გაეხვია. ცეცხლი მალევე ჩაქრა და ხალხის თვალწინ, კიდევ უფრო გალამაზებული და დავაჟკაცებული ქანელი იდგა.

ყველამ შვებით ამოისუნთქა. ხმას ვერავინ იღებდა. ქანელმა სელინა აიტაცა ხელში და გულში ჩაიკრა.

_ მამებო, მე მგონი დროა სახლში დავბრუნდეთ. _ მიმართა მან ნათლიებს. _ სელინა, ბავშვები გამოიყვანე, ჩვენს სამეფოში ვბრუნდებით. გახარებული გრძნეულები ჩუმ-ჩუმად იწმენდნენ ცრემლებს.

_ დროა შვილო, დრო. სახლი დიდი ხნით არ უნდა მიატოვო. _ უპასუხეს Nნათლიებმა.

_ ქანელ მიდიხარ? მტოვებ? _ ჰკითხა ნაღვლიანად იანგულმა.

_ მე დავრჩები იანგულ, _ მიმართა ეფროსმა, _ და თუ საჭირო გახდა ქანელს სასწრაფოდ გამოვიძახებ.

_ ჩვენც დაგემშვიდობებით, დიდი მადლობა ყველაფრისათვის. ქანელ, შენს მეგობრად გვიგულე. ეგებ ოდესმე ჩვენც დაგჭირდეთ რამეში. _ გაისმა ნაზი ხმა. პეპელა-ირი, უფლისწულთან ხელჩაკიდებული მიფრინავდა ყვავილების სამეფოსაკენ.

_ გამოძახება აღარ იქნება საჭირო, მე მგონი ქარი აღარ ქრის. სანადიროდ ჩამოდი ხოლმე იანგულ, _ გაიღიმა ქანელმა.

მხედრები გრძნეულების სამეფოსაკენ დაიძრნენ. ნიავი სასიამოვნოდ უბერავდა. ჰა, ჰა, ჰა თითქოს ჩაესმა ქანელს.

_ არა, მეჩვენება, ახლა ნამდვილად ამინდი იცვლება.

**დასასრული**

# სკივრში ნაპოვნი ზღაპრებიდან

## ანი

ანანო ადრე ადგა, აპრილი ახლოვდებოდა. ანანოს ახლოს აურზაური ატყდა. ახალგაზრდები ადგილზე არაჩვეულებრივად ასკინკილობდნენ. ანანო აკისკისდა. ახალგაზრდა აკრობატი ამაყობდა ასკინკილით, ანანოს ათვალიერებდა.

- აბა, ანგელოზო, არ ამყვები ასკინკილაში?

- არა, არ აგყვები. ასკინკილა არ ამშვენებს ადამიანს.

- აკრობატობა არ ამშვენებს?

- აკრობატობა არასერიოზულია. აი, ალპინიზმი არის აუცილებელი.

- ალპინიზმი? აჰ, აჰ, აჰ, - ახარხარდა ანანოს ახალი ამხანაგი. – არა, ალპებში ასკინკილით არ ადიან. აკრობატები არ აცოცდებიან აღმართზე, აკრობატი ადგილზე ასკინკილას აირჩევს.

- აბა, ადგილზე ახტი-დახტი! ანგელოზს არ აინტერესებს აკრობატისნაირები.

ალპებიდან არწივი აფრინდა, ანანოსთან აღმოჩნდა, აიტაცა.

- აი, აკრობატო, ანანო ალპებზე აპირებს აფრენას. ახლავე აირჩე, არ აფრინდები?!

- არწივო, არ ააფრინო, ავი არსებაა. – აყვირდა ახალგაზრდა აკრობატი.

- არა, ადამიანო, ანანო ანგელოზია, არწივების ანგელოზი.

## ბანი

ბინდდებოდა. ბაია ბაღში ბავშვებთან ბურთაობდა.

ბაღში ბალახი ბიბინებდა.

ბაღის ბოლოს ბიჭები ბეღურას ბუმბულს ბდღვნიდნენ.

- ბაბუ, ბაბუ, ბიჭები ბეღურას ბარტყს ბდღვნიან.

ბაიას ბუთხუზა ბაბუ ბრაზობს, ბობოქრობს:

- ბიჭებო, ბავშვებო, ბეღურის ბდღვნა ბოროტებაა. ბუ, ბეღურა, ბულბული ბუნების ბინადარია. ბოროტები ბრძანდებით?

ბიჭები ბაღიდან ბინებისაკენ ბუზღუნით ბრუნდებიან.

ბედნიერი ბაია ბუთხუზა ბაბუსთან ბურთაობს.

ბეღურები ბაღში ბზიკებს, ბუზებს ბურჯგნიან.

ბაია ბრაზობს: ბეღურებიც ბიჭებისნაირი ბოროტები ბრძანდებიან. ბიჭები ბარტყებს ბდღვნიან, ბეღურები_ბზიკებს, ბუზებს.

## განი

გვანცამ გუშინ გვიან გააცილა გოგონები. განიცდიდა გურამის გუნდის "გმირობას". გრუხუნი გაისმა. გვერდითა გასასვლელიდან გნომი გამოჩნდა.

- გამარჯობა გვანცა.

- გაგიმარჯოს, გიცნობ? – გნომმა გაიღიმა.

- გიჯობს გამიცნო! გნომი გრუმი გესალმება.

- გოგო გვანცა გესალმება. – გამოაჯავრა გვანცამ.

გნომი გრუმი გაიბუტა.

- გელაპარაკები, განა გამასხარავებ? გინდა გაჩვენო გნომების განძი?

გვანცას გაუხარდა.

- განა გნომებს განძი გაქვთ?

- განსაკუთრებული განძი. – გაუღიმა გრუმმა. გნომმა გულმკერდი გაიღეღა, გვერდიდან გლუვი გორგოლაჭი გამოიღო, გვანცას გაუწოდა.

გვანცამ გახედა, გაუკვირდა. გორგოლაჭი გასაოცრად განათებულ-გაბრჭყვიალებულიყო, გულში გაღიმებული გნომი გრუმი გამოჩნდა.

_ გვანცა, გაჭირვებისთანავე გამომიძახე, გორგოლა გადაატრიალე, გრუმი გვანცას გვერდით გაჩნდება.

გვანცამ გრუმს გახედა, გნომი გაქრა, გრუმი გაბრწყინებულ გორგოლაში გემრიელად განთავსებულიყო.

## დონი

დილით დუდა დედას დაეხმარა: დერეფანი დაასუფთავა, დივანი დაალაგა. დედოფალა დაბანა და დააპურა. დარაბასთან დადგა, დურბინდი დაიჭირა და დაინახა დიდი დევი დიდ დოლს დასცქეროდა, დოლთან დასაკრავად დამდგარიყო.

_ დოლზე დაკვრა დამავიწყდა, _ დუდუნებდა დამწუხრებული დევი.

დუდა დაადარდიანა დევის დუდუნმა. დურბინდი დადო და დევს დაუძახა:

_ დოლზე დაკვრას დაგაწყებინებ დევო, დამელოდე.

დევმა დაინახა დუდა და დაიმორცხვა. დევი დაელოდა დუდას. დუდამ დევს დაკვრა დააწყებინა. დევის დაკვრა დაგადუგს დაემსგავსა. დუდამ დაუყვავა.

დევმა დუდას დაუჯერა, დადგა დოლთან და დიდხანს დაგადუგობდა.

დუდა დედიკოსთან დაბრუნდა, დაწვა და დაიძინა. დაესიზმრა_დევს დოლზე დაკვრა დაეწყო და დარდიც დავიწყებოდა.

## ენი

ელენეს ეზოში ენძელას ეკლები ერჩოდნენ. ეკა ელენეს ეძახდა:

_ ელენე, ელენე, ეკალი ენძელას ერჩის.

_ ეკალო, ეხლავე ეხსენ ენძელას, ეტკინება. _ ეჩხუბებოდა ელენე ეკლებს.

ეკლები ელენეს ემანჭებოდნენ, ენძელას ეშმაკურად ებრძოდნენ, ერთობოდნენ.

ენძელას ერთი ელფი ეახლა. ეკლებს ეძგერა. ენძელას ესიამოვნა. ელფი ეკლებს ერთმანეთს ესროდა, ენძელას ეხმარებოდა, ეკლებს ელვისებურად ესხმოდა, ებრძოდა.

ენაჩავარდნილი ეკლები ერთმანეთს ეფარებოდნენ, ელფის ეშინოდათ, ემალებოდნენ. ემუდარებოდნენ, ებოდიშებოდნენ.

ელფი ეკლებს ეხსნა. ენძელას ეახლა, ეამბორა.

ენძელას ეამაყებოდა ელფის ერთგულება.

## ვინი

ვარსკვლავი ვიკას ვარდნარში ვარდება. ვარდები ვიშვიშებენ:

_ ვაი, ვაი, ვკვდებით, ვეებერთელა ვარსკვლავი ვარდება, ვიღუპებით.

ვიკა ვარაუდობს:

_ ვარსკვლავს ვიღებ, ვარდებს ვამშვიდებ. ვის ვაჩვენო ვარსკვლავი? ვასიკო ვნახე ვერანდაზე. ვერა, ვასიკოს ვერ ვაჩვენებ ვარსკვლავს. ვასიკოს ვერ ვენდობი.

ვარსკვლავი ვარდებთან ვაი-ვიშობდა: ვერ ვიფრენ, ვერასოდეს ვეღარ ვიფრენ. ვიკას ვეახელი, ვიკას ვარსკვლავი ვარ.

_ ვარსკვლავს ვფლობ, ვარდებო, ვარსკვლავს. ვერავის ვერ ვაჩუქებ, ვერც ვათხოვებ.

ვარსკვლავი ვიკასია.

## ზენი

ზინიკო ზოოპარკში ზორბა, ზინზილებიან ზებრაზე ზის. ზებრა ზმუის:

_ ზღვასთან ზურმუხტებიანი ზარდახშაა, ზედ ზვირთზეა.

_ ზურმუხტებიანი ზარდახშა? ზღვის ზვირთზე? ზარდახშა ზეგანზეა, ზედ ზღარბი ზის, ზურმუხტი ზღარბისაა.

ზღვა ზეიმობს:

_ ზურმუხტებიანი ზარდახშა ზინიკოსია. ზღარბი ზარმაცია, ზანტია.

ზინიკო ზარდახშას ზორბა, ზოლიანი ზებრის ზურგით ზღურბლამდე ზიდავს.

ზღარბი ზამბახთან ზის.

_ ზარდახშა ზღარბებისაა. ზღარბებმა ზიდეს ზღვამდე, _ ზლუქუნებს ზღარბი.

ზინიკო ზნეკეთილია.

_ ზღვაო, ზვირთებო, ზურმუხტებიანი ზარდახშა ზღარბებისაა. ზინიკოსი ზამბახია.

ზღარბები ზეიმობენ. ზინიკო ზოლიან ზებრაზე ზამბახით ზის.

_ ზინიკო ზურმუხტივითაა, ზინიკო ზურმუხტია, _ ზუზუნებენ ზღარბები.

## თანი

თებერვალი თებერვლობდა. თოვდა. თეონა თინიკოსთან თოვლში თამაშობდა. თეონას თვალწინ თხუნელები თათებით თოვლს თხრიდნენ. თხარეს, თხრილამდე თხარეს. თხრილში თეთრი თაგუნა თვლემდა. თაგუნა თუხთუხებდა:

_ თავხედებო, თხრილი თაგვებისაა.

თხუნელები თავდაპირველად თამამად თხოულობდნენ თავის თხრილს.

_ თაღლითებო, თავნებებო, _ თხუნელების თავხედობით თავგზააბნეული თაგუნა თრთოდა. თეონამ თაგუნას თხოვა:

_ თუნთულა თაგუნა, თავისუფლად თავსდებით თხრილში თხუნელებიც, თაგვებიც.

თავდახრილი თხუნელები თაგუნას თხილს თავაზობდნენ. თაგუნა, თხუნელებთან თხრილში თბუნდებოდა.

თებერვალი თებერვლობდა. თოვდა. თეონა თინიკოსთან თოვლში თამაშობდა.

## ინი

ივნისი იყო, იალაღზე ირემი იწვა. იბრძოლა, იმიტომაც იწვა, ისვენებდა. იალაღს იქით იცქირებოდა.

ირინა იგვიანებდა. ირემმა ირინასათვის იაგუნდები იშოვა.

ირინა იუბილარი იყო.

_ ირინა იამაყებს იაგუნდებით, _ იფიქრა ირემმა.

იალაღზე ირინა იდგა, იღიმებოდა:

_ ირემო, ისვენებ? იბალახე? _ ირემი იბუტებოდა. იაგუნდებს იქით-აქეთ ისროდა.

_ იაგუნდები იშოვე? _ იკითხა ირინამ.

_ იცოდე, იცემები. _ იხუმრა ირემმა. იაგუნდები ირინასაკენ ისროლა.

ირინა იცინოდა, იაგუნდებით ირთვებოდა.

_ ირემი იბატონებს იალაღზე, _ იღიმებოდა ირინა.

ირინა იბრწყინებს იაგუნდებით.

ირინა იუბილარია.

# კანი

კლდეზე კოწახურის კანფეტის კოშკი კაშკაშებს. კოშკის კარებთან კარამელის კიბეა. კრამიტიც კანფეტისაა. კოშკის კუთხეებში კაკაოიანი კასრებია. კასრებიც კნატუნა კანფეტისაა. კარამელის კიბეზე კატის კნუტები კოხტაობენ, კრუტუნებენ. კედლებზე კრეკერებია.

კოტიკო კატის კნუტებიანად კრუასანებზე კოტრიალობს. კბეჩს კრემიან კრუასანს.

_ კარგია, კარგი, _ კისკისებს კოტიკო. კოტიკო კმაყოფილია.

კარამელის კიბესთან კრუხი კაკანებს:

_კოტიკო, კრუასანი კარგია? კაკაოც კარგია?

_ კრუასანი კარგია, კრეკერებიც კარგზე კარგია, კარამელიც კარგია, კრუხო. _ კრუტუნებს კატა.

_ კარგი, კატუნია, კმარა. კრუხო, კრუასანი კანაფზე კვანძით კიდია. კენკე!

კრუხი კრუასანს კენკავს. კმაყოფილი კაკანებს.

კმაყოფილია კატაც, კრუხიც, კოტიკოც.

კოწახურის კანფეტის კოშკი კვლავ კაშკაშებს.

# ლასი

ლომი ლეგენდაზე ლაპარაკობდა:

_ ლომები ლელიანში ლაზათიანად ლხინობენ. ლუკაც ლომებთან ლხინობს. ლელიანში ლერწამია, ლელიანთან ლაბირინთიცაა. ლაბირინთში ლოლუები ლღვება.

ლაბრადორიც ლომებთან ლხინს ლამობს. ლაბრადორი ლურჯთვალა ლეკვითაა. ლომები ლაბრადორის ლეკვს ლოკავენ.

ლეკვი ლეღვს ლოღნის.

_ ლუკა ლამაზია, ლოყაწითელაა. ლომიც ლამაზია, _ ლაქუცობს ლაბრადორის ლეკვი.

_ ლომო, ლეგენდა ლოლუასავით ლღვება. ლხინი ლაზათიანია.

_ ლამაზად ლაპარაკობ, ლუკა! _ ლუღლუღებს ლომი.

ლეკვი ლომობას ლამობს, ლომი ლეკვივით ლუკმა-ლუკმა ლოღნის ლეღვს.

ლეკვი ლუკას ლოკავს.

# მანი

მაიკო მონადირის მეგობარია. მონადირეს მაიკო მოდიშეთში მიჰყავს.

მონადირე მოდიშელია, მაიკო მასთან მინდორზე მისეირნობს. მინდვრის მერე მთაა, მთასთან მდელოა.

_ მონადირევ, მოდიშეთში მივედით?

_ მალე მივალთ. _ მიუგო მონადირემ მაიკოს. მინდა, მოდიშეთი მოგატარო. მისი მშვენიერება მოინახულო. მომენდე. მოდიშეთის მიწა, მზე, მთვარე, მშვენიერია. მაისში მიმოზებითაა მინდვრები მოფენილი. მარწყვი მწიფს. მერცხალი მოდიშელის მხარზეა მოკალათებული. მხოლოდ მარტოობა მკლავს. მემეგობრე.

_ მეც მინდა მეგობარი, _ მიუგო მაიკომ.

მაიკო მონადირესთან მეგობრობს.

## ნარი

ნაახალწლევია.

ნამტირალევი ნარცისი, ნაზი ნიბლია, ნაგაზი, ნიკას ნობათს ნატრობენ.

ნარცისი ნაკადულთანაა, ნიბლია_ნარცისთან.

ნარცისი ნაღვლობს: ნიბლიავ, ნიანგი ნახე? _ ნიანგი ნილოსის ნაპირზეა, ნიკას ნუგებიან, ნაზუქებიან ნობათს ნახულობს.

_ ნარცისო, ნუ ნერვიულობ, ნაგაზიც ნობათს ნატრობს.

ნიკა ნობათით ნარცისთანაა.

ნარცისი, ნიბლია, ნაგაზი, ნიკას ნუგბარი ნობათით ნადიმობენ.

ნიკას ნახელავით ნიანგიც ნასიამოვნებია. ნებივრობს ნილოსის ნაპირებზე.

## ონი

ოქროსთმიანი ოთო ოცნებობს, _ ორმოში ოქროა. _ ომარიკო ოხრავს, _ ოღონდ ოქროული ოფოფისაა.

ოთო ონავარია, ოინბაზობს. ოთო, ომარიკო _ ოტიას ოჯახია.

_ ოთო, ოქრო -ვერცხლი ოფოფისაა. ოდითგანვე ომობს ოქრომჭედელი ოფოფთან. ოქრომჭედელი ოსტატია, ოქრო-ვერცხლის ოსტატი.

_ ოფოფს _ ოქროვაშლა, ოქრო -ვერცხლი _ ოქრომჭედელს, ოღონდ, ოქროვაშლა ოქროყანაშია, _ ოხუნჯობს ოტია.

_ ოფ, ოფ, ოქროვაშლა? ოქროვაშლა ოფოფის ოცნებაა. _ ოინბაზობს ოფოფი.

ოთოს, ომარიკოს ოცნება ომლეტია.

ოფოფი ოქროყანაში ოქროვაშლასთანაა, ოქრომჭედელი ოქრო-ვერცხლიან ორმოსთან.

## პარი

პაპუნა პატარაა. პაპუნა პეტრე პაპასთანაა. პეტრე პაპა პიანისტია. პაპა პაპუნას პატრონობს.

პარასკევს პატარა პაპუნა პარკში პინგვინს პოულობს. პინგვინი პირდაუბანელია. პაპუნა პირდაუბანელ პინგვინს პარიკმახერთან პატიჟებს. პარიკმახერი პინგვინს პარსავს.

პარკში პეპელაცაა. პეპელა, პირიქით, პრანჭიაა. პინგვინი პანამითაა, პეპელა პომადით.

პინგვინი პეპელასთან პრანჭიაობს, პინგვინი პანტას პოულობს. პეპელას პანტაზე პატიჟებს.

## ჟანი

ჟირაფი ჟონგლიორთან ჟრიამულობს. ჟონგლიორი ჟაბოიანი ჟილეტითაა.

ჟირაფი, ჟოლოს ჟელეთი ჟასმინთანაა.

ჟარნაშო ჟღურტულებს

_ ჟირაფო, ჟეჟე ჟონგლიორი!

ჟირაფი, ჟივილხივილობს.

_ ჟონგლიორო, ჟარნაშოს ჟელეს ჟამია.

ჟონგლიორი ჟღარუნით ჟონგლიორობს:

_ ჟირაფო, ჟარნაშოსთვისაცაა ჟელე.

ჟარნაშო ჟასმინთან, ჟირაფთან, ჟონგლიორთან ჟოლოს ჟელეთია.

ჟივილხივილით ჟრიამულობენ.

## რაე

რეზიკო რაინდია, რადგან რაშზეა.

რიკი რეგბისტია.

რაჭაში რთველია. რიკი რაჭველია. რეზიკო რაშებიანი რაზმით რიკისთან რაჭაშია რთველზე. რეზიკოსთან რაზმში რვა რაინდია.

_ რამდენი რეგვენია რთველზე..... _ როხროხებს რაჭველი რიკი.

_ რიკი, რეგვენობას როშავ, _ რისხავს რეზიკო.

რთველზე რია-რიაა.

რიკი რწმუნდება რატომაც რისხდება რეზიკო.

რიკი რახათ-ლუხუმით, რულეტით რაინდებთან რუზრუზებს.

რეზიკო რიკისთან რიგდება.
რთველია, რაჭაში რთველია.

## სანი

სალომე საათობით საქმიანობს სადღესასწაულო სუფრასთან.
სასიამოვნო სუფრაა. სუფრაზე სულგუნი, სალათა, საცივი, საზამთროცაა. სანდროს საჭმელი სურს.
საახალწლო სუფრასთან სამნი სხდებიან: სალომე, სანდრო, სოსიკო. სიროფიან სასმელს სვამენ. სანდრო სკოლაში სწავლობს. სალომე სტუდენტია. სალომე სადაფის სამკაულითაა, სოსიკო სანდროს სიძეა.
_ სალომე, საჭმლის სასიამოვნო სუნია.
სანდროს სამხეცესათვის საგზალი სურს. სანდრო საგზლით სამხეცეშია სპილოსთან.
სპილო საჭმელს სუნავს.
სამხეცეში საქანელებიცაა.

## ტარი

ტასო ტალავერშია ტაბურეტზე. ტასო ტირის.
_ ტონიკო, ტურა ტყეშია, ტურას ტკივა, ტერფი ტკივა.
_ ტოროლა? _ ტიკტიკებს ტონიკო.
_ ტოროლა ტორტით, ტკბილეულით ტკბება.
_ ტურა ტლანქია, ტოროლასთან ტუტუცობდა , ტლაპოში ტყაპუნობდა, ტოროლას ტალახს ტენიდა, ტლინკაობდა. _ ტიკტიკებს ტონიკო. _ ტურა ტყუის. ტურას ტერფის ტკივილი ტყუილია.
_ ტყუის? _ ტასო ტყეშია ტურასთან.
_ ტურა, ტერფის ტკივილი ტყუილია? _ ტურა ტყუილში ტყდება.
ტურა ტუტუცია.

## უნი

უჩა უწიგნურია, უვიცია. ურსულა უჩაზე უკეთესია, ულამაზესია. ურსულას უანგაროდ უყვარს უჩა.
უჩას უჭირს, ულუკმაპურობდაა.

ურსულა უტკბილეს უნაბს უგროვებს უჩას. უჩა უარობს. ურსულა უყურებს, უღიმის. უნდა, უჩას უტკბილესი უნაბი უჩვენოს.

უჩა უმზერს ურსულას, უმღერის. ურსულა უსმენს, უთანაგრძნობს.

უჩა უდედმამოა. უკვე უჩასაც უყვარდება ურსულა. უჩას ურსულას უტკბილესი უნაბიც უნდა.

ურსულა უამრავს უამბობს უჩას. უჩა უსმენს, უხარია. უჩა უბედნიერესია. ურსულას უჩა უყვარს, უჩას _ ურსულა.

## ფარი

ფრიდონი ფალავანია. ფარ-ხმლით, ფაფარგაშლილ ფაშატზე ფრენს.

ფასკუნჯი ფიქრობს: “ფაშატი ფრენს?”

ფენიქსიც ფიქრებშია.

ფრიდონი ფატისთანაა. ფატი ფუსფუსებს, ფარდაგს ფერთხავს. ფრიდონი ფატისთვის ფორთოხალს ფცქვნის. ფატი ფხუკუნებს.

_ ფრიდონ, ფელამუში ფუჭდება, _ ფელამუში ფრიდონის ფიალაშია.

ფასკუნჯი ფენიქსთანაა. ფიქრობენ ფრთიან ფაშატზე.

_ ფენიქს, ფრიდონია ფრთებიანი, ფატიზე ფიქრისაგან ფრენს .

_ ფაშატიც ფატიზე ფიქრობს? _ ფხუკუნებს ფენიქსი.

_ ფრიდონი ფატისაა, ფაშატი ფრიდონისაა. ფერად-ფერადი ფანტაზიებით ფრენენ.

## ქანი

ქუთაისი ქალაქია. ქალაქში ქვაფენილიანი ქუჩებია. ქალაქში ქალია _ ქსენია. ქსენია ქმრიანია.

ქსენიას ქათმები ქანდარაზე ქოთქოთებენ.

ქუთაისში ქარხნებიცაა. ქსენიას ქმარი ქარხნების ქება-დიდებაშია.

ქუთაისში ქარი ქრის. ქათმები ქანდარაზე ქანაობენ.

ქორი ქათმების ქურდია, ქსენიას ქათმების ქოხს ქურდავს.

ქსენია ქვითინებს. ქალის ქონება ქათმებია.

ქსენიას ქმარი ქუხს. ქორს ქვით ქოლავს. ქსენია ქმრის ქებაშია.

ქათმები ქანდარაზეა.

## ღანი

ღორი ღორმუცელაა, ღონიერიცაა. ღორი ღერძს ღუნავს, ღრუტუნებს.

ღამურა ღორს ღალატობს:

_ ღიღილო, ღელე ღელავს. ღორი ღელეში ღლავს ღრღნის.

ღიღილო ღიღინებს.

_ ღამურავ, ღვარძლიანობ. ღაბაბიანი ღორი ღუტუნ -ღრუტუნით ღელეს ღობეს ღოღნოშოსფრად ღებავს.

_ ღმერთმანი, ღლავი ღელეშია, _ ღრუტუნებს ღორი.

ღორი ღორმუცელაა, ღამურა _ ღალატიანი, ღიღილო ღიმილიანია.

## ყარი

ყაყაჩო ყვავილია, ყანაში ყვავის. ყვავი ყიამყრალია, ყრანტალებს. ყველს ყლაპავს, ყურძენსაც ყლაპავს.

ყურგრძელი ყურცქვიტა ყანაში ყირაობს. ყაყაჩოს ყურმოჭრილი ყმაა. ყანაში ყაყაჩოსთან ყურყუტებს.

_ ყურცქვიტა ყეყეჩია, _ ყოყოჩობს ყაყაჩო.

ყურცქვიტა ყულაბითაა, ყულაბიდან ყველაფერს ყაყაჩოსთან ყრის.

_ ყურცქვიტა ყურადღებიანია, _ ყრანტალებს ყვავი.

_ ყაყაჩოც ყურადღებიანია, ყაყაჩოს ყვავილების ყელსაბამი ყურცქვიტასთვისაა. _ ყარყატებს ყარყატი.

ყველანი ყაყანებენ.

## შანი

შოთიკომ შარვალი შეიკერა. შოთიკოს შავი შარვალი შვენის. შალვას შოთიკოსი შურს.

შალვამ შოთიკოს შავი შარვალი შიმპანზეს შეუგდო.

შიმპანზემ შოთიკოს შავი შარვალი შეშებს შუა შეტენა.

_ შალვა, შურიანო, შლეგო. _ შორენამ შალვას შოლტი შემოარტყა. შალვას შერცხვა. შარაგზას შეუყვა.

შაბათს შალვამ შოთიკოს შესანიშნავი შავი შორტები შეაძლია. შოთიკოს შალვას შავი შორტებიც შვენის.

შორენამ შალვას შოკოლადი შესთავაზა.

## ჩინი

ჩინეთიდან ჩიტი-ჩიორა ჩვენთან ჩქარობს ჩამოფრენას.

ჩოჩორი ჩხუბობს:

_ ჩქარა ჩიტო, ჩანჩალებ, ჩქარა ჩამოფრინდი!

ჩიტი ჩამოფრინდა, ჩალაში ჩახტა, ჩაეძინა.

ჩოჩორმა ჩვენებური ჩამიჩი, ჩირი, ჩურჩხელა ჩაუტანა ჩიტს.

ჩიტმა ჩამიჩს ჩაუნისკარტა, ჩირი ჩალაში ჩაყარა.

_ ჩემი ჩვევაა ჩირის ჩალაში ჩაყრა. _ ჩაიჩურჩულა ჩიტმა.

_ ჩაკურატებულხარ ჩიტო, _ ჩოჩორი ჩიტს ჩქმეტს.

_ ჩერჩეტო ჩოჩორო, ჩინეთში ჩაკურატებული ჩიტები ჩემპიონობენ.

ჩოჩორმა ჩიტის ჩალა ჩაახრამუნა.

_ ჩოჩორო, ჩემი ჩალა ჩაახრამუნე? _ ჩივის ჩიტი.

_ ჩემი ჩვევაა ჩალის ჩახრამუნება. _ ჩაიხითხითა ჩოჩორმა.

## ცანი

ციცინო ცამეტისაა, ციალა ცხრამეტის. ციალა ცემში ცხოვრობს. ცემში ცივა. ციალა ცემში ციგაობს. ციალასთან ცუგაცაა. ციცინო ცისფერთვალაა. ციცინო ციალასთანაა ცემში. ციცინოც ცდილობს ციგაობას.

_ ციალა, ცივა. ცემში ციმბირივითაა. _ ცქმუტავს ციგაობისას ციცინო.

_ ცრუობ, ციცინო, ციმბირში ცუდია. ცემში ცა ცისფერია, ციყვები ცხოვრობენ, ციცინათელებიც.

_ ციყვები ციმბირშიც ცხოვრობენ. ციცინათელებს ცეცხლი ცვლის ციმბირში.

_ ცეცხლი ცვლის ციცინათელას? ცეცხლი ცხელია, ციცინათელა ციმციმებს, ცივია. ცანცარებ ციცინო, ცანცარებ!

ციცინო ცხრება.

ციალა ცუგასთან ციგაობს.

## ძილი

ძიძია ძეგვშია ძიძასთან. ძეგვში ძნებია. ძიძიას ძიძის ძროხა ძალზედ ძლიერია. ძროხა ძნას ძიძგნის. ძღება.

ძაღლი ძროხასთან ძუნძულებს. ძაღლი ძროხის ძმობილია.

ძეგვში ძერაცაა. ძერა, ძიძიას ძიძას ძილისას ძარცვავს. ძიძას ძაღლიც ძალიან ძლიერია, ძერაზე ძლიერი. ძაღლი ძერას ძლევს. ძერა ძაღლის ძლიერებისაგან ძაბუნდება, ძალაგამოცლილი ძეძვში ძლივს ძვრება.

ძეგვში ძახველია. ძიძია ძიძასთან ძველებურად ძახველით ძღება.

## წილი

წუნა წრუწუნას წუნობს. წუნა წითელი წკაპუნებითაა.

წრუწუნას წყინს წუნას წუნიაობა.

_ წუნა, წამომყევი. წყალტუბოში წაგიყვან. წყალტუბოში წყლებია. _ წრუწუნებს წრუწუნა.

_ წრუწუნავ, წადი, წაბლი წამომიღე, წიწიბურაც. _ წუწუნებს წუნა. წუნა წავკისშია წიწვებზე წამოწოლილი.

_ წაბლსაც წამოგიღებ, წიწიბურასაც. წეროვანში წამომყვები? წეროვანში წალკოტია.
წვიმს. წრუწუნამ წაბლი წამოიღო წუნასათვის. წუნა წაბლს წიწკნის.
_ წრუწუნავ, წამოვალ წეროვანში, წეროვანში წმინდა წყარო წანწკარებს. წუთში წავალთ.
წრუწუნა წუნასთან წიწვებზე წამოწვა. წრუწუნაც წაბლს წიწკნის.

## ჭარი

ჭიამაია ჭორფლიანია. ჭიამაია ჭაბუასია. ჭიანჭველა ჭიამაიაზე ჭორაობს.
_ ჭაბუას ჭიამაია ჭაობშია, _ ჭუჭყუნებს ჭიანჭველა.
ჭაბუასთან ჭერამია, ჭანჭურიცაა. ჭიამაია ჭერამს ჭამს, ჭაბუასთან ჭუკჭუკებს.
ჭაბუასთან ჭრიჭინაცაა, ჭუკიც. ჭრიჭინა ჭანჭურს ჭამს, ჭუკი ჭერამს.
ჭიანჭველა ჭალაშია. ჭალაში ჭონჭყოა, ჭინჭარიცაა.
_ ჭიამაიას ჭერამი, ჭიანჭველას _ ჭინჭარი? _ ჭინჭყლობს ჭიანჭველა.
_ ჭიანჭველავ, ჭამე ჭერამი, ჭანჭურიც. _ ჭრიჭინებს ჭაბუას ჭრიჭინა.
ჭრიჭინა, ჭიამაია, ჭიანჭველა, ჭუკი ჭაბუას ჭერქვეშ ჭუკჭუკებენ, ჭურჭლიდან ჭერამს, ჭანჭურს ჭამენ.

## ხანი

ხულოში ხეა. ხეზე ხვიარაა. ხუმარა ხეს ხვიარას ხსნის. ხეს ხერხავს.
_ ხუმარავ, ხუმრობ? _ ხარხარებს ხარი.
_ ხუმრობს, ხუმრობს, _ ხითხითებს ხოხობი. ხოხობი ხითხითისაგან ხოხავს.
_ ხარო, ხმაურობ. ხე ხმელია. ხოხობო, ხევში ხორბალია, _ ხტუნავს ხუმარა.
_ ხილი? _ ხალისობს ხოხობი.
_ ხილი ხუმარასია. ხვლიკი ხოხავს ხევში, ხორბალს ხრავს, ხოხობის ხორბალს.
ხოხობი ხევშია ხორბალთან. ხვლიკი ხვრელისაკენ ხოხავს.
ხოხობი ხალისობს ხორბლით.
ხუმარა ხარხარებს.
_ ხურმა ხუმარასია.
_ ხენდრო ხარისაა, _ ხალისობს ხარიც.

## ჯანი

ჯული ჯადოქარია, ჯადოსნობს.
ჯაბა ჯარისკაცია.
ჯული ჯურღმულში ჯუჯებთან ჯირკზე ჯდება. ჯუჯებთან ჯაბას ჯამია. ჯამში ჯემია. ჯადოქარი ჯული ჯაბას ჯამს ჯადოსნობს.
_ ჯაბა ჯანდაბაში, ჯაბას _ ჯანდაბა, _ ჯუჯღუნებს ჯული.

ჯაბა ჯავრობს. ჯოხით ჯადოქარ ჯულის ჯობნის.
ჯიხვი ჯაბასთანაა. ჯულის ჯადოსნობას ჯიხვიც ჯობნის.
ჯუჯები ჯულისთან ჯაჯღანებენ: _ ჯაბა ჯულის ჯობია.
ჯადოქარი ჯული ჯანდაბაში ჯანჯალებს.

## ჰაე

ჰილდა ჰავანიდანაა. ჰარი _ ჰერეთიდან.
ჰილდას ჰალვა ჰყვარებია, ჰარის ჰამბურგერი.
ჰილდას ჰულაჰუპი ჰქონია, ჰარის _ ჰანტელები, ჰამაკიც.
ჰიპოპოტამსაც ჰყვარებია ჰამბურგერი.
_ ჰმ, ჰარის ჰამბურგერი ჰქონია.
_ ჰქონია? ჰქონდეს. ჰამბურგერი ჰარისია.
ჰილდა ჰიპოპოტამს ჰარის ჰამბურგერს ჰპირდება.
_ ჰიპოპოტამო, ჰა ჰამბურგერი.
ჰარის ჰილდა ჰყვარებია. ჰილდას _ ჰარი.
ჰილდა ჰარისთანაა ჰამაკში.

ჰარალე, ჰარი ჰარალე.

# განმარტებითი ლექსიკონი

აკრობატი _ ცირკის მსახიობი.
ალპინიზმი _ მაღალ მთაზე ასვლა.
ალპები _ ყველაზე მაღალი მთები ევროპაში.
ბდღვნიდნენ _ ფრინველს ბუმბულს აცლიდნენ.
ბინადარი _ მკვიდრი მაცხოვრებელი.
გნომი _ ჯუჯა.
განძი _ ძვირფასი ნივთები.
გორგოლა _ პატარა ბურთულა.
გორგოლაჭი _ იგივეა, რაც გორგოლა.
დედოფალა _ თოჯინა.
ვარდნარი _ ვარდის ბუჩქებიანი ადგილი.
ზორბა _ დიდი, მოსული.
ზინზილები _ მოსართვ-სამკაული.
ზურმუხტი _ მწვანე ფერის ძვირფასი ქვა.
ზარდახშა _ პატარა სკივრი, ძვირფასი ნივთების შესანახად.
ზვირთი _ დიდი ტალღა ზღვაზე.
ზეგანი _ სწორი ადგილი მთაზე.
თაღლითი _ მატყუარა, ცბიერი.
იალაღი _ მთის საძოვარი.
იაგუნდი _ ლალი (ძვირფასი ქვა).
კრამიტი _ გამომწვარი თიხა, ხმარობენ შენობის გადასახურავად.
კრუასანი _ ფრანგული ნამცხვარი.
ლელი _ წვრილღეროიანი მცენარე.
ლელიანი _ ადგილი, სადაც ლელი ხარობს.
ლილია _ ყვავილი.
ლაბირინთი _ მრავალი შესასვლელისა და გამოსასვლელის მქონე ოთახი.
ლაბრადორი _ ძაღლის ჯიში.
მოდიშეთი _ გამოგონილი ზღაპრული ქვეყანა.
მოდიშელი _ მოდიშეთის მაცხოვრებელი.
ნილოსი _ მდინარე ეგვიპტეში.
ნობათი _ საჩუქარი, ძღვენი.
ონავარი _ მოუსვენარი, ცელქი.
ოინბაზი _ ეშმაკი, მატყუარა.
ოქროვაშლა _ პომიდორი.
ომლეტი _ ერბოკვერცხი.
ჟონგლიორი _ ცირკის მსახიობი.
ჟასმინი _ ყვავილიანი ბუჩქი.

ჟამი _ დრო, ხანი.
სადაფი _ მარგალიტის ნიჟარა.
შლეგი _ გიჟი, გადარეული.
ციმბირი _ ადგილი რუსეთში.
ცემი _ სოფელი ბორჯომის რაიონში.
ჯირკი _ კუნძი.
ჯანდაბა _ წყევლაა (უბედურება, ჯოჯოხეთი).
ჰავანა _ კუბის დედაქალაქი.
ჰერეთი _ ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში.

# სიზმრის ქვეყანა

## (სკივრში ნაპოვნი ზღაპრებიდან, დღევანდელ ზღაპრებამდე)

ძალიან დიდი ხნის წინ, უხსოვარ დროს, ერთ პატარა, უღრუბლო სამეფოს განაგებდა ძალიან კეთილშობილი და ამავე დროს ძალიან ახალგაზრდა მეფე. როგორც საერთოდ ზღაპრებში ხდება ხოლმე, შესაბამისად დედოფალიც ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი ბრძანდებოდა. ორი შვილი ჰყავდა მეფე-დედოფალს, გოგონა და ვაჟი. მშობლები მეტ ყურადღებას ვაჟს უთმობდნენ, რადგანაც ის უფლისწული იყო და საბოლოოდ სამეფო ტახტი უნდა ჩაებარებინა.

გოგონა ძალიან მოუსვენარი გაიზარდა, თან ათასგვარი ოცნებებით ჰქონდა თავი გამოტენილი. ხან ღრუბელი იყო, ხან ჩიტი, ხან კიდევ ყვავილი ან პეპელა და ამას სრული სერიოზულობით განასახიერებდა. უფლისწული აღტაცებული იყო თავისი დის საქციელით. ხანდახან კიდეც ამოიხვნეშებდა: “ეჰ, მეც რომ ეგეთი ვიყო, რა კარგი იქნებოდაო”.

_ რა ცელქია ჩვენი გოგონა, _ გადაულაპარაკა დედოფალმა მეფეს.

_ სამაგიეროდ ნახე, როგორი ლამაზია, ბევრ უფლისწულს გაუტეხს გულს მისი სილამაზე. _ უპასუხა მეფემ.

_ სილამაზე და ხასიათი, _ გაიცინა დედოფალმა.

ერთ დილით, მთელი სასახლე გოგონას ტირილმა გააღვიძა. მეფე-დედოფალი, გადია, უფლისწული და ყველა მსახური გოგონას ოთახში შეიკრიბნენ.

_ რა მოხდა ძვირფასო, რა დაგემართა? _ ჰკითხა დედოფალმა.

_ გტკივა რამე? _ აეცრემლა თვალები გადიას.

_ მოყევი შვილო რა მოხდა. _ არ ჩამორჩა მეფე.

_ სიზმარი დავკარგე, სიზმარი _ ტირილით ლაპარაკობდა გოგონა, ლოყებზე ცრემლები ღვარად მოედინებოდა. ნაწილ ცრემლს ყლაპავდა, ნაწილი კი ყელის გავლით, გულისაკენ მიედინებოდა და ეს ცხელ-ცხელი ცრემლები კიდევ უფრო უწვავდა, ისედაც დამწვარ გულს.

_ ერთი კვირაა სიზმარი არ მინახავს, წუხელი კი მესიზმრა, რომ სიზმრის ფერია მოვიდა და დამემშვიდობა. მე შენთან ვეღარ მოვალო. რატომ მეთქი ვკითხე, მაგრამ მან არაფერი მიპასუხა და მართლა სიზმარივით გაქრა.

უფროსებს გაეცინათ.

_ რაც უფრო გაიზრდები, ნაკლები დაგესიზმრება. _ ეცადა დამშვიდება ს დედოფალი. გოგონა კვლავ ატირდა.

_ ნუ ტირი შვილო, სიზმრებს კიდევ ნახავ, თანაც ფერადს. _ სიტყვა ჩამოართვა მეფემ. გადიაც გოგონასთან ერთად ტიროდა. უფლისწული კი ნელ-ნელა მიუჩოჩდა დაიკოს და უჩურჩულა:

_ ინაინა, (ასე ერქვა გოგონას) გინდა სიზმრის მოსაძებნად წავიდეთ? მეც წამოგყვები.

_ რომ არ ვიცით სად ვეძებოთ?

_ სიზმრის ქვეყანაში, შენ შენს სიზმარს იცნობ?

_ მე სიზმრის ფერიას ვიცნობ, სიზმარს როგორ უნდა ვიცნობდე, ის ხომ ყოველ ღამე სხვადასხვანაირია.

_ ესე იგი შენ, სიზმრის ფერია დაგიკარგავს და ის უნდა მოვძებნოთ. _ დაასკვნა უფლისწულმა.

_ რა ჭკვიანი ხარ ძამიკო _ აღფრთოვანდა ინაინა და ტირილიც შეწყვიტა.

_ რას ჩურჩულებთ, ჩვენ არ შეიძლება გავიგოთ? _ იკითხა მეფემ. გოგონა დაიბნა, უფლისწულმა კი თვალიც არ დაახამხამა ისე უპასუხა.

_ მე ვუთხარი, სიზმარი ალბათ გეხუმრა და ნახავ, ამაღამ თუ არ გესტუმრება მეთქი. _ თან ძალიან სერიოზული სახით ინაინას თვალი ჩაუკრა. გოგონამაც გაიღიმა და ბიჭს ჩაეხუტა. ამის შემდეგ, ყველანი, კმაყოფილი სახით თავთავიანთ ოთახებში წავიდ-წამოვიდნენ. მხოლოდ გადია დარჩა მათთან. ლილია (ასე ერქვა გადიას) ბავშვებს მიუახლოვდა და ჩურჩულით იკითხა,

_ ინაინა, გულით გინდა სიზმრის ფერია შემოირიგო?

_ ძალიან მინდა გადია, ძალიან.

_ კარგი, მჯერა. დაღამდება თუ არა გახვალთ. ჩენს სამეფოსა და მეზობელ სამეფოს შორის, პატარა გამოქვაბულია. იმ გამოქვაბულში მოხუცი კაცი ცხოვრობს. იმხელა წვერი აქვს, რომ ლეიბი, საბანი და ბალიში არ სჭირდება. გაეხვევა ხოლმე თავის წვერში და სძინავს თბილად. გამოქვაბულთან რომ მიხვალთ, წარმოსთქვამთ:

გამარჯობა ბაბუ, ხომ არ გაგაღვიძეთ?

შენი წვერის მადლმა, სახლში შემოგვიშვებ?

მოხუცი გამოქვაბულში შეგიყვანთ. მოუყევით თქვენი ამბავი და ის გასწავლით როგორ მოიქცეთ. წვერის შექება არ დაგავიწყდეთ, უთხარით, რომ ეგეთი ძვირფასი წვერი ჯერ არ გინახავთ. ამითი მოხუცის გულს, სამუდამოდ მოიგებთ. _ გადიამ ბავშვებს პატარა სარკე მისცა _ თუ გაგიჭირდათ, ჩაიხედეთ. სარკეში ჩემი ანარეკლი გამოჩნდება და ყველანაირად დაგეხმარებით. _ ქალმა გოგო-ბიჭს შუბლზე აკოცა და ოთახიდან გავიდა.

_ რა საყვარელია ჩვენი გადია ლილია არა? _ გადაულაპარაკა ძმას ინაინამ და სმოგზაურო სამზადისს შეუდგა.

ვახშმის შემდეგ, ბავშვები დაემშვიდობენ მშობლებს, ძილი ნებისა უსურვეს და ვითომ დასაძინებლად წავიდნენ.

ცოტა ხანში ფართე შარაგზას, ორი არსება მიუყვებოდა და პატარა გულები, ცოტა არ იყოს გამალებით უცემდათ.

თენდებოდა. და-ძმა გამოქვაბულს მიუახლოვდა. ძალიან დაღლილებს ცოტა იმედი მიეცათ და ომახიანად წარმოსთქვეს:

გამარჯობა ბაბუ, ხომ არ გაგაღვიძეთ?

შენი წვერის მადლმა, სახლში შემოგვიშვებ?

გამოქვაბულიდან მოხუცმა გამოყო თავი.

_ რა გაყვირებთ, ყრუ კი არა ვარ, _ წამოიძახა და ბავშვები აათვალიერ-ჩაათვალიერა. _ აა, თქვენ ლილიას ბარტყები ხართ?

_ ჩვენ ბარტყები კი არა, ბავშვები ვართ, ლილია კი ჩვენი გადიაა. _ ცოტა არ იყოს იუკადრისა და-ძმამ.

_ რა ვიცი, ლილიამ დამიმესიჯა, ჩემი ბარტყები მოვლენ და გზაზე დააყენეო.

_ რა ქნა? _ თვალები გაუფართოვდათ ბავშვებს.

_ დამიმესიჯა, ესეიგი შემატყობინა. აა, თუმცა თქვენ ხომ სკივრში ნაპოვნი ზღაპრიდან ხართ. უფ, რა არის სიბერე, სულ ამერია ყველაფერი. შემოდით, შემოდით, მშივრები იქნებით.

_ ჩვენ არანაირ სკივრში არა ვართ ნაპოვნი. ჩვენ უღრუბლო სამეფოდან ვართ და სიზმრების ქვეყანას ვეძებთ. _ თვალები აუცრემლდათ ბავშვებს.

_ ვიცი, ვიცი, ლილიამ ყველაფერი შემატყობინა. დასხედით ვისაუზმოთ. დაისვენეთ და გზა განაგრძეთ. მე ყურადრებას ნუ მომაქცევთ, დავბერდი და ხანდახან ათას სისულელეს ვლაპარაკობ ხოლმე.

ბავშვებმა ცხელ-ცხელი ფუნთუშები მიირთვეს, კაკაო დააყოლეს და ცოტა ხასიათზე მოვიდნენ.

_ რა კარგი წვერი გაქვს ბაბუა, _ გაახსენდა ინაინას გადიას დარიგება და გაიღიმა.

_ ჰმ, სიამოვნებით ჩაიკრუტუნასავით მოხუცმა და საკუთარ წვერს მოეფერა, _ მართალი ხარ, წვერი ნამდვილად სანაქებო მაქვს.

ამასობაში, უფლისწულმა გამოქვაბული კარგად დაათვალიერა. კუთხეში, მაგიდაზე რაღაც ყუთი იდგა. წინა მხარე ანათებდა და ზედ რაღაცეები ხან იწერებოდა და ხან იხატებოდა. ბიჭი აღფრთოვანდა.

_ ეს რა არის?

_ ეს? ეს კომპიუტერია _ უპასუხა მოხუცმა.

_ კომპიუტერი რა არის?

_ ამას მერე აგიხსნი. ძალიან საჭირო ნივთია. გინდა ლილიასთან დაგალაპარაკო?

_ ლილიას მე მაგის გა რეშეც დაველაპარაკები. ინაინა, სარკე მომეცი. _ გოგონამ სარკე გახსნა და ჩაიხედა. სარკიდან გადიას შეშფოთებული სახე შემოეფეთა.

_ რა მოხდა, გაგიჭირდათ რამე? _ ლილია ეტყობა შეშინებული იყო.

_ არა, უბრალოდ მოგვენატრე.

_ მე ხომ გაგაფრთხილეთ, სარკე მხოლოდ გაჭირვე ბის შემთხვევაში გამოიყენეთ მეთქი. ახლა სარკემ ძალა დაკარგა და ვეღარ გამომიძახებთ. _ ლილიას გამოსახულება გაქრა და ბავშვებს ხელში, ჩვეულებრივი სარკე შერჩათ.

_ ჰა, ჰა, ჰა, ვეუბნებოდი ლილიას, მოეშვი ამ ძველმანებს მეთქი. რაღა დროის სარკეებია, სარკე გასაპრანჭადაა კარგი. ძველი ზღაპრები კარგია, მაგრამ ახალმა ზღაპრებმა რა დააშავეს, განა არა აქვთ არსებობის უფლება? მე რაც იმ დროიდან შემოვინახე, ჩემი წვერი და ჩემი გამოქვაბულია. _ აღტაცებული, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა და თან ჯიბეებს იქექავდა მოხუცი. _ სარკეების დრო წავიდა, ყველა ჯადოქარმა ისწავლა, როგორ უნდა შეგაწყვეტინოს ლილიასნაირ ძველმოდურ გრძნეულებთან ურთიერთობა. აი ამას კი ჯერ ვერაფერი გაუგეს. _ მოხუცმა როგორც იქნა დაამთავრა ჯიბეებში ქექვა, პატარა, კოლოფივით ნივთი ამოიღო და ბავშვებს გაუწოდა. და-ძმა გაოცებული დააცქერდა მოგრძო ფორმის კოლოფს, რომელზედაც ციფრები და ასოები ეხატა.

_ ეს რა არის? _ იკითხეს ერთხმად.

_ ეს მობილური ტელეფონია. აი, ეს არის ის ზღაპრული ნივთი, რომელიც ლილიასთან, ყოველ წუთს შესძლებს დაგაკავშიროს. _ მოხუცმა რომელიღაცა ციფრს თითი დააჭირა და კოლოფიდან ლილიას ნაცნობი ხმა გაისმა.

_ ალო, რა ჰქენი მოხუცო, აურიე ხომ ბავშვებს ტვინი, _ ბრაზობდა გადია. _ დამალაპარაკე ინაინა. _ მოხუცმა მობილური გოგონას გაუწოდა _ ჰა, დაელაპარაკე. ოღონდ ჯერ ალო თქვი, ასეთი წესია.

_ ალო!

_ ინაინა, ჩემო გოგო, მაგ გამოშტერებულს ნუ ღარ უსმენ. მობილური ჯიბეში ჩაიდე და გზას დაადექით, შენ ხომ არ დაგავიწყდა, რომ სიზმრების ქვეყანაში უნდა მიხვიდე და სიზმრის ფერია იპოვნო. როცა დაგჭირდები, ერთიანს დააჭირე თითი და ჩემს ხმას გაიგონებ. ახლა წადით, დანარჩენს ბერიკაცი გეტყვით.

გოგონამ პატარა კოლოფი ჯიბეში ჩაიდო, მოხუცს გაუღიმა, წვერზე მიეფერა და სთხოვა ესწავლებინა, სიზმრის ქვეყნისაკენ მიმავალი გზა.

_ მეზობელ სამეფოს რომ გაივლით, უღრან ტყეში შეხვალთ, ტყის ბოლოს უზარმაზარი ხე დგას, ხეს დიდი ფუღურო აქვს, სადაც ბებიაჩემი ცხოვრობს.

_ ბებიაშენი? _ ბავშვებს თვალები გაუფართოვდათ.

_ ჰო, რა იყო, თქვენ თუ გყავთ ბებია, მე არ შეიძლება რომ მყავდეს? ბებიაჩემს ძალიან გრძელი თმა აქვს, ჩემი წვერისა არ იყოს. რომ მიხვალთ, დააკაკუნეთ და წარმოსთქვით:

გამარჯობა ბებო, ხომ არ გაგაღვიძეთ?

შენი თმების მადლმა, სახლში შემოგვიშვებ?

დანარჩენს ის გასწავლით. ბებიაჩემი და სიზმრის ქვეყნის დედოფლის ბებია, ძველი მეგობრები არიან. აბა, ახლა წადით. ძალიან კი მენანება თქვენი გაშვება, მაგრამ ლილიას ხათრს ვერ გავუტეხ. ჰო, ბებიაჩემის თმის შექება არ დაგავიწყდეთ, გაეხარდება. აბა წადით, წადით.

გოგონა თითის წვერებზე აიწია და მოხუცს ლოყაზე აკოცა. _

_ მადლობ, ბაბუა. უკანა გზაზე რომ წამოვალთ, აუცილებლად გინახულებთ.

მოხუცმა და-ძმას საგზალი ჩაუწყო და გამოქვაბულიდან გამოიყვანა.

ბავშვები, უღრანი ტყის გზას დაადგნენ. უკვე ხვდებოდნენ, წინ დიდი თავგადასავლები ელოდათ.

## სიზმრის ქვეყანა

## თავი მეორე

მოხუცის გამოქვაბულიდან, საკმაოდ დიდი გზა ჰქონდათ სიზმრის ფერიის მაძებრებს გასავლელი. დაიღალნენ, საგზალიც შემოეჭამათ და შიმშილმაც შეაწუხათ.

_ სახლში მინდა _ წაიწუწუნა ინაინამ. _ უფლისწული უფრო გამძლე აღმოჩნდა, ალბათ იმიტომ რომ ბიჭი იყო და თანაც უღრუბლო სამეფოს ტახტის მემკვიდრე.

_ რას ამბობ ინაინა, სიზმრის ფერია არ მოვძებნოთ, აღარ გინდა? კი ბატონო, დავბრუნდეთ, მე რა მენაღვლება, სიზმარი მე კი არ დამიკარგავს, შენ დაკარგე.

_ არა, არა წავიდეთ, გზა განვაგრძოთ. უბრალოდ დავიღალე და მომშივდა. _ თავი იმართლა დამორცხვებულმა გოგონამ.

ამასობაში ტყეშიც შევიდნენ. გარშემო ისეთი სილამაზე იყო, რომ დაღლა იმავე წუთს გადაავიწყდათ. აღარც შიმშილი აწუხებდათ. ბილიკს სულ ხტუნვა-ხტუნვით მიუყვებოდნენ. აქეთ- იქიდან ჩიტები ესალმებოდნენ, ყვავილები უღიმოდნენ. ხეები ერთმანეთს ატყობინებდნენ: “მოვიდნენ, მოვიდნენო”. გარშემო ყველაფერი მწიფდა. ხეები ტოტებს უხრიდნენ და მწიფე ხილი პირდაპირ ხელებში უცვიოდათ ბავშვებს.

_ რა გემრიელია ყველაფერი, _ აღტაცება ვერ დამალა ბიჭმა.

_ ეს ჯადოსნური ტყეა, ხილიც ეტყობა ჯადოსნურია და იმიტომ არის ასეთი გემრიელი. _ უპასუხა გოგონამ. გზად ცოტა დაისვენეს კიდეც. ხის ჩრდილში წამოწვნენ და ცას გახედეს. ცას თითქოს განსაკუთრებული, იასამნისფერ-ლურჯ-ცისფერ-მოვარდისფრო ფერი გადაჰკრავდა.

_ საოცრებაა _ ბავშვები აღტაცებას ვერ მალავდნენ. ტოტები სულ უფრო დაბლა ეშვებოდა და მწიფე ალუბლები პირდაპირ პირში უხტებოდა და-ძმას. მათი კისკისი ზარის წკრიალივით გადაეცემოდა ხიდან ხეს, ბუჩქიდან ბუჩქს და ტყეც მათთან ერთად კისკისებდა.

ნასიამოვნები ბავშვები წამოდგნენ და გზა განაგრძეს.

_ აი, დიდი ხე, ალბათ ამაზე გვეუბნებოდა მოხუცი. _ ტყის ბოლოს, უზარმაზარი ხე იდგა. მწვერვალი თითქოს ცას სწვდებოდა. ტოტები კი იმხელაზე ჰქონდა გაშლილი, გეგონებოდა ტყეს გარშემორტყმოდა და მშობელივით, რაღაც საშიშროებისაგან იცავდა. ხეს დიდი ფუღურო ამშვენებდა. ფუღურო ყვავილებით იყო მორთულ-მოკაზმული. ნათლად ჩანდა, რომ აქ ქალი ცხოვრობდა. ბავშვები ხეს მიუახლოვდნენ.

გამარჯობა ბებო, ხომ არ გაგაღვიძეთ?

შენი თმების მადლმა, სახლში შემოგვიშვებ?

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრეს, რომ ფუღუროდან ქალი გამოვიდა, რომელიც არაფრით არ ჰგავდა მოხუცის ბებიას. შვილიშვილი უფრო გეგონებოდა. თმა კოჭამდე ჰქონდა ჩამოშლილი. თვალები ცისფრად შეეღება, ტუჩებზე კი კვასკვასა წითელი პომადა ესვა. მოკლე ქვედაბოლო ეცვა და მაღალ ქუსლებზე შესკუპულიყო. ბავშვები პირღია შესცქეროდნენ ქალს, ასეთი რამ ცხოვრებაში არ ენახათ.

_ გამარჯობა _ ორ ხმაში მიმართეს ბებიას.

_ გამარჯობა ჩემო ლამაზებო, კარგებო და ტკბილებო. აქამდე სად იყავით? ძალიან დაგაგვიანდათ. ცხელ-ცხელი ფუნთუშები გელოდებათ. შემოდით, რაღას დგეხართ?

ბავშვები ფუღუროში შევიდნენ. აქ უფრო მეტი სასწაული ელოდათ. ოთახი ვარდისფრად იყო მორთული. ფარდები, კედლები, საწოლი და კომპიუტერიც კი ვარდისფრად ანათებდა, სურნელიც თითქოს ვარდისა იდგა.

_ რა ლამაზია _ ვერ დამალა აღტაცება ინაინამ.

_ მოგწონს? _ კეკლუცად გაიღიმა ბებომ.

_ ძალიან.

_ სახლში რომ დაბრუნდები, შენი ოთახიც ზუსტად ასე დაგხვდება მორთული.

_ რანაირად?

_ შენ ხომ სიზმრების ქვეყანაში მიდიხარ?

_ დიახ.

_ ჰოდა, როგორც კი შენს სამეფოს გადმოაბიჯე, ზღაპარში ამოყავი თავი.

_ ესეიგი, სახლში რომ დავბრუნდები, ზღაპარი დამთავრდება?

_ არა, შენ და შენი ძმა უკვე ზღა პრის გმირები ხართ. ერთ საიდუმლოს გაგანდობ. სიზმრის ფერიამ სპეციალურად მიგატოვა. შენი გამოცდა გადაწყვიტა. ჯერ ერთი აინტერესებდა, წახვიდოდი თუ არა მის საძებნელად. მეორეც ერთი, წინ დიდი თავგადასავლები გელის, მათ შორის სახიფათოც. თუ თავს გაართმევ, სიზმარიც დაგიბრუნდება და შენი სამეფოც ზღაპრულ სამყაროდ დარჩება სამუდამოდ. შენ ეს უნდა დაიმსახურო. უფრო სწორედ, ორივემ დაიმსახუროთ. მეტს ვერაფერს გეტყვი, დანარჩენს შენ თვითონ გაიგებ.

_ ჩემს ვარდისფერ ოთახში კომპიუტერი მექნება?

_ გექნება, თანაც აუცილებლად ვარდისფერი. აბა, გეყოფა ლაპარაკი. ივახშმეთ და დაიძინეთ. დილით ადრე უნდა დაადგეთ გზას.

ბავშვებმა გემრიელად მიირთვეს და მალევე ჩაეძინათ.

დილით ადრე, და-ძმა გემრიელი ყავის სუნმა გააღვიძა.

_ რას დალევთ, კაპუჩინოს, უბრალოდ ხსნადი ყავას თუ კაკაოს?

_ კაკაოს _ უპასუხა ინაი ნამ, _ კაპუჩინო და ხსნადი ყავა არ იცოდა რა იყო, მაგრამ არ შეიმჩნია. _ ჩვენ კაკაო გვიყვარს, ბაბუამ, უფრო სწორედ შენმა შვილიშვილმა, კაკაო დაგვალევინა და ძალიან მოგვეწონა.

_ ვინ არის ჩემი შვილიშვილი, ეგ მიხრწნილი ბებერი? სულ გამოსულელებულა. ეგ ჩემი ბაბუაა, განა არ მეტყობა, რომ მე უფრო ახალგაზრდა ვარ? _ ტუჩები დააწყო ბებომ და სარკეში ამაყად ჩაიხედა _ ნახე რა მშვენიერი ვარ.

_ რა ლამაზი თმა გაქვს _ შეუქო თმა ინაინამ.

_ ჰო, თმა ნამდვილად ძვირფასი მაქვს. _ გაიღიმა ბებომ. _ ახლა მისმინეთ. ჩემგან რომ გახვალთ, მდინარეს მიადგებით. ნაპირთან ნავია დაბმული. ნავში ჩასხდებით და მდინარეს გადაცურავთ. ცოტას რომ გაივლით, დიდ ჭიშკარს მიადგებით. იმ ეზოში ოქროს ხე დგას, ოქროს ხეს ალმასის ხუთი ბურთულა ასხია. თქვენ ხუთივე გჭირდებათ, რომ სიზმრის ქვეყანამდე მიაღწიოთ. ოქროს ხეს, ბაყბაყდევი იცავს და ახლოს არავის აკარებს.

_ ცხრათავიანი დევია?

_ ცხრათავიანი არა ორმოცდაცხრათავიანი. ერთი თავი აქვს, ისიც ცარიელი. მხოლოდ ის იცის, რომ ალმასები არავის არ უნდა გაატანოს. თავის თავს ბაყბაყდევს ეძახის. ამ დროს კი ჩვეულებრივი დევია, რომლის მოტყუებაც, როგორც ყველა ზღაპარში ხდება, ძალიან ადვილია. თქვენ თუ ამას მოახერხებთ და ალმასებს ხელში ჩაიგდებთ, სიზმრის ქვეყნისაკენ გზა ხსნილი გექნებათ. ჭიშკარს რომ მიუახლოვდებით, დააკაკუნებთ და წარმოსთქვამთ:

გამარჯობა დევო, ხომ არ გაგაღვიძეთ?

ბაყბაყდევი რომ ხარ, სახლში შემოგვიშვებ?

ახლა წადით, დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული. თუ რამე გაგიჭირდათ მობილურით დამიკავშირდით.

_ უკანა გზაზე რომ წამოვალთ, აუცილებლად გინახულებთ _ წარმოსთქვა ინაინამ და ბებოს ჩაეხუტა. ქალს თვალებზე ცრემლები მოადგა. _ რამდენი ხანია არავინ მომფერებია, _ ჩაილაპარაკა და ინაინა გულზე მაგრად მიიკრო. _ შენც მოდი ბიჭო, არ გეკადრება თუ რა. ჰო, ისე შენ რა გქვია?

_ აკაროსი.

_ აკაროსი? ეგ რა სახელია. მოდი რა, მე აკას დაგიძახებ. აკაროსი რაღაც არ მომწონს.

_ ჩვენთან აკაროსი, ერთ-ერთი მეფეების სახელია.

_ ჰოდა აკაროსი იქ დაგიძახონ. აქ კიდევ აკა იყავი, კარგი?

_ კარგი, კარგი. მხოლოდ იმის ხათრით, ასეთ გემრიელ ფუნთუშებს რომ აცხობ.

ბებომ საგზალი ჩაუწყო კალათაში, ფუნთუშებიც არ დავიწყებია. ბავშვებს დაემშვიდობა და აცრემლებული ფუღუროში მიიმალა.

ინაინა და აკა ნავში ჩასხდნენ და მეორე ნაპირისაკენ გასცურეს. მდინარის წყალი ცისფერი და სრულიად გამჭვირვალე იყო, ისე რომ კენჭებსაც კი დაითვლიდი. და-ძმა უყურებდა, როგორ დაცურავდნენ ფსკერზე სხვადასხვა ფერის თევზები. ციდან კი წყალში, მსუბუქი ღუბლები ირეკლებოდა. ბავშვებს სახეზე, ბედნიერი ღიმილი უთამაშებდათ. ისინი ხომ, ამ ზღაპრული სამყაროს გმირები იყვნენ.

მალე ნაპირს მიადგნენ, ნავიდან გადმოვიდნენ, ჭიშკარს მიუახლოვდნენ და წარმოსთქვეს:

გამარჯობა დევო, ხომ არ გაგაღვიძეთ?

ბაყბაყდევი რომ ხარ, სახლში შემოგვიშვებ?

კარი, იმავე წამს გაიღო. ბავშვების თვალწინ უზარმაზარი, ბანჯგვლიანი არსება იდგა. მიუხედავად იმისა, რომ საშინელი შესახედი იყო, ყურებამდე იღიმოდა.

_ შემოდით, შემოდით, რას დგეხართ, სადა ხართ აქამდე? იცით რამდენი ხანია გელოდებით? ალბათ ორი საუკუნეა. ჩემთან სტუმრად არავინ დადის. ეშინიათ. მე კი მსოფლიოში, ყველაზე კეთილი ბაყბაყდევი ვარ.

_ მართლა კეთილი ხარ? _ დაეჭვდა ინაინა.

_ მართლა დევი ხარ? _ დააზუსტა აკამ.

_ დევი კი არა, ბაყბაყდევი, თანაც ძალიან ბრაზიანი. _ დევმა ჭიშკარი ჩაკეტა. _ ბავშვების ყლაპვა მიყვარს. ჰა, ჰა, ჰა, _გადაიხარხარა დევმა, _ შეგაშინეთ? გეხუმრეთ. ბავშვებს კი არა, ხორცს საერთოდ არ ვჭამ. ვეგეტარიანელი დევი ვარ.

_ ვეგეტარიანელი რა არის?

_ აი, ხორცს რომ არ ჭამს ის. ესეიგი მე. მე ვარ ერთადეთი ვეგეტარიანელი დევი.

დევმა ბავშვები სახლში შეიყვანა, სუფრა გაუშალა და ავახშმა. მართალია, სუფრაზე მხოლოდ ბოსტნეული იდო, (ჩვენი დევი ხომ ვეგეტარიანელია) მაგრამ მოშიებულმა ბავშვებმა მაინც გემრიელად მიირთვეს.

_ ახლა დაიძინეთ, ადრე ხართ ასადგომი. სიზმრის ქვეყანამდე კიდევ დიდი და რთული გზა გაქვთ გასავლელი.

და-ძმა ცალკე ოთახში დააბინავა დევმა. ისინიც წამოწვნენ და ჩურჩულით დაიწყეს მოლაპარაკება, თუ როგორ მოეტყუებინათ დევი და ალმასები ხელში ჩაეგდოთ.

## თავი მესამე

გათენდა, ბავშვებმა ჩქარ-ჩქარა ჩაიცვეს და ეზოში ჩავიდნენ. დევი მაგიდასთან ფუსფუსებდა და თან ღიღინებდა: "დარია თუ ავდარია".

_ დილა მშვიდობისა დევო, ერთი თხოვნა გვაქვს შენთან.

_ რა თხოვნა?

_ ოქროს ხეს არ გვაჩვენებ?

_ რომელ ოქროს ხეს? _ სახე შეეცვალა დევს _ ვინ გითხრათ?

_ ალმასების ბურთულები რომ ასხია. უბრალოდ ვნახავთ.

_ არ გაჩვენებთ, ის ხე ჩემია.

_ გვაჩვენე რა  დევო, შენ ხომ კეთილი ხარ, _ სთხოვა ინაინამ და დევს თავზე ხელი გადაუსვა.

_ შენ ხომ ბაყბაყდევი ხარ _ არ ჩამორჩა აკა.

_ ბაყბაყდევი რომ ვარ და თანაც კეთილი, იმიტომაც არ გაჩვენებთ. ჩემთან იცით რატომ არავინ აღარ მოდის? ვინც ოქროს ხეს შეხედავს, იმ წამს გაქვავდება, ჩემს გარდა. რომ შეიხედოთ იმ ოთახში, სადაც ხე მაქვს დარგული, გაგიკვირდებათ იმდენი ქანდაკებაა იქ. ასე რომ ოქროს ხეზე ფიქრსაც კი თავი დაანებეთ. ეტყობა იმ ბებრებმა დაგარიგეს ჭკუა ხომ? იმათ ის ვერ გაურკვევიათ, ვინ ბაბუაა და ვინ შვილიშვილი. დამიჯერეთ, მე არასოდეს არავინ მომიტყუებია. ვინც არ დამიჯერა, კი დგას ეგერ ოქროს ხესთან გაქვავებული, უკვე რამდენი ასეული წელია. _ ბავშვებმა მოიწყინეს.

_ მოდით ახლა ისაუზმეთ და გზას დაადექით, მე გასწავლით როგორ უნდა განაგრძოთ სიზმრის ქვეყნისაკენ მიმავალი გზა. ჰა, ჩქარა კაკაო გაცივდა, ფუნთუშები გელოდებათ. _ და-ძმა მაგიდას მიუჯდა. ცოტა ხანში ორივე გახალისდა და გემრიელად შეუდგნენ ჭამას.

_ დევო, ვინ გასწავლა ასეთი ფუნთუშების გამოცხობა? ზუსტად ასეთი გვაჭამა ბაბუმ და ბებომ.

_ სამწუხაროდ ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. საიდუმლოს გაგანდობთ. ჩვენ სიზმრის ქვეყნის დაცვა გვაქვს დავალებული, რათა იქამდე არვინ მივიდეს. ვინც მიდის აქვე უნდა შევაჩეროთ, იმიტომაც მყავს ამდენი გაქვავებული ადამიანი. მიკვირს რომ მოხუცებმა ჩემამდე ასე თავისუფლად გამოგიშვეს. მობილურიც კი უჩუქებიათ. ბებო ალბათ ვარდისფერ ოთახსაც დაგპირდა არა?

_ ჰო დამპირდა, არ შემისრულებს? _ გულდაწყვეტით იკითხა ინაინამ.

_ შენ ბებოს დახმარება აღარ დაგჭირდება, თუ სიზმრის ქვეყანამდე მიაღწევ, შენი ყველა სურვილი თავისთავად ასრულდება. მაგათ ჩემი ხელით უნდათ თქვენი ჩამოშორება? არ

გამოუვათ. მეყოფა რაც ჩავიდინე. ასობით ადამიანი გაქვავებული მყავს. იცით როდის გაცოცხლდებიან ისინი?

_ როდის?

_ როდესაც სიზმრის ქვეყანაში ვინმე შეაღწევს და სიზმრის დედოფალს ეამბორება. გაიგეთ ჩემო ბატონებო? მაშინ გალღვება დედოფლის გული და ბოროტება სამუდამოდ დამარცხდება. ეს მისია თქვენ დაგეკისრათ. ასე რომ ინაინა, შენ არა მარტო სიზმრის ფერია უნდა მოძებნო, არამედ ამ ხალხს სიცოცხლე დაუბრუნო. თქვენ ეს შეგიძლიათ, ამიტომაც ამოგირჩიეს სიზმრის ფერიამ და ლილიამ. ლილია სიზმრის ქვეყნის მაცხოვრებელია. დროებით გამოგზავნეს თქვენს მოსაძებნად. აკი მოგძებნათ კიდეც, წამოგზარდათ და ასე ვთქვათ, საქმეზე გამოგიშვათ.

_ მე კი მეგონა, ლილიას მართლა ვუყვარდით.

_ სწორედ გეგონა. მართლა ძალიან უყვარხართ. სიზმრის ფერიას გამოუცხადა: “ბავშვებს თუ რამე დაუშავდებათ, თავს არც მე ვიცოცხლებო”.

_ მართლა ასე უთხრა?

_ მე ხომ გითხარი არასოდეს ვტყუი მეთქი. ახლა მისმინეთ. ჩემგან რომ გახვალთ, მდინარისაკენ არავითარ შემთხვევაში აღარ მიიხედოთ. გალავანს შემოუარეთ და ტრიალ მინდორს დაადექით. ბალახში ფრთხილად იარეთ, გველები იცის. _ ინაინამ შეჰკივლა. _ ჰა, ჰა, ჰა, შეგაშინე? არავითარი გველები აქ არ არის და საერთოდ, მხოლოდ კეთილი არსებები ბინადრობენ. მინდორს რომ გაივლით, დაინახავთ ბეწვის ხიდს. ხიდის ქვეშ ძალიან სწრაფი და აქოჩრებული მდინარე მიედინება, ასე რომ ფრთხილად გადადით. მაგრამ სანამ ხიდზე ფეხს შედგამთ, ერთი დაბრკოლება უნდა გადალახოთ. ხიდს იცავს სამ თავიანი გველეშაპი, სახელად დრაგუნა. ძალიან ღორმუცელა და ჯიუტია. მოკლედ, ცუდად არის აღზრდილი. რასაც მოგთხოვთ მიეცით, ოღონდ მხოლოდ ერთი ცალი.

_ რა უნდა მივცეთ, ჩვენ რომ არაფერი გაგვაჩნია? _ იკითხა გოგონამ

_ მე საგზალს გაგატანთ და იქიდან მისცემთ რამეს _ თვალები დახარა დევმა. ბავშვებმა შეატყვეს, რომ დევი რაღაცას მალავდა, სათქმელს ბოლომდე არ ამბობდა და ცოტა არ იყოს შეშინდნენ.

_ საშიშია?

_ ვინა, დრაგუნა? არა, თუ არ გააბრაზე არაა საშიში. თქვენ ისე უნდა მოიქცეთ როგორც გველეშაპი გეტყვით. მაგრამ თუ გითხრათ, კიდევ მომეცი, კიდევო, ზურგი შეაქციეთ და ბეწვის ხიდს დაადექით. მეორე მხარეს გადასვლის შემდეგ როგორ უნდა მოიქცეთ, იმედია დრაგუნა გაგარკვევთ. _ დევი უცებ დაფაცურდა _ აბა ახლა წადით. ჩემი დარიგება არ დაგავიწყდეთ. მობილური დატენეთ? თუ რამე გაგიჭირდათ დამიკავშირდით.

_ ეგებ მაინც გვაჩვენო ოქროს ხე, ცალი თვალით შევხედავთ _ სთხოვა ინაინამ და კიდევ მოეფერა დევს.

_ არა მეთქი და მორჩა ამაზე ლაპარაკი. წადით, წადით. _ დევმა საგზლით სავსე კალათა გაუწოდა, ბავშვები გარეთ გამოისტუმრა და ჭიშკარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

_ ეჰ, არ გამოგვივიდა. ალბათ სიზმრის ქვეყნმდე ვერც მივაღწევთ _ ამოიოხრა ინაინამ.

_ ესეიგი ეს ნიშნავს, ნიშნავს, რას ნიშნავს? _ ენა დაება აკაროსს.

_ ვნახოთ, ეგებ გველეშაპი მართლა საჭმელს დასჯერდეს და ბეწვის ხიდზე გაგვატაროს. დანარჩენი მერე ვნახოთ. _ ანუგეშა დამ.

ბავშვებმა გალავანს შემოუარეს და ტრიალ მინდორს დაადგნენ. მინდორი კარგა დიდი აღმოჩნდა. შუაში ხე იდგა. სწორედ ეს ხე იძლეოდა ჩრდილს და მათ ცოტა ხნით დასვენება გადაწყვიტეს. ხის ქვეშ დასხდნენ, კალათა გახსნეს და დევის საგზლის ამოლაგება დაიწყეს. ინაინას ხელს ხავერდის ტომსიკი ამოჰყვა.

_ ეს რა არის? _ იკითხა ბიჭმა _ ინაინამ მხრები აიჩეჩა და ტომსიკი გახსნა, საიდანაც ალმასის ხუთი ბურთულა გადმოგორდა და მზის სხივებზე, საოცრად აკიაფდა.

_ აკაროს ნახე, დევს ბურთულები გამოუტანებია. მართლა რა კეთილი ყოფილა, ჩვენ კი წესიერად არც დავემშვიდობეთ.

ბიჭი აღტაცებული სახით დასცქეროდა ალმასებს. _ აი მესმის ბაყბაყდევი, ეგეთი ხომ ვერც ერთ ზღაპარში ვერ შეგხვდება. უკანა გზაზე აუცილებლად ვინახულოთ და მადლობაც მოვახსენოთ.

_ ჩქარა ჭამე და წავიდეთ, ახლა სიზმრის ქვეყნისაკენ გზა ხსნილი გვაქვს. ოღონდ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

_ ინაინა, იცი რატომ არ გვაჩვენა დევმა ოქროს ხე? ჩვენც რომ არ გავქვავებულიყავით. აი მესმის ბაყბაყდევი. ასე დევს კი არა, უკეთილშობილეს რაინდსაც კი გაუჭირდებოდა მოქცევა. მაგას ჩვენ ხომ არ უნდა გავეშვით. ასე ჰქონდა დავალებული, მაგრამ მის გულში სიკეთემ იმძლავრა და ბოროტება სამუდამოდ დაამარცხა. _ არ ჩერდებოდა აკაროსი.

_ ჰო სწორი ხარ ძამიკო, მაგრამ ბოროტება ქვეყანაში მაინც არსებობს და სწორედ ჩვენ უნდა შევებრძოლოთ მას.

_ როგორ?

_ სიკეთით, აკაროს სიკეთით. _ ახლა წავიდეთ, თორემ მალე დაღამდება.

ბავშვებმა გზა განაგრძეს და მალე ბეწვის ხიდიც გამოჩნდა. მათ თვალწინ უცნაური სურათი გადაიშალა. ხიდის თავში ჰამაკი ეკიდა, რომელშიც სამთავიანი გველეშაპი წამოწოლილიყო და სამივე პირიდან, რიგრიგობით უშვებდა ცეცხლის რგოლებს. თანაც ცდილობდა რგოლი რგოლში გაეტარებინა. რასაც ვერ აკეთებდა და საკუთარ თავებს ლანძღავდა.

_ შე უტვინო, მეორე თავს შეხედე და დაუმიზნე. ფუი შენ, მაინც არ გამოვიდა. _ ასე ერთობოდა გველეშაპი, როდესაც ბავშვები მიუახლოვდნენ.

გამარჯობა გველეშაპო, ხომ არ გაგაღვიძეთ?

შენი ცეცხლის მადლმა, ხიდზე გადაგვიშვებ?

ეს დევს არ უსწავლებია, მაგრამ ბავშვები მიხვდნენ, რომ ამ ქვეყანაში ლექსებიც უყვართ და ტკბილი საუბარიც. გველეშაპი წამოიწია.

_ თქვენ აქამდე ვინ მოგიშვათ?

_ ბაყბაყდევმა.

_ ჰმ, ბაყბაყდევმა, გამოგატანათ ჩემთან რამე? ხომ იცით რომ მშიერი ვარ, ორი საუკუნეა არ მისადილია, თქვენ კი ძალიან მადის აღმძვრელად გამოიყურებით.

ინაინამ ჩანთა გახსნა, ერთი ცალი ალმასის ბურთულა ამოიღო და გველეშაპს გაუწოდა. გველეშაპს გაკვირვებისაგან ცეცხლის ფრქვევაც კი შეუწყდა.

_ დათმო? დევმა ალმასები დათმო? რანაირად, რა უქენით?

_ არაფერიც არ ვუქენით, უბრალოდ ტკბილად ვესაუბრეთ.

_ და მოვეფერეთ _ დაამატა ინაინამ.

_ მოეფერეთ? დევს? _ გველეშაპს თვალები კინაღამ გადმოუცვივდა. _ მეც მომეფერებით?

_ რასაკვირველია, _ უპასუხეს ბავშვებმა _ შენ რითი ხარ დევზე ნაკლები?

გველეშაპმა ალმასი ჯიბეში ჩაიდო. “ამას მერე გადავყლაპავო” ჩაილაპარაკა, დაიხარა და ინაინას ლოყა მიუშვირა. ინაინამ ექვსივე ლოყა დაუკოცნა და ძმასაც მუჯლუგუნი გაჰკრა. გველეშაპი ჭარხალივით გაწითლდა, _ არა, მაგის კოცნა არ მინდა. ეგ ბიჭია და ბიჭი ბიჭს არ უნდა კოცნიდეს. მეც ხომ ბიჭი ვარ. _ გაიჭიმა გველეშაპი. _ ახლა დაადექით ხიდს, არც უკან მოიხედოთ და რაც მთავარია ქვემოთ არ ჩაიხედოთ. ხიდის ბოლოში ლომკაცი დაგხვდებათ. ლექსი თქვენ თვითონ მოიფიქრეთ, მე მეზარება. ერთი ბურთულა უსახსოვრეთ. მოფერება არ

დაგავიწყდეთ. აბა, ჰე წადით ახლა, თორემ ისევ მადა გამეღვიძა. _ გველეშაპი ჰამაკში ჩაწვა და ცეცხლის ფქრვევის მაგივრად, თვალებიდან ცრემლები გადმოუგორდა.

ბავშვებმა ხიდი მშვიდობიანად გადაიარეს. ხიდის ბოლოს კაცი იდგა. ის იყო ლექსის თქმა დააპირეს, რომ კაცმა საშინელი ხმით დაიღრიალა და მობრუნდა. ამის შემხედვარე და-ძმამ შიშისაგან ხმა ვეარ ამოიღეს. კაცს ადამიანის ტანზე ლომის თავი ედგა და საზარლად ღრიალებდა.

## თავი მეოთხე

იდგა ეს საშინელი შესახედაობის კაცი და ღრიალებდა.

_ ლომკაცი, _ ჩაიჩურჩულა ინაინამ.

_ კაცი -ლომი _ გაუსწორა აკაროსმა. _ ლომკაცი, ვაჟკაცს ნიშნავს და ღონიერს. ეს კი ლომია, უბრალოდ ადამიანის ტანი აქვს. რა საშიში ვეღაცაა არა? თან რამხელა ფაფარი აქვს.

_ არა მგონია ბოროტი იყოს, ნახე რა კეთილი თვალები აქვს. _ გაამხნევა ინაინამ ძმა.

_ თქვენ ვინა ხართ! _ დაიღრიალა ლომმა. ინაინამ სწორედ შენიშნა. კაცი-ლომს საშინელი შესახედაობა და ხმა ჰქონდა, მაგრამ თვალებში თითქოს, სევდა და დარდი ჩაბუდებოდა.

გამარჯობა ლომო, ხომ არ გაგაღვიძეთ?

შენი ფაფრის მადლმა, ხომ ვერ გაგვატარებ?

_ გამაღვიძეთ? მე რა მწოლიარეს მხედავთ, თუ ფეხზე მდგარს უნდა მეძინოს. _ კვლავ დაიღრიალა კაცი-ლომმა. _ ვინა ხართ მეთქი კიდევ გეკითხებით.

_ ჩვენ უღრუბლო სამეფოდან ვართ.

_ მერე აქ რა ჯანდაბას აკეთებთ, არ იცით რომ აქ გავლა არ შეიძლება?

_ დრაგუნამ გამოგვატარა, გვითხრა ხიდის ბოლოს ძალიან კეთილი ლომკაცი დგას და თუ ალმასის ბურთულას აჩვენებთ, კიდევაც გაგატარებთ და გზასაც გასწავლითო.

_ ალმასის ბურთულა საიდან გაქვთ, ჩქარა მიპასუხეთ!

_ ალმასის ბურთულა ბაყბაყდევმა მოგვცა, მანაც იგივე გვითხრა.

კაცი-ლომი მორზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

_ დავიჯერო გვეშველა? მაჩვენეთ ბურთულა. _ ინაინამ ალმასი გაუწოდა. _ კიდევ გაქვს? _ გაიღიმა ლომმა, საოცრად თბილი ღიმილით.

_ სამი ცალი.

_ სულ რამდენი გქონდა?

_ ხუთი. _ კაცი ლომი ადგილიდან წამოხტა, ინაინას მიუახლოვდა და გულში ჩაიკრა. _ შენა ხარ, ნამდვილად შენა ხარ ის გოგონა, ჩვენ რომ უნდა გვიხსნას. დრაგუნა კი მეუბნებოდა: “ასე ნუ დარდობ, და-ძმა მალე მოვა და ყველაფერი დამთავრდებაო”, მაგრამ მე არ ვუჯერებდი. _ ლომი ბურთულას ხელში ათამაშებდა და პატარა ბავშვივით ცმუკავდა. შემდეგ ალმასი ინაინას დაუბრუნა. _ შენთან იყოს, ეს სწორედ ის ძალაა, ჩვენ რომ უნდა გვიხსნას.

_ რისგან უნდა გიხსნათ, რომელი დევგმირები ვართ, თანაც ჩვენ ხომ პატარები ვართ.

_ რამდენი წლის ხარ? _ ჰკითხა ლომმა ინაინას.

_ ცხრა წლის, მალე ათის გავხდები, შენ?

_ თხუთმეტის, _ ჩაიჩურჩულა დამორცხვებულმა ლომმა.

_ თხუთმეტ ის? რას მატყუებ, შენ ხომ ლომკაცი ხარ, დიდი და ძლიერი, სევდიანი თვალებით. ჰო მართლა, რატომ ხარ ასე მოწყენილი? გველეშაპი ძალიან მხიარულადაა. მთელი დღე ჰამაკში წევს და ქანაობს. შენც გაიბი ჰამაკი, სულ ფეხზე რატომ უნდა იდგე?

_ მე მართლა თხუთმეტი წლის ვარ, უფრო სწორედ ვიყავი, სანამ აქ მომიჩენდნენ ადგილს. ბედნიერი თხუთმეტი წელი გავატარე ჩემს უბრალო სამეფოში. მას მერე კი დრო გაჩერდა. შეიძლება 10 წელი გავიდა, შეიძლება 100 ან 150. ცხოველად გადამაქციეს. ადამიანის სახე აღარ მაქვს. ჩემს დანახვაზე შეგეშინდათ არა?

_ სულაც არა, პირიქით ცოტა მომეწონე კიდეც. ლამაზი თვალები გაქვს და სევდიანი. _ კაცი-ლომმა კვლავ დაიმორცხვა.

_ ეს ამბები რომ დამთავრდება, ჩემთან იმეგობრებ? _ ჰკითხა ინაინას.

_ აბა რას ვიზამ, სიამოვნებით. მაგრამ რა ამბავზე მეუბნები. რა უნდა დამთავრდეს, მომიყევი რა ყველაფერი?

_ ძალიან დიდი ხნის წინ, ერთ-ერთ საღამოს, სიზმრის ქვეყნის დედოფალმა დაიძინა. დაიძინა და აღარც გაუღვიძია მას მერე. სანამ ის არ გაიღვიძებს, ყველანი ასე ვიქნებით. ჯადო კი მხოლოდ მაშინ მოიხსნება, როდესაც სიზმრის ქვეყანაში და-ძმა შეაბიჯებს, რომელთა სახელებია ინაინა და აკაროსი. თან, ხუთი ალმასის ბურთულა უნდა იქონიონ, რომელიც ბაყბაყდევს ჰქონდა მიბარებული. საცოდავ დევს, ჩაგონებული ჰქონდა, რომ ალმასის ბურთულები, რომლებიც ოქროს ხეს ესხა, არავისთვის გაეტანებინა. ეგეც და-ძმას ელოდა და აი, თქვენც გამოჩნდით. თქვენს შესახებ ლილიამ გვიამბო და ამდენი წელია გელოდებით.

არსებობს ასეთი ცოლ-ქმარი: ხმაურის მეფე და სიჩუმის დედოფალი. თავიანთ თავს მეფე-დედოფალს კი ეძახიან, მაგრამ სამეფო არა აქვთ. ამიტომაც სიზმრის ქვეყანაში გადაწყვიტეს გაბატონება. მე მგონი, დარწმუნებულები არიან, რომ ალმასის ბურთულებს ხელში ვერავინ ჩაიგდებს. ვინაიდან, ვინც ოქროს ხეს შეხედავს, რომელსაც ალმასები ასხია, იმავე წუთს გაქვავდება.

_ რატომ საერთოდ არ გაანადგურეს ალმასები?

_ ვერ გაანადგურებენ, ალმასის ბურთულა სიკეთეს ემსახურება და რომელიმე მათგანმა თითიც რომ დაადოს, იქვე აალდება და ჩაიფერფლება.

_ ახლა რა ვქნათ?

_ თქვენ უკვე სიზმრის ქვეყანასთან ხართ. ჭიშკარს გარედან, ხმაურის მეფე იცავს, შიგნიდან კი სიჩუმის დედოფალი. ხმაურის მეფეს ხმა არ გასცეთ, სიჩუმის ძალიან ეშინია. გვერდზე ჩაუარეთ, ზედაც არ შეხედოთ. ბურთულა არ მისცეთ. სიზმრის ქვეყანაში რომ შეაბიჯებთ, ხუთივე ალმასი ხელში უნდა გეჭიროთ. უფრო სწორედ, ინაინა შენ უნდა გეჭიროს, თანაც გამოსაჩენად.

_ ერთი ბურთულა დრაგუნამ რომ დაიტოვა? თანაც დააყოლა: “ამას მერე გადავყლაპავო”. _ კაცი-ლომი ადგილიდან მოწყდა და ბეწვის ხიდზე სცადა გადარბენა, თან ყვიროდა; “ალმასი, ალმასი გადაუგდე ბავშვებს”. ამ დროს საშინელი ამბავი მოხდა, ბეწვის ხიდი ჩატყდა და ლომი ადიდებულმა მდინარემ შთანთქა. ერთი კი მოასწრო: “შენი იმედი მაქვს ინაინა” და წყალში გაუჩინარდა.

_ ლომო რა ჰქენი, ხომ იცოდი. ხომ იცოდი, რომ ბეწვის ხიდზე ჩვენთვის ფეხის დადგმა არ შეიძლებოდა. რა მეშველება, ჩემი უფლისწული დავკარგე _ ცხარე, ცეცხლნარევი ცრემლებით ტიროდა გველეშაპი. _ წადით. გთხოვთ იჩქაროთ. ჯერ კიდევ შეიძლება მისი გადარჩენა, მზის ჩასვლამდე გაქვთ დრო. _ ბავშვებმა დაინახეს, როგორ მოიქნია ხელი დრაგუნამ და მათ ფეხებთან ალმასი დაგორდა.

_ ხუთივე გაქვს? _ ჰკითხა გოგონას აკაროსმა _ ეს უფლისწული მართლა ლომკაცი ყოფილა.

_ ჰო, ვიჩქაროთ. ხომ იცი, ჭიშკარს რომ მივუახლოვდებით, ხმა არ უნდა ამოიღო.

_ ლექსი არ უნდა ვთქვათ?

_ არა, აქედან სულ უხმოდ ვივლით ხმაურის მეფემდე. შემდეგ კი პირიქით, რაც შეიძლება ხმამაღლა ვიყვირებთ. არა მგონია სიჩუმის დედოფალს ხმაური უყვარდეს. _ ჩქარ-ჩქარა

ლაპარაკობდა ინაინა ცრემლნარევი ხმით. გოგონას ძალიან ეცოდებოდა კაცი-ლომი და მისი ნახვის იმედი, თითქმის არ ჰქონდა. მან ძმას ხელი ჩაჰკიდა და ორივენი სირბილით გაუყვნენ სიზმრის ქვეყნამდე დარჩენილ გზას.

მალე მაღალი გალავანი გამოჩნდა, რომელსაც ძალიან ლამაზი, მართლა ტკბილი სიზმარივით ჭიშკარი ამშვენებდა. ბავშვებს ხმაური მოესმათ, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდებოდა. შესასვლელთან უცნაურად აწოწილი, ჩონჩხივით კაცი იდგა. თავზე, რკინის ზანზალაკებიანი, რკინისავე გვირგვინი ედგა. ზანზალაკები, თავის ყოველ გაქნევაზე ხმაურობდნენ. კაცს მარცხენა ხელში, რკინის დიდი ტაფა ეჭირა. მარჯვენაში კი რკინის ჯოხი, რომელსაც გამეტებით ურტყამდა ტაფას, რაც საშინელ ხმაურს იწვევდა და ეს ყველაფერი მას ეტყობა სიამოვნებდა.

ინაინამ ხელის მოჭერით გაახსენა ძმას, რომ ხმა არ უნდა ამოეღოთ. ბავშები კაცს მიუახლოვდნენ და ჭიშკრისაკენ ისე გაემართნენ, რომ მისთვის ზედაც არ შეუხედავთ.

_ თქვენ ვინა ხართ! _ დაიყვირა ხმაურის მეფემ. ბავშვებს ხმა არ ამოუღიათ, ისე განაგრძეს გზა.

_ ვინა ხართ მეთქი. მოდით, მომეხმარეთ ხალხი არა ხართ? ცოტა თქვენც დააბრახუნეთ. _ ყვიროდა კაცი, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა ბავშვებს, მიხვდა რომ მისი საიდუმლო გამჟღავნებულიყო., ვინაიდან ინაინას ჯიბიდან ალმასის ბურთულები მზესავით ანათებდა.

_ ყველაფერი დამთავრდა? _ ჩამქრალი ხმით იკითხა კაცმა. ბავშვებმა უხმოდ დაუქნიეს თავი. წოწოლა მეფემ ტაფა და ჯოხი მიწაზე დადო, ხელი გადაუსვა, თითქოს მოეფერაო და ჭიშკარი თავისი ხელით გაუღო და-ძმას.

_ აღარც მინდოდა, მომკ ლა ამის რახარუხმა. ყველაფერი ჩემი ცოლის მოგონილია, მიუთითა ხმაურის მეფემ ქალზე, რომელიც აფუებულ ცომს წააგავდა, თვალები დაეხუჭა და ოდნავ ირწეოდა, თითქოს სძინავსო. ინაინამ ძმას ანიშნა და ორივემ ომახიანად შესძახეს:

გამარჯობა დედი, გიჯობს გაიღვიძო
ალმასების მადლმა, თანაც გაგვატარო.

ალმასების გაგონებაზე, ქალმა თვალები გაახილა, ტუჩებზე თითი მიიდო და ბავშვებს ანიშნა _ “ჩშშ.....”

_ გაახილე ქალო თვალები, მოვიდნენ. უფ, ძლივს არ დავისვენებ. _ წამოიძახა კაცმა.

ლექსის დამთავრებისთანავე ინაინამ ჯიბიდან ხუთი ალმასის ბურთულა ამოიღო და ცოლ-ქმარს შეაყარა. ალმასების შეხებისას წოწოლა კაცი, თავისი უფორმო ცოლიანად უცებ აალდნენ და გაქრნენ. მსუბუქი კვამლიღა გაუყვა ქართან ერთად გზას გაურკვეველი მიმართულებით.

_ მორჩა აკაროს, მე მგონი ნამდვილად სიზმრის ქვეყანაში ვართ.

_ ნახ ე ინაინა, მარჯვნივ გაიხედე _ ხელი ჰკრა ძმამ გოგონას. ინაინამ გაიხედა. იქვე, ახლოს ულამაზესი სასახლე აღმართულიყო. ფართე, ვარდისფერ კიბესთან ლილია იდგა. ლილია ხელს უქნევდა მათ, იღიმოდა და ამაყად შესცქეროდა თავის აღზრდილებს.

## თავი მეხუთე

იდგა ლილია ვარდისფერ კიბესთან გაახალგაზრდავებული, გალამაზებული და მზესავით გაბრწყინებული. ზურგს ნაზი, ჰაერზე მეტად გამჭვირვალე ფრთები უმშვენებდა.

_ ინაინა, ლილია ფერიაა და ფრთებიც ჰქონია, _ აღტაცებით წარმოსთქვა ძმამ. გოგონა გადიასაკენ გაიქცა და ხელები მოხვია.

_ ლილია,  როგორ მომენატრე,შენ ყოფილხარ ჩემი სიზმრის ფერია, ახლა გიცანი. მე სულელი კი ვერ ვხვდებოდი. _ ლილიას გაეღიმა.

_ მეც მომენატრეთ ჩემო პატარებო. თურმე როგორ მყვარებიხართ, ჩემო პატარა გმირებო. _ ლილიას სიხარულის ცრემლები სდიოდა და ორივე ბავშვს გულზე იხუტებდა. _  ახლა მოემზადეთ, _ მიმართა მან და-ძმას. იმავე წუთს სასახლიდან სამი ფერია გამოფარფატდა. სამივეს, სახე სიხარულისაგან გაცისკროვნებოდა. მათაც ლილიასავით ნაზი ფრთები ამშვენებდათ. ფერიებმა ხელი დაუქნიეს ბავშვებს, _ მოდით, მოდით, სიზმრის დედოფალს ეახელით, _ საოცრად მელოდიური ხმით, სიმღერასავით წამოიწყეს ლაპარაკი ფერიებმა. ლილიამ ბავშვებს უბიძგა, _ მიდით, ნუ გეშინიათ, სიზმრის დედოფალს სძინავს. მიხვალთ და რიგრიგობით ეამბორებით. როგორც კი თვალს გაახელს ეტყვით:

გამარჯობა დედოფალო, უკვე გაგაღვიძეთ?

ჩვენი მეგობრები, გაგვინთავისუფლე.

რას მოიმოქმედებს შემდგომში დედოფალი, უკვე მასზეა დამოკიდებული.

ბავშვები სასახლისაკენ გაემართნენ. ლამაზ, ვარდისფერ კიბეს აუყვნენ და დედოფლის საძინებელ დარბაზში შეაბიჯეს. წინ ფერია მიუძღოდათ, რომელიც თურმე დედოფალს ემსახურებოდა. დარბაზი ისეთი ზღაპრული სილამაზისა იყო, რომ ადამიანის ენამ, შეუძლებელია ზუსტად აღწეროს. კედლები, კეთილი სიზმრებით მოეხატათ. განსაკუთრებული კი ის იყო, რომ ოთახში შესული ადამიანი, თავის საყვარელ სიზმრებს ხედავდა, რომელიც დიდი ხნის მივიწყებული ჰქონდა და სადღაც გულის კუნჭულში მიემალა. სიზმრის დედოფლის ოთახში შესვლისას კი, ეს მიმალულ-მივიწყებული სიკეთე იღვიძებდა და სასიამოვნო სითბოთი იღვრებოდა გულში.

_ ინაინა, პირველი შენ ეახლე, შემდეგ კი აკაროსი. _ ინაინა საწოლთან მივიდა და  დედოფალს დახედა. _ რა ლამაზია, _ აღტაცებით წარმოსთქვა გოგონამ. _ მას ენახა ლამაზი ქალები,. დედამისიც განსაკუთრებული სილამაზისა იყო, მაგრამ სიზმრის ქვეყნის დედოფალს ვერც ერთი შეედრებოდა. ქალი თითქოს სანთლისაგან იყო ჩამოსხმული. ლოყები ვარდის ფურცელს მოგაგონებდა. ტუჩებს კი მწიფე ალუბლისფერი დაჰკრავდა. ინაინა დაიხარა და ლოყაზე ეამბორა, აკაროსიც ასევე მოიქცა. დედოფალი ოდნავ შეირხა და ჰოი, საოცრებავ, დედოფალმა თვალები გაახილა, საწოლში წამოჯდა და, _ უფ, რამდენი მძინებიაო, _ ფერიებისა არ იყოს, სიმღერასავით წაიღიღინა. შემდეგ ბავშვებს დააკვირდა, _ თქვენ ვინ ხართ? _

_ გამარჯობა დედოფალო, უკვე გაგაღვიძეთ?

ჩვენი მეგობრები გაგვინთავისუფლე.

ლექსის თქმის შემდეგ, გოგონამ განაგრძო, _ მე ინაინა ვარ, ეს კი ჩემი ძმა აკაროსია. ჩვენ სიზმრის ქვეყანაში ალმასის ხუთი ბურთულა მოვიტანეთ.

გახარებული ქალი საწოლიდან წამოდგა.

_ ალმასები? ისინი ხომ სიჩუმის დედოფალმა მოიპარა და გადამალა. ეგონა ბურთულებს მოკვდავი ადამიანი ხელში ვერ ჩაიგდებდა. ოქროს ხე ხომ ყველა ცოცხალ არსებას აქვავებს. მომიყევით, როგორ ჩაიგდეთ ხელში განძი და საერთოდ საიდან მოდიხართ და ვინ ხართ?

_ ესენი სკივრში ნაპოვნი ზღაპრებიდან არიან, _ უპასუხა ერთ-ერთმა ფერიამ დედოფალს.

_ ჩვენ არანაირ სკივრში არ ვართ ნაპოვნი. ჩვენ, უღრუბლო სამეფოდან ვართ, ჩემი ძმა უფლისწულია, ტახტის მემკვიდრე. ლილია კი ჩვენი გადიაა. მან მოგვასწავლა სიზმრის ქვეყნის გზა. კითხეთ ლილიას, თუ არ გჯერათ. _ თვალები აეცრემლა გოგონას.

_ ააა, გასაგებია ჩემო პატარებო. _ დედოფალი ბავშვებს მიეფერა, იქვე მდგარ ფერიას კი მკაცრად გადახედა. _ თქვენ ჩემი ქვეყანა გადაარჩინეთ. ხმაურის მეფე და სიჩუმის დედოფალი, სამუდამოდ მოგვაცილეთ. სიკეთეს, სიკეთით უნდა გადახდა. რას მთხოვთ სამაგიეროდ?

_ ჩვენ არაფერი გვინდა, გზადაგზა მეგობრები გავიჩინეთ და ვნახეთ რა მძიმე მდგომარეობაში არიან წლების მანძილზე. გთხოვთ დაგვეხმარეთ და თუ შესაძლებელია ჯადო მოუხსენით. _ მუდარით მიმართა ინაინამ დედოფალს.

_ მხოლოდ ამას მთხოვთ? თქვენთვის არაფერი გინდათ? _ გაიკვირვა დედოფალმა.

_ ჩვენ სახლში გვინდა დაბრუნება და გადია ლილიაც ჩვენთან გვინდა რომ წამოვიდეს, _ გასაგებია, _ ხმადაბლა ჩაილაპარაკა დედოფალმა, _ ალმასის ბურთულები წაიღეთ, ლილია გამოგყვებათ და გასწავლით როგორ უნდა იმოქმედოთ. წადით, _ ბავშვები ოთახიდან გავიდნენ.

_ ასეთი კეთილი და მამაცი ბავშვები, ჯერ არ შემხვედრია, ალბათ მართლა სკივრში არიან ნაპოვნი, _ გადაულაპარაკა დედოფალმა ფერიას, სევდიანი თვალები გააყოლა პატარებს, რომლებიც უკვე ჭიშკარს უახლოვდებოდნენ და საცაა სამუდამოდ დატოვებდნენ სიზმრის ქვეყანას.

ინაინამ და აკაროსმა დაწვრილებით მოუყვნენ ლილიას თავიანთი თავგადასავალი, ყველაზე მეტად ბავშვებს კაცი-ლომის ბედი აღელვებდათ, რომელიც მათი აზრით მდინარემ შთანთქა.

_ ნუ გეშინიათ, ჯერ მზე არ ჩასულა, მოვასწრებთ. მალე სამივენი მდინარეს მიუახლოვდნენ. ბეწვის ხიდი ჩანგრეული იყო, მეორე ნაპირზე კი გველეშაპი დრაგუნა იჯდა და კვლავ ცხარე ცრემლებით ტიროდა.

_ ინაინა, აიღე ერთი ბურთულა, მდინარეს გადაუგდე და მიმართე:

ალმასი შენ, ლომკაცი ჩვენ.
ბურთულა შენ, ხიდი ჩვენ.

როგორც კი ხიდი გამთელდება და ლომკაცი მიწაზე დადგება, მეორე ბურთულას მას ესვრი. დანარჩენს შენ უნდა მიხვდე რა გააკეთო. ინაინამ ალმასის ერთი ბურთულა ადიდებულ მდინარეში ჩააგდო და აკაროსთან ერთად, ომახიანად წარმოსთქვა:

ალმასი შენ, ლომკაცი ჩვენ.
ბურთულა შენ, ხიდი ჩვენ.

როგორც კი ბურთულა წყალში ჩავარდა, მდინარე დაწყნარდა და ლომკაცმა ამოყვინთა, ინაინამ მეორე ბურთულა ესროლა მას. შეეხო თუ არა ალმასი ამ უცნაურ არსებას, ნელ-ნელა ცხოველის სახე დააკარგვინა და მათ თვალწინ, უფლისწულის სამოსში გამოწყობილი, თხუთმეტიოდე წლის ვაჟი წარსდგა. ინაინა აღტაცებული შესცქეროდა ბიჭს.

_ რა ლამაზი ყოფილა კაცი-ლომი, _ ჩუმად გადაულაპარაკა აკაროსს, რომელიც ძალიან კმაყოფილი და ამაყი გამომეტყველებით იდგა უფლისწულის გვერდით. ყველაფერთან ერთად ხიდიც გამთელებულიყო.

_ რა გქვია? _ ჰკითხა ინაინამ უფლისწულს.

_ უბრონი, _ უბრალო სამეფოს, მეფე უბრონ პირველის ვაჟი.

_ რა ლამაზი სახელი გაქვს, _ წარმოსთქვა დამორცხვებულმა გოგონამ.

_ არა, ლამაზი შენ ხარ და სახელიც შესაფერისი გაქვს. ინაინა, რა ლამაზად ჟღერს, მეოცნებე სახით უპასუხა უფლისწულმა.

_ წავიდეთ, გველეშაპი დავიხსნათ, საცაა მზე ჩავა. _ ააჩქარა ბავშვები ლილიამ. ყველამ სწრაფად გადაირბინა ბეწვის ხიდი. უბრონი, ყოფილი ლომკაცი, ცოტა ხანს შეყოვნდა, მაგრამ თავს სძლია და ახალშეძენილ მეგობრებს შეუერთდა. გახარებული გველეშაპი ადგილზე ხტოდა, _ ჩქარა, ალმასი მესროლე, _ გასახა მან ინაინას. გოგონას უკვე მომზადებული ჰქონდა ბურთულა და დრაგუნას გადაუგდო. დრაგუნამ ხელი სტაცა ალმასს და უფლისწულისა არ იყოს, იმავე წამს ჩვეულებრივ ყმაწვილად გადაიქცა.

_ დრაგო, მეგობარო, _ წამოიძახა უფლისწულმა და ადამიანად ქცეულ გველეშაპს ხელი გადახვია.

_ გაიცანით, ჩემი მეგობარი დრაგო.

_ რა სასაცილო სახელია, _ გაიცინა ინაინამ. ლილიამ მწყრალად შეხედა გოგონას. _ უკაცრავად, მინდოდა მეთქვა, რომ ორივეს უცნაური სახელები გქვიათ.

_ ჩვენი სამეფოც უცნაურია, უბრალო და უცნაური, _ უპასუხა ღიმილით უბრონმა.

_ და ძალიან საყვარელი, _ დაამატა დრაგომ.

_ გველეშაპო, უფ დრაგო, ცეცხლის რგოლებს ვეღარ გამოუშვებ? _ ცნობისმოყვარეობამ სძლია აკაროსს.

_ ვერა ჩემო აკა, ვერ გამოვუშვებ და არც მინდა, პირი მაქვს გამომწვარი, თუ გინდა ერთხელ ვცდი.

_ გვინდა, გვინდა, _ ტაში შემოჰკრეს ბავშვებმა. დრაგუნამ პირი დააღო და ორი პატარა, ფერმკრთალი რგოლი გამოუშვა. მართალია ეს ცეცხლის რგოლები არ იყო, მაგრამ ერთმანეთში კი გაატარა.

_ აჰ, რა მაგარი ვარ არა? _ მიუბრუნდა ბავშვებს. წავიდეთ ახლა, ღამდება. ბაყბაყდევთან და მოხუცებთანაც უნდა მოვასწროთ მისვლა.

უცებ საოცრება მოხდა, ლილიამ ფრთები გაშალა და ნელ-ნელა აფრინდა, _ ხელები დამადეთ და თქვენც ჩემთან ერთად აფრინდებით, ვიჩქაროთ, კიდევ სამი ადამიანი გვყავს გასათავისუფლებელი.

ლილია აფრინდა და ბავშვებიც თან აიტაცა. მალე ბაყბაყდევის სასახლის გალავანიც გამოჩნდა.

## თავი მეექვსე

მალე ბაყბაყდევის დიდი გალავანიც გამოჩნდა. აი, სასახლეც. ჭიშკართან მოხუცი ბაბუ და ბებო იდგნენ. ბაყბაყდევი, რატომღაც შუაში ჩაეყენებინათ და ბავშვებს ხელს უქნევდნენ.

_ ჩქარა, ჩქარა, _ ნამტირალევი ხმით ყვიროდა დევი. _ ყველანი ძირს დაეშვნენ. ინაინამ ალმასის ბურთულა ამოიღო და დამხვდურებს ფეხებთან მიუგორა. ის, რაც შემდეგ მოხდა ყველასათვის გასაკვირი, უფრო სწორედ გაურკვეველი აღმოჩნდა. ბაბუ, რომელიც თავის უზარმაზარ წვერში იყო გახვეული, ჩვეულებრივ, ძალიან ელეგანტურ, ლურჯ კოსტუმში გამოწყობილ, სიმპათიურ მამაკაცად მოგვევლინა. ბებო კი, სასიამოვნო შესახედაობის, სანდომიანი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა და მორცხვად იღიმოდა.

_ ძალიან სასაცილო ვიყავი? რაღა მე ჩამაგდეს ასეთ დღეში. _ ჩვენი კეთილი ბაყბაყდევი კი, პატარა ბიჭუნა აღმოჩნდა, არა მგონია ასაკით აკაროსზე უფროსი ყოფილიყო.

_ მე მანონი ვარ, ეს ჩემი მეუღლეა. ეს კიდევ ჩვენი ვაჟი. _ გააცნო ქალმა თავისი ოჯახი.

_ მე, ძალიან მომწონდა ბაყბაყდევობა, უბრალოდ ცოტა მოწყენილი ვიყავი. ვერავისთან ვთამაშობდი. ერთადერთი, ქვის კაცებს ვესაუბრებოდი საათობით, ისინი კი მიყურებდნენ და ვერ მპასუხობდნენ, _ განაცხადა ბიჭუნამ.

_ ახლავე გავაცოცხლებ, ერთი ბურთულა კიდევ დამრჩა. _ წამოიძახა გახარებულმა ინაინამ და გაიქცა ოთახისაკენ, სადაც ოქროს ხე იყო დარგული.

_ ინაინა, გაჩერდი. კარი ბაყუჩამ გააღოს, (ასე ერქვა ყოფილ ბაყბაყდევს) ალმასის ბურთულა თვალდახუჭულმა შეაგორე. ადამიანის ხმებს რომ გაიგებ, თვალები მხოლოდ მაშინ გაახილე. _ მიმართა ლილიამ გოგონას. _ თორემ შენც გაქვავდები, ჯადოს ძალა სრულად არ დაუკარგავს. _ ბაყუჩა და ინაინა ოთახის კართან შეჩერდნენ, ბიჭუნამ კარი გამოაღო. თვალდახუჭულმა გოგონამ ბურთულა შეაგდო და იმავ წამს, ასობით ადამიანი ერთდროულად ალაპარაკდა.

ინაინა გაფართოებული თვალებით შესცქეროდა მათ. სულ მამაკაცები იყვნენ, სხვადასხვა ასაკისა და განსხვავებულად ჩაცმულნი. ზოგს მეფის ან უფლისწულის სამოსი ეცვა, ზოგს გლეხის, ზოგსაც მათხოვრის ძონძები უფარავდა სხეულს. ბევრი მათგანი ინაინასათვის უცნაურ ტანსაცმელში, ჯინსებსა და მაისურებში გამოწყობილიყვნენ., ყველანი ძვირფასეულობის მაძიებლები იყვნენ. მამაკაცები გოგონასაკენ შებრუნდნენ, უბრონისა არ იყოს, "გვეშველაო" წამოიძახეს და კარისაკენ გაემართნენ.

_ დიდი მადლობა, პატარა გოგო. შეიძლება დადგეს დრო და ჩვენც გამოგადგეთ. _ მამაკაცებს გარეთ ეჩქარებოდათ გასვლა. ზოგი წინ გარბოდა, ზოგიც თავს ხრიდა და ზრდილობიანად სხვას უთმობდა გზას. საბოლოოდ ოთახი დაცარიელდა და ინაინა და ბაყუჩა მარტო დარჩნენ.

_ ინაინა შეხედე, ოქროს ხეს შეხედე, _ წამოიძახა ბიჭმა

_ შეიძლება შევხედო? არ გავქვავდები?

_ უკვე შეიძლება. არანაირი ჯადო აღარ არსებობს. _ ინაინამ თვალები გაახილა და ოქროს ხეს შეხედა. ოთახში ლილიაც შემოვიდა. დანარჩენებიც: აკაროსი, უბრონი, დრაგო და ბაყუჩას დედ-მამაც თან ახლდნენ.

_ ლილია, რა ლამაზია არა ოქროს ხე, როგორ ბრწყინავს. _ ლილიამ არაფერი უპასუხა. ინაინამ შეამჩნია, რომ გადიას ხელში ხუთი ალმასის ბურთულა ეჭირა. ლილია წინ წაიწია და ბურთულები ხეს შეაყარა. ალმასებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს. უცებ ხე თითქოს გაცოცხლდა. ის რაც მეგობრებმა დაინახეს, ვერც ზღაპარში ნახავ და ვერც სინამდვილეში, ვერც ჯადოსნურ სკივრში იპოვნი და ვერც სიზმრის ქვეყანაში.

ოთახის კუთხეში ტოტებგაშლილი, პატარძალივით გაბრწყინებული და სასიძოსავით ამაყი ოქროს ხე იდგა. ტოტებზე უხვად ესხა თვალ-მარგალიტი. ფოთლები ზურმუხტისა ჰქონდა. იაგუნდის წითელი თვლები კი ლურჯ საფირონს თითქოს ეჯიბრებოდნენ: "მე უფრო ლამაზი ვარ, თუ შენო". ყველაზე მორცხვად, სხვადასხვა ფერის მარგალიტები გამოიყურებოდნენ, მაგრამ მიუხედავად სისადავისა, სადედოფლო გვირგვინისათვის იყვნენ გამზადებულნი.

ინაინა და ბაყუჩა თვალებს არ უჯერებდნენ.

_ ნეტავ ისევ სიზმრის ქვეყანაში ხომ არ ვართ? _ იკითხა ხმადაბლა გოგონამ. ლილიამ გულიანად გაიცინა.

_ არა, ჩემო საყვარლებო. ეს იყო ბოლო დავალება, რაც უნდა შემესრულებინა. ახლა ოქროს ხე თავის ადგილს, "სიზმრი ქვეყანას" დაუბრუნდება. ამის თქმა და ოქროს ხის გაქრობა ერთი იყო. ლილიამ შვებით ამოისუნთქა. ახლა შეგვიძლია სახლებისაკენ დავიძრათ.

_ ინაინა, შეიძლება შენთან სტუმრად მოვიდე ხოლმე? _ ჰკითხა უბრონმა გოგონას, _ დრაგოსაც წამოვიყვან, მინდა შენი ვარდისფერი ოთახი ვნახო.

_ მართლა დამხვდება ვარდისფერი ოთახი? _ მუდარით სავსე თვალებით შეხედა ინაინამ ქალბატონ მანონს.

_ რასაკვირველია დაგხვდება. ეს ჩემი კი არა, სიზმრის ქვეყნის დედოფლის საჩუქარია. _ უპასუხა ქალმა.

_ რა კარგია, მაშინ ჩემს დაბადების დღეზე, ყველას გეპატიჟებით. ერთ კვირაში ათი წლის ვხდები. _ გოგონამ უბრონს თბილად გაუღიმა, ბაყუჩას თმებზე მოეფერა და ლილიას ჩაჰკიდა ხელი. _ ჩვენ წავედით, მშობლები გველოდებიან. _ შუაში ლილია, აქეთ-იქით კი ინაინა და აკაროსი ჩქარი ნაბიჯით გაუყვნენ გზას სასახლისაკენ.

_ ლილია, აგვაფრინე რა, _ სთხოვა აკაროსმა.

_ აგაფრინოთ რა, ჩიტი კი არა ვარ. ზღაპრები დამთავრდა, ჩვენ სახლებში ვბრუნდებით.

_ სახლებში თუ სახლში?

_ ჰო სახლში, დაღლილობისაგან მეც სულ დავიბენი.

მალე სასახლეც გამოჩნდა. მეფე-დედოფალი აივანზე იდგნენ და ძალიან მშვიდად საუბრობდნენ.

_ დიდხანს მოგიწიათ ხომ იცი სეირნობა, _ საყვედურნარევი ხმით მიმართა დედოფალმა გადიასა და ბავშვებს. წადით, ივახშმეთ და დაიძინეთ.

_ კი მაგრამ, ჩვენ ამდენი ვიმოგზაურეთ და ესენი ასე მშვიდად როგორ არიან? _ გაუკვირდა ინაინას.

_ სინამდვილეში მხოლოდ ერთი დღე გავიდ ა, ჩვენ ხომ ზღაპრულ ქვეყანაში ვიმყოფებოდით, იქ კი დრო სხვანაირად მიდის. აბა წავედით ინაინა, შენი ოთახი ვნახოთ. _ გადია ბავშვებით გოგონას ოთახში შევიდა. ოთახი მართლაც თითქოს ვარდისფრად ანათებდა, მაგიდაზე ვარდისფერი კომპიუტერი იდგა. ეკრანიდან კი, სიზმრის დედოფალი უღიმოდა და ხელს უქნევდა. ინაინა აღტაცებას ვერ მალავდა.

_ მეც ხომ მათამაშებ ხოლმე კომპიუტერზე? _ როგორც იქნა ამოიღო ხმა აკაროსმა.

_ შენ ვინ გასწავლა კომპიუტერზე თამაში? _ ჰკითხა ლილიამ.

_ ბაბუმ, იცი რა მაგარი თამაშები ვიცი? დისკებიც გამომატანა. _ ლ ილიას გაეღიმა და თავი გადააქნია.

_ გათამაშებ აბა რას ვიზამ. _ უპასუხა დაიკომ, _ თუ კარგად მოიქცევი რასაკვირველია. წამოდი ვივახშმოთ, თორემ ისე დავიღალე, ლამის ზეზეულად დამეძინოს.

ბავშვებმა ივახშმეს, დედმამას ძილი ნებისა უსურვეს და დასაძინებლად წავიდნენ. აკაროსმა სთხოვა ლილიას, “დღეს ინაინას ოთახში დავწვები, მეც მინდა ვარდისფერ ოთახში ძილიო”. გადია სიამოვნებით დათანხმდა და ბავშვები გვერდი-გვერდ დააწვინა. თვითონ იქვე სავარძელში ჩაჯდა. ხელში წიგნი ეჭირა, წიგნს ოქროს ასოებით ეწერა სათაური: “სკივრში ნაპოვნი ზღაპრები, (სიზმრის ქვეყანა)”.

ლილიამ წიგნი დახურა, ფეხაკრეფით წამოდგა, სხვენში ავიდა. დიდი, ძველებური სკივრი გახსნა, წიგნს ხელი გადაუსვა თითქოს მოეფერაო და ფრთხილად მოათავსა სხვა წიგნების გვერდით. “ცოტა ხანს დაისვენეთ, კიდევ მოგაკითხავთ”, _ ჩაილაპარაკა თავისთვის. ფრთები გაისწორა და სიზმრის ქვეყნისაკენ გაფრინდა.

**2009 წ.**

# სკივრში ნაპოვნი ძველთაძველი ზღაპარი

ძალიან დიდი ხნის წინ, უხსოვარ დროს, გვერდიგვერდ სამი პატარა სამეფო მოთავსებულიყო. როგორც ყველას, ამ სამეფოებსაც ალბათ მეფეები ჰყავდა და როგორც ყველა მეფეს შეშვენის, ალბათ სახელებიც ჰქონდათ. ჩვენ რომ სამეფო მოგვეწონებოდა, მარცხენა მხარეს მდებარეობდა და მის მეფეს მარგია ერქვა. ჩვენ რომ სამეფო არ მოგვეწონებოდა, მარჯვენა მხარე ეჭირა. რომელსაც მეფე ხარბია მართავდა.

შუაში მდებარე სამეფოს ასავალ-დასავალი, არავინ იცოდა. არც მეფე და არც მსახურები თვალით არავის ენახა და საერთოდ ჰყავდა თუ არა ამ სამეფოს მმართველი, ვერავის გაეგო. ერთადერთი რასაც ხედავდნენ ის იყო, რომ ღამ-ღამობით, სასახლიდან საოცარი შუქი გამოსჭვიოდა და გათენებამდე სასახლე მზესავით ანათებდა. და კიდევ, თვეში ერთხელ უზარმაზარი ფრინველი მოფრინდებოდა ხოლმე, სასახლეს რამოდენიმეჯერ გარს შემოუფრენდა და გაუჩინარდებოდა.

ხალხმა სამეფოებს სახელებიც შესაფერისი შეარქვა: მარგიას სამეფო, შუქიას სამეფო და ხარბიას სამეფო.

მეფე მარგია, ძალიან კეთილი კაცი ბრძანდებოდა, ერთი ვაჟი ჰყავდა და ყველანაირად ცდილობდა, უფლისწულიც კეთილშობილ მეფედ გაეზარდა.

ერთხელ მეფე მარგიას გლეხი ეახლა.

_ მეფეო, მცირე ზომის მიწა ან მომყიდე ან იჯარით მომეციო.

_ რატომ უნდა მოგყიდო, ან იჯარით რატომ უნდა მოგცე, ბევრი ფული გაქვსო? _ ჰკითხა მეფემ. _ მოიზომე რამდენიც გინდა და მოიხმარე როგორც გინდაო.

_ ასე არ შეიძლებაო _ უპასუხა გლეხმა.

_ ვითომ რატომაო?

_ ასე არავინ აკეთებსო.

_ მერე მე განა “არავინ” ვარ? მე ხომ მარგია ვარო. _ უპასუხა მეფემ და გლეხიც გაისტუმრა.

ცოტა ხანში მეორე გლეხი ესტუმრა, შემდეგ მესამე და მეოთხე. ყველას ჩამოურიგა მეფემ მიწები და რაც მთავარია, თვითონაც ძალიან კმაყოფილი დარჩა. სასახლეღა შემორჩა მეფე მარგიას და დედოფლის საყვარელი ბაღი, სადაც ულამაზესი ყვავილები ყვაოდა.

_ მამა, სამეფო აღარ არსებობს, მიწები აღარ გვაქვს და ყმები არ გვყავს. რა უნდა ვჭამოთ, ან რა უნდა ვსვათ? _ ჰკითხა ერთხელაც უფლისწულმა.

_ ჩვენი სამყოფი საჭმელიც გვაქვს და სასმელიც. შენ მაგაზე არ იდარდო. _ უპასუხა მეფემ.

ცოტა ხანში სასახლეს პირველი გლეხი ეწვია.

_ მეფეო, _ მიმართა მან. _ შენს მიწაზე ხორბალი მოვიყვანე. მოსავალი ავიღე, დავფქვი, პური და ნაზუქი გამოვაცხვე. ნაწილი სახლში დავიტოვე, ნაწილი შენ მოგართვი.

_ რატომ წუხდებოდი? ეგ მიწა ახლა შენია.

_ არა მეფეო, სიკეთეს სიკეთით უნდა გადახდა. _ უპასუხა გლეხმა და წავიდა. მალე მეორე გლეხი მოვიდა, შემდეგ მესამე და მეოთხე. ზოგს ძროხა მოუშენებია, ზოგს ქათამი და ღორი. ზოგს კიდევ ყურძენი მოუწევია და ღვინო დაუწურავს.

_ დღე არ გავიდოდა თითო გლეხი მაინც არ მოსულიყო ძღვენით. მარგია ძღვენს იღებდა, ნახევარს იტოვებდა, მეორე ნახევარს კი მსახურს ატანდა შუქიას სამეფოს სასახლეში.

_კიბეზე ადი და კართან დააწყვე. მე მგონი სახლში მოხუცები ცხოვრობენ. აბა რატომაა, გარეთ გამოსული რომ არავინ გვინახავს? ღმერთი არ გაგიწყრეს, არ დააკაკუნო. შეიძლება მოერიდოთ და სანოვაგე უკან გამოგატანონ. ხომ ხედავ ღამე როგორ გვინათებენ კარ-მიდამოს, ეს ნამდვილად მადლობის ნიშანია.

ყოველ დღე დაჰქონდა მსახურს ძღვენი შუქიას სამეფოში და წინა დღით მიტანილი ადგილზე აღარ ხვდებოდა.

_ ღმერთმა შეარგოთ _ იტყოდა ხოლმე ნასიამოვნები მარგია.

_ მამა, დღეს მე წავიღებ ძღვენს მეზობელ სასახლეში, თან დავათვალიერებ იქაურ სამეფოს. ეგებ ცოტა წავინადირო კიდეც.

_ კარგი შვილო წადი, ოღონდ ფრთხილად იყავი. ხომ იცი, მაგ სამეფოზე ხარბიას უჭირავს თვალი და რაიმე შარს არ გადაგყაროს.

_ ხარბიას გამოზრდილ ლეკვებს ვეღარ მოვერევი? _ გაეღიმა უფლისწულს. მეფემ ამაყად შეათვალიერა თავისი ვაჟი, რომელიც საოცარი სილამაზითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა.

ამ საუბრის შემდეგ სანოვაგე, შუქიას სამეფოში უფლისწულს დაჰქონდა და რაც დრო გადიოდა რატომღაც, სულ უფრო ხალისით ასრულებდა ამ მოვალეობას.

მარგიასაგან განსხვავებით, მეფე ხარბია ძალიან ბოროტი და ხარბი ადამიანი იყო. ოქრო-ვერცხლი უყვარდა. ყველაფერს ყიდდა, რაც კი ეყიდებოდა. მხოლოდ ოქროს ფულს იღებდა. წესიერ საჭმელს არ ჭამდა და ლამაზ ნივთებს არ იძენდა. ოქროს აგროვებდა. ცალკე ოთახი ჰქონდა. ჩაიკეტებოდა ხოლმე ოქროს ოთახში და საათობით ათვალიერებდა თითოეულ ოქროს ფულს, რაც ძალიან დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

ხარბიასთანაც მოვიდნენ გლეხები. “მიწა მოგვყიდეო”. “ მოგყიდით, ათას ოქროს თუ მომცემთო”. “ათასი ოქრო სადა გვაქვსო”. ივაჭრეს, ივაჭრეს და ბოლოს ას-ას ოქროზე შეთანხმდნენ. თვითონ მეფემ მოუზომა გლეხებს პატარ-პატარა ნაკვეთი და კმაყოფილი დაბრუნდა სასახლეში. ფული ოქროს ოთახში დააბინავა, შემდეგ სასახლიდან გადაიხედა და ნახა, ერთი გოჯი მიწაც აღარ შერჩენოდა, დედოფლის ბაღის გარდა, სადაც მხოლოდ ეკალ-ბარდებიღა ხარობდა. “ არა უშავს, ოქრო ხომ მაქვს. რასაც მინდა იმას ვიყიდი”.-ფიქრობდა მეფე ხარბია, მაგრამ არაფერს არ ყიდულობდა, ოქრო ერჩია ყველაფერს. ერთი ვაჟი ჰყავდა, რომელიც მთელი დღე დადიოდა და “მშია, მშიას” გაჰყვიროდა. ალბათ მართლაც შიოდა, რადგან სახლში ერთი ნაჭერი პურიც კი არ მოიპოვებოდა. დედოფალი გამხდარი, უფერული ქალი იყო და შიმშილისაგან თვალები ხარბიას ოქროსავით უპრიალებდა.

_ წადი კაცო, რამე საჭმელი იშოვნე, თორემ საცაა დავიხოცებით. ხომ ხედავ, მარგიასა და შუქიას სამეფოდან სულ შემწვარ-მოხრაკულების სუნი გვიღიტინებს ცხვირში.

_ სად გინახავს დედაკაცო, მეფე საჭმლის საშოვნელად დადიოდეს? _ გაბრაზდა ხარბია.

_ მაშინ შენი უსაქმური შვილი გაგზავნე. მარგიას ბიჭი თუ დადის ყოველ დღე შუქიას სამეფოში, ვითომ ჩვენსას არ ეკადრება?

_ მარგიას შვილი? რად დადის შუქიას სამეფოში, რა უნდა?

_ სანოვაგე დააქვს იქაურებისათვის. მოხუცები არიანო და ეცოდებათ.

_ აჰ, ეცოდებათ არა? ისინი ეცოდებათ და ჩვენ არ ვეცოდებით? შიმშილით სული გვძვრება. _ სულ გაწიწმატდა ხარბია. _ მე თქვენ გიჩვენებთ სეირს. _ ჩაილაპარაკა ბოლოს და თვალები ბოროტად მოწკურა.

მეორე დრესვე დაუდარაჯდა ხარბია უფლისწულს. დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია. მარგიას შვილი სასახლეს მიუახლოვდა, ორივე ხელში კალათა ეჭირა, კიბეზე ავიდა, კარზე სამჯერ დააკაკუნა და თვალები დახუჭა. კარი გაიღო. უეცრად შენობიდან ისეთმა შუქმა გამოანათა, რომ იქვე მდგარ ადამიანს ალბათ დააბრმავებდა. უყურებდა პირღია მეფე, რაც მის თვალწინ ხდებოდა და თვალებს არ უჯერებდა.

_ თვალი არ გაახილო ჩემო სიყვარულო, ჩვენი დრო უკვე ახლოვდება, მალე სულ ერთად ვიქნებით. _ მიმართა ბიჭს სინათლის სხივმა უნაზესი ხმით, სახეზე მოეფერა, კალათები აიღო და სასახლეში, კარს მიღმა მიიმალა. უფლისწული ცოტა ხანს იდგა, იღიმოდა, შემდეგ შემობრუნდა და ღიღინ-ღიღინით გაუდგა უკანა გზას.

ხარბიამ იფიქრა, ასე სასწაულად მხოლოდ ოქრო თუ გაანათებსო და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სასახლეში შეეღწია და ძვირფასეულობა ხელში ჩაეგდო.A

მალევე ჩაუსაფრდა მეფე ხარბია, თავისნაირ ხარბ და წუწკ შვილთან ერთად, მარგიას ვაჟს.

მალე უფლისწულიც გამოჩნდა, როგორც წინა დღეს, ორივე ხელში კალათა ეჭირა. მან ღიღინით ჩაუარა მეფეს და სასახლისაკენ გაემართა. ხარბიას ბიჭი წამოხტა, ხელჯოხი, რომელი წინდაწინ ჰქონდა მომზადებული, მთელი ძალით ჩასცხო თავში მოღიღინე ვაჟს და ისევ დაიმალა. უფლისწულმა გონება დაჰკარგა და მოცელილივით დაეცა. ხარბია და მისი შვილი კალათებს დაეძგერნენ, ჩქარ-ჩქარა ყლაპავდნენLსაჭმელს და თან გულიანად იცინოდნენ. მათ ხომ გემრიელი საჭმელი, წლების მანძილზე არც გაესინჯათ. კარგად რომ დანაყრდნენ, ცარიელი კალათები აიღეს და სასახლისაკენ გასწიეს. კარზე სამჯერ დააკაკუნეს. კარი გაიღო, სასახლიდან კი ისეთმა მძლავრმა შუქმა გამოანათა, რომ მამა-შვილს იქვე დააკარგვინა თვალის სინათლე.

_ ვაიმე, ვაიმე, გვიშველეთ _ ყვიროდნენ ხარბია და მისი ვაჟი და აქეთ-იქით აწყდებოდნენ. გზას ვერ იკვლევდნენ. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ იმავე წუთს, მოფრინდა უზარმაზარი არწივივით ჩიტი და თავის მძლავრ Fფრთებს, მამა-შვილს აქეთ-იქიდან უტყლაშუნებდა. ამასობაში უფლისწულიც გონს მოვიდა, სასწრაფოდ სასახლისაკენ გამოეშურა, კიბეზე აირბინა და სასახლის კარი თვითონ გააღო.

_ თვალები დახუჭე, თვალები. _ გაისმა ნაზი ხმა.

_ არა ძვირფასო, აქამდე სულ სიზმრებში გხედავდი, ცხადში, მხოლოდ შენს ხმაში ვიყავი შეყვარებული. ახლა მირჩევნია, ერთხელ დაგინახო და მერე თუნდაც სამუდამოდ ფერფლად გადავიქცე. _ სასახლიდან თვალისმომჭრელმა სხივმა გამოანათა, რომელიც თანდათან ძალას კარგავდა და საბოლოოდ უფლისწულის თვალწინ, საოცარი სილამაზის ქალიშვილი გამოიკვეთა. გოგონამ უფლისწულთან მიირბინა და გულში ჩაეკრო.

ამ დროს, ჩიტი-არწივი მიწაზე დაეშვა და უეცრად მკაცრი შესახედაობის მამაკაცად გადაიქცა, რომელსაც მეფის სამოსი ეცვა და თავზე გვირგვინი ედგა.

_ შვილო, ჩემო ერთადერთო სიხარულო, ყველაფერი დამთავრდა, ამ ყმაწვილის სიყვარულმა დააკარგვინა ჯადოს ძალა. იმდენად ძლიერია ეს სიყვარული, რომ ჩვენი სამეფოს უდიდესმა ჯადოქრებმაც კი, ფარხმალი დაყარეს და იქიდან გლოცავენ. ასეთი რამ, მათ ჯერ არასოდეს გაუკეთებიათ. _ ალაპარაკდა მეფე-არწივი. შემდეგ უფლისწულს ხელში, თავისი ქალიშვილის ხელი ჩაუდო და მიმართა.

_ ამიერიდან, ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს შენ გაბარებ. თვალის ჩინივით გაუფრთხილდი. იმათ არ დაემსგავსო, _ ჩაიცინა მამაკაცმა და ხარბიასა და მის ვაჟს გახედა, რომლებიც მიწაზე დამსხდარიყვნენ და საცოდავად ზლუქუნებდნენ.

_ მამა, აუხილე მაგ უბედურებს თვალები. ეგენი მე კი არა, ოქრომ დააბრმავა. _ სთხოვა გოგონამ მეფეს.

_ კარგი, კარგი იყოს შენებ ურად. კეთილშობილებით ზუსტად ჩემი ძმადნაფიცის, მეფე მარგიას ოჯახს შეეფერები, რაც მე ძალიან მახარებს.

_ ძმადნაფიცის? _ გაკვირვებით იკითხა მარგიას ვაჟმა.

_ დიახ, ჩემო ძვირფასებო. მე და მარგია, დაბადებიდან ერთად ვიზრდებოდით. მარგიას მშობლები გვზრდიდნენ. ყველას ობოლი ვეგონე. არც მე მახსოვდა მშობლები. მერე გავიგე ვინც ვიყავი, შემთხვევით მოვკარი ყური მეფე მარგიასა და დედოფლის საუბარს. მამაჩემს ჩემი თავი გასაზრდელად მარგიასათვის ჩაუბარებია, როგორც დედამიწაზე ყველაზე კეთილშობილი

ადამიანისათვის, რათა  სისასტიკე, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია გამეფებული, ჩემს ბუნებაში ცოტა შერბილებულიყო. მაგრამ, მან არ გაითვალისწინა ის, რომ მე ნახევრად ადამიანად ჩამოვყალიბდი.

_ თქვენ ფასკუნჯი ხართ? _ ჰკითხა უფლისწულმა.

_ არა, ფასკუნჯები ჩვენი წინაპრები არიან, მათგან განსხვავებით, ჩვენ ადამიანის სახესაც ვიღებთ და ჩიტისასაც. რაც მიწის ზემოთ სულიერი არსებაა, ყველა ჩვენ გვემორჩილება. მე კი მამაჩემის მემკვიდრე, მეფეთ-მეფე ვარ. ბედნიერი ბავშვობა გვქონდა მე და მარგიას. ერთ დღესაც მოფრინდა უზარმაზარი არწივივით ჩიტი, ამიტაცა და მთებისაკენ გამაქანა. აღმოჩნდა, რომ ეს მძლავრი, არწივივით ჩიტი მამაჩემი იყო, მეფეთ-მეფე. მას შემდეგ ვიზრდებოდი მთებში, უზარმაზარ სასახლეში, მაგრამ გული სულ მიწისაკენ მომიწევდა და ხშირადაც ვსტუმრობდი მარგიას.

ერთ-ერთი ჩემი მიწაზე ყოფნის დროს, თავდავიწყებით შემიყვარდა ქალიშვილი, სახელად აზალია. მამაჩემმა ქორწინების ნება არ მოგვცა, ამიტომ მე აზალიასთან დავრჩი მიწაზე. ეს ყველაზე ბედნიერი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. მთების გახსენება აღარ მინდოდა და იქეთ არც გამიხედავს. ცოტა ხანში  გვეყოლა გოგონა და დედამისის სამახსოვროდ აზალია დავარქვი, ვინაიდან ჩემი სიყვარული იმავე დღეს გარდაიცვალა და ჩემი გულიც თან წაიყოლა. ჩემი უბედურება აქ არ დამთავრებულა. გოგონა, პატარა აზალია დაბადებისთანავე მოაჯადოვეს, მამაჩემის ქვეყნის ჯადოქრებმა და სინათლის კაშკაშა სხივად აქციეს. მე ჩემს ქალიშვილს ამ სასახლეში დავუდე ბინა, თვითონ კი გავფრინდი მამაჩემის ქვეყანაში შურის საძიებლად. სამწუხაროდ მამაჩემი გარდაცვლილი დამხვდა, ჯადოქრები კი დამემუქრენ, ან მეფის ტახტზე დაჯდები და ქვეყანას როგორც შეეფერება ისე მართავ, ან შენს ქალიშვილს ვეღარასოდეს იხილავო. მე სხვა გამოსავალი არ მქონდა და მეფობას დავთანხმდი. სამაგიეროდ ყოველ დღე მოვფრინდებოდი ხოლმე ჩემი გოგონას სანახავად, შენ რომ გნახე ჩემი ქალიშვილის სახლთან, ჯერ შემეშინდა, შემდეგ კი მივხვდი, ჯადოს ძალა მალე დაეკარგებოდა, იმდენად დიდი იყო შენი სიყვარული ჩემი ქალიშვილის მიმართ., თანაც მარგიას ვაჟს მე ყველანაირად ვენდობოდი. _ დაამთავრა თხრობა აზალიას მამამ.

მეფეთ-მეფე ხარბიას მიუბრუნდა. _ თვალებს აგიხელთ და აქედან რაც შეიძლება შორს გაგისტუმრებთ._ მან ხელი სტაცა მამა-შვილს და ცხრა მთას იქით რომ კიდევ ცხრა მთაა, იმის იქით მოისროლა. შემდეგ მათი სასახლე, როგორც კენჭი ისე აიტაცა და თან მიაყოლა. _ მოსწყინდებათ თავისი ოქროს გარეშე, _ ჩაიცინა მან და ახალგაზრდებს მიუბრუნდა. _ წადით, მარგია გელოდებათ, მე გავაფრთხილე და ძალიან გახარებულია.

_ შენ არ წამოხვალ მამა? _ ნაღვლიანად ჰკითხა აზალიამ.

_ არა შვილებო, ჩემი ადგილი აქ არ არის, ჩემი ადგილი მთებშია. იქ ხანდახან დედაშენსაც ვესაუბრები ხოლმე. თუ რამე დაგჭირდეთ, ამ სასახლესთან მოდით, სამჯერ დააკაკუნეთ და კარს მე გაგიღებთ. ყველა თქვენს დაძახებაზე უმალ აქ გავჩნდები. _  წარმოსთქვა მეფემ, კვლავ უზარმაზარ არწივად გადაიქცა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაუჩინარდა.

აზალია და უფლისწული ხელჩაკიდებულნი იდგნენ, ცოტა ხანს ცას გასცქეროდნენ, შემდეგ მიბრუნდნენ და მდუმარედ გაუყვნენ გზას მარგიას სასახლისაკენ. სახე ორივეს სევდანარევი, მაგრამ ბედნიერი ღიმილით გაცისკროვნებოდა.

იქაც ლხინი, აქაც ლხინი
ყველგან პური და ნაზუქი.
ღიმილი და სიყვარული,
ჩვენც გვაჩუქე სიხარული.
სიხარბე და დარდი
ცხრა მთას იქით წადი.

# ციციანა და ჯიჯეო

პატარა გოგონა, რომლის სახელსაც ამ ზღაპრისათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ყოველ დილით, სოფლის განაპირა ტყეში დადიოდა სასეირნოდ. გოგონას თავისი საყვარელი ადგილი ჰქონდა. ბებერი ხის კუნძზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და თავის საფიქრალს ფიქრობდა. ხშირად თიქოს ჩურჩული ესმოდა. სიტყვებს ვერ არჩევდა და საბოლოოდ დაასკვნა, ალბათ ფოთლები ერთმანეთში საუბრობენო.

ერთხელაც გოგონა ჩვეულებისამებრ კუნძზე იჯდა, ფეხებს აქანავებდა, ჩუპა-ჩუპსის კამფეტს ლოკავდა და სიამოვნებისაგან თვალებს ნაბავდა. სახეზე კი მზე ნაზად ეფერებოდა.

_ ფეხები გააჩერე, თავი მეტკინა, _ მოესმა გაბრაზებული ხმა. გოგონამ აქეთ-იქით მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა და ნებივრობა განაგრძო.

_ ფეხები გააჩერე-მექი, შენ რა ყრუ ხარ? _ კვლავ მოესმა ხმა. გოგონამ დაიხედა და ხის კუნძის ფუღუროში პატარა კაცუნას თავი დაინახა. კაცუნამ გაბრაზებით თითი დაუქნია და მიიმალა. გოგონა კუნძიდან ჩამოხტა და დაიხარა, ფუღუროში პატარა კაცუნები დაფუსფუსებდნენ. გოგონას არ გაკვირვებია, ალბათ იმიტომ, რომ პატარა იყო და იცოდა, რომ, თითქმის ყველა ბებერი ხის ფუღუროში ჯუჯები ცხოვრობენ. ძირითადად კეთილი ჯუჯები.

_ ოჰ, უყურეთ, ჩვენი მწვალებელი მოვიდა. _ წამოიძახა ერთ-ერთმა. _ შენ ის გოგონა არა ხარ, ყოველ დღე წიხლებს რომ გვირტყამ?

_ უკაცრავად, მაგრამ მე წიხლებს არ გირტყამთ. უბრალოდ, რომ ვზივარ, ფეხებით მიწას ვერ ვწვდები და ჰაერში ვაქანავებ. მაპატიეთ, მეტს აღარ შეგაწუხებთ. _ მოუბოდიშა გოგონამ.

_ არა უშავს, არა უშავს, შეგვაწუხე. ოღონდ ყოველ დღე არა.

_ სხვა კუნძზე დავჯდები, მნიშვნელობა არა აქვს.

_ სხვა კუნძზე დაჯდომა არ გაბედო. კარგი, აბრახუნე ყოველდღე, ოღონდ სხვა კუნძზე არ დაჯდე. _ აყაყანდნენ ჯუჯები ერთხმად. _ ისე, გარეთ რატომ დგეხარ? შემოდი.

_ რომ ვერ შემოვეტიო?

_ თავი დახარე და შემოეტევი. _ მართლაც, გოგონამ თავი დახარა და ჯუჯების სამფლობელოში აღმოჩნდა.

_ რა გქვია? _ ჰკითხა ჯუჯების უფროსმა, რომელსაც თავზე გვირგვინი ედგა, ეტყობოდა მეფე იყო.

_ გოგონა.

_ გოგონა რა სახელია?

_ რა ვიცი, ყველა გოგონას მეძახის და.....

_ კარგი, რახან შენ სახელი არ გქონია, მე დაგარქმევ.

_ არ მინდა არა, მე გოგონა მომწონს.

_ მოგწონს და მოგწონდეს. შენი სახელია, ჩემი კი არა ჰა, ჰა, ჰა. _ გადაიხარხარა მეფემ. _ ჰო, ახლა ჩვენს თავს გაგაცნობ.

_ თქვენ ჯუჯები ხართ არა? _ გულუბრყვილოდ იკითხა გოგონამ.

_ რაო, ჯუჯებიო? ეგ როგორ გვკადრე. ჯუჯები ჩვენი მოსისხლე მტრები არიან. ჩვენ ციცქნარები ვართ. ჩვენს ქვეყანას კი ოდითგანვე ციცქნარეთი ჰქვია. _ ამაყად წარმოსთქვა ციცქნარმა. _ ჩვენს მეზობლად, ჩვენსაზე ცოტათი მოზრდილი კუნძის ფუღუროშია ჯუჯუნეთი, ჯუჯების ქვეყანა. სიმართლე გითხრა, ძალიან უზრდელები არიან. ჯუჯუნეთის ახლანდელი მეფის პაპის პაპამ, ჩემს პაპის პაპას, დიდი შეურაცყოფა მიაყენა.

_ მაინც რა? _ იკითხა გოგონამ ინტერესით.

_ ჩემი პაპის პაპა რომ სეირნობდა იმ ხესთან, (მაშინ ის ხე იყო, კუნძი კი არა) ზედა ფუღუროდან, ფეხის საწმენდი ტილო დააბერტყეს თავზე. საწყალი ჩემი პაპის პაპა სულ მტვერში ამოიგანგლა. ერთი კი შესძახა, "ამ შეურაცყოფას არ გაპატიებთ, ჩემი შთამომავლები გადაგიხდიანო" და ცოტა ხანში სულიც დალია.

_ შემდეგ თქვენ რა ჰქენით?

_ რა უნდა გვექნა, ჩვენც მტვერს ხომ არ დავაყრიდით თავზე, ჯუჯები ხომ არა ვართ. ჩვენ ციცქნარები ვართ. ჩვენს ძარღვებში კეთილშობილი სისხლი სჩქეფს. ხელსაყრელ მომენტს ველოდებოდით აქამდე და აი, ეს დღეც დადგა.

_ მაინც რა გადაწყვიტეთ? _ მეფე გოგონას მიუახლოვდა და ჩურჩულით დაი წყო ლაპარაკი. _ ჯუჯუნეთის უფლისწულს, ჯიჯეოს, შემთხვევით დაუნახავს ჩემი შვილობილი ციციანა და პირველივე ნახვისთანავე შეყვარებია. ამას წინათ მაჭანკლები გამომიგზავნა, "შენი გაზრდილი გოგო, ციციანა მომათხოვე, თორემ თავს მოვიკლავო".

_ მერე რა უპასუხეთ? _ ჰკითხა გოგონამ.

_ ჩემს შვილობილს ვერ ეღირსები, გინდა თავი მოიკალი და რაც გინდა ის ქენი. ჩემი პაპის პაპის შეურაცყოფას მე ვერავის ვაპატიებ და მითუმეტეს ვერ დავინათესავებ მეთქი. განა სწორი არა ვარ? _ მიმართა მეფემ გოგონას.

_ არა ხარ მართალი, არა. _ გაისმა კუთხიდან წვრილი ხმა. _ თუ არ მიმათხოვებ იცოდე, მეც თავს მოვიკლავ.

_ ციციანა! რას ამბობ თუ იცი, ჯიჯეოზე ლაპარაკობ თუ რამე მეშლება? _ გაბრაზებით მიუგო მამამ. _ ადი შენს ოთახში და თვალით არ დამენახო. "მიგათხოვებ", მანამ არ აუდგათ გვერდები ჯუჯებს, ჩემი ქალიშვილი ჯუჯუნეთის დედოფლად არ იხილონ. მაპატიე ჩემო კარგო, _ მიმართა მეფემ გოგონას, _ მე მგონი შენი წასვლის დროა.

_ არ გეცოდებათ ციციანა?

_ მეცოდება? საცოდავი იქნება, იმ ვაჟბატონს რომ გაჰყვეს ცოლად. ფუჰ, ხელოსნები. მთელი დღეები წერაქვებს აჩაქუნებენ, ალმასებს აგროვებენ და მდიდრები ვართო გაიძახიან. ნეტავ ვის რად უნდა ეგ შუშის ნატეხები.

_ ალმასებიო თქვით? მე მგონი ალმასი ძვირფასი ქვა უნდა იყოს, _ მიუგო გოგონამ.

_ კარგი ერთი, მაგის მეტი რა მიყრია საკუჭნაოში. _ მეფემ კარი გამოაღო, მუჭით ალმასები გამოიტანა და გოგონას ხელში ჩაუყარა. _ თუ გინდა კიდევ წაიღე, ნეტავ მე რა თავში ვიხლი.

_ არა, არა მადლობ, ესეც არ მინდა, უხერხულია.

_ წადი, წადი საქმე მაქვს ახლა და ხვალ ამ დროს მოდი, საინტერესო ამბები დატრიალდება.

_ ნახვამდის. _ გოგონა გასასვლელისაკენ გაემართა, ფუღუროდან თავი გაყო თუ არა, გარეთ აღმოჩნდა და სახლისაკენ მოკურცხლა.

მეორე დღეს დილიდან კუნძზე იჯდა პატარა გოგონა და კაცუნებს ელოდებოდა. ფუღუროდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. "ალბათ სძინავთ", გაიფიქრა გოგონამ. "ცოტასაც მოვიცდი და მერე შევალ".

უცებ ფუღუროდან წივილ-კივილის ხმა გაისმა. კიოდა მეფე, დედოფალი, ნაზირ-ვეზირები და საერთოდ ყველანი. მოკლედ, კიოდა მთელი ციცქნარეთი.

გოგონამ თავი დახარა და ფუღუროში შევიდა. შევიდა და რა დაინახა, მეფე ყვიროდა და ადგილზე ხტოდა.

_ გაიქცა, გაიქცა.

_ვინ გაიქცა? _ გაოცებით იკითხა გოგონამ.

_ გაიქცა ჯულიეტა თავის რომეოსთან ერთად. _ ყვიროდა ციცქნარ-მეფე და ნელ-ნელა ჭარხალივით წითლდებოდა.

_ ჯულიეტა ვინ არის, ან რომეო?

_ ოოჰ... ახლა ლიტერატურის გაკვეთილი ჩამატარებინე. ციციანა გაიქცა, იმ უჯიშო ჯიჯეოსთან ერთად. სირცხვილი და თავის მოჭრა.

დედოფალი იატაკზე გორავდა.

_ ჩემი საწყალი გოგო, ალბათ ძალით წაიყვანეს. თორემ ამას მე არ გამიკეთებდა.

_ გაჩუმდი ქალო, ძალით კი არა, პირველი ალბათ თვითონ გარბოდა წინ. _ დედოფალი ტიროდა. _ მოვიფიქრე, კურიერი გაგზავნეთ ჯუჯუნეთში. მეფე მობრძანდეს, ბოდიში მომიხადოს და ჩემი გოგო უკან დამიბრუნოს.

კურიერი გაიქცა. ხუთი წუთი არ იყო გასული, რომ ციცქნარეთის ფუღუროში ჯუჯუნეთის მეფე შემოვარდა.

_ რა მოხდა, რისთვის ამაწრიალეთ, ახლა რა სპექტაკლი დადგით? ვინ გაიქცა, ვინ მოიტაცეს. _ ყვიროდა ჯუჯების მეფე. გოგონა გაკვირვებული შესცქეროდა სტუმარს, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ციცქნარ-მეფეს.

_ თქვენ ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს. _ მიმართა მან მეფეებს.

_ ძმები ვარ, თანაც ტყუპები და აბა ვის უნდა ვგავდეთ? _ ორ ხმაში უპასუხეს ჯუჯებმა.

_ ეს სულ ამის მატრაკვეცობაა. ასო "ჯ" არ მოსწონს ჩემო ბატონო, თანაც სიტყვა "ჯუჯაში", "ჯ" ორჯერ მეორდება. ადგა და ციცქნარეთი დაარქვა თავის ფუღუროს. "ც" კეთილშობილი ასოაო. _ განაგრძო ჯუჯამ.

_ ცა, ცისარტყელა, ციცინათელა, ციმციმი, მოუსმინეთ რა ლამაზია. _ სიტყვა ჩამოართვა ციცქნარმა, _ აბა შეადარე: ჯუჯა, ჯურღმული, ჯანდაბა, ჯიჯეო.

_ ჰო, კარგი, კარგი. ოღონდ ჯიჯეოს თავი დაანებე. შენი ძმის შვილია ბოლოს და ბოლოს. სად არიან ბავშვები? სად დამალე!

_ სარდაფში მყავს ორივე ჩაკეტილი, მაგრამ არა მგონია დიდხანს შევძლო მათი დაკავება.

_ სარდაფში გყავთ ციციანა და ჯიჯეო ჩაკეტილი? რა ხდება გამაგებინეთ. აკი გაიქცნენო, რომეო და ჯულიეტა არიანო, ჯიჯეოს ერთი ნახვით შეუყვარდა ციციანაო, თავს მოვიკლავ და ცოლად არ გავატანო. _ გოგონა სრულიად დაბნეული იძლეოდა შეკითხვებს.

_ ეს სულ ამ მართლა ციცქნარას ბრალია. ციციანა და ჯიჯეოც მაგას დაემსგავსნენ. ბავშვობიდან ღრუბლებში დაფრინავენ და ფანტაზიებით ცხოვრობენ. ხან ომს გვიცხადებენ, ხან კიდევ შერიგებას გვეხვეწებიან. ახლა ვითომ გაიპარნენ. რომეო და ჯულიეტას თამაშობენ მართლა. თავს მოვიკლავთ თუ არ დაგვაქორწინებთო. ნეტავ ვინ უშლის ხელს? უფრო მეტიც, ბოლოს ორივეს დაგვიწუნეს სახელები. მათი აზრით ყველაზე ლამაზი ასო "ფანია" ე.ი. "ფ".

უცებ სარდაფში ჩასასვლელი კარი რამოდენიმეჯერ შეჯანჯღარდა და ბრახუნით გაიღო. ღია კარში ციციანა და ჯიჯეო იდგნენ ხელჩაკიდებულნი. ისეთი საყვარლები იყვნენ, რომ გოგონასა და უფროს ჯუჯებს თვალებზე ცრემლი მოადგათ.

_ ჩვენ მივდივართ! აქვე, გადაღმა ძალიან კოხტა ფუღურო ვიშოვნეთ იაფად. სულ ერთი ტომარა ალმასი გადავიხადეთ. ვირთხებისაგან ვიყიდეთ. _ საქმიანად დაიწყო ჯიჯეომ.

_ იცით რა დავარქვით ჩვენს ფუღუროს? "ფუმფულარია", ხომ მშვენიერია? თანაც ძალიან რომანტიული, გაწითლდა ციციანა და ჯიჯეოს მიეკრო.

_ რაო?! _ წამოიძახა ჯუჯუნეთის მეფემ. სულ გაგიჟდით? საერთოდ დაგავიწყდათ თქვენი ჯიში და ჯილაგი? თქვენ ხომ ჯუჯები ხართ, ჯუჯები. თქვენი მოდგმა საუკუნეებს ითვლის.

_ ფუმფულარია? რა მშვენიერი სახელია. _ აღელდა ციცქნარ -მეფე. _ თქვენ ალბათ ფუმფულები გერქმევათ არა? _ ახალგაზრდები დაიბნენ, _ ჰო, ალბათ. მაგაზე არ გვიფიქრია.

_ აბა დაუგდეთ ყური: ფუმფულა, ფუნთუშა, ფაფუკი, ფიფქი, ფანტელი _ რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. მშვენიერია, მშვენიერი. როგორ მოიფიქრეთ? მეც კი მაჯობეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ფანტაზიაც კი ფ-ზე იწყება, ჯუჯების ფანტაზიას კი საზღვარი არა აქვს. _ ადგილზე ცქმუტავდა ციცქნარა.

_ კარგი! გეყოფა! სულ ნუ გამოჩერჩეტდი და ბავშვებიც ნუ გამიგიჟე. ერთ რამეზე შევთანხმდეთ. თქვენს ფუღუროს, ასე ვთქვათ, თქვენს სამფლობელოს ერქვას "ჯუჯების ფუმფულარია". შენსას კი ჩემო ძმაო "ჯუჯების ციცქნარეთი". ეს ბრძანებაა. მთელმა ტყემ უნდა იცოდეს, რომ აქ ჯუჯები ცხოვრობენ. მე თქვენი მეფე ვარ და ჩემი სიტყვა კანონია ყველასათვის.

ჯუჯები თავდახრილნი იდგნენ მეფის წინაშე. ყველა შესანიშნავად ხვდებოდა, რომ ჯუჯების მთავარი სიმართლეს ამბობდა, მათი საცხოვრებელი სამეფო კი არა, ჩვეულებრივი ფუღურო იყო და მათ წინ ჯუჯების ნამდვილი მეფე, ჯუჯუნ-მართალი იდგა.

_ სწორი ხარ ძმაო, სწორი. ზედმეტი მოგვივიდა. გვაპატიე, მაგრამ ჩვენც გვინდა, ჩვენი ყოფა ოდნავ გავილამაზოთ. 24 საათი წერაქვის ჩაქუნია აბა ცხოვრება?

_ მაგ წერაქვის ჩაქუნითაა ნაირ -ნაირ ფუღუროებს რომ ყიდულობთ, თორემ ტყეებს ვირთხები წალეკავდა.

_ კარგი, მაგრამ გვაცალე, ხანდახან (როგორც შენ ეძახი) "მატრაკვეცობა". მართალია ჯუჯები ვართ, მაგრამ ღრუბლებს ხომ ვხედავთ და წარმოვიდგინოთ მაინც, რომ ღრუბლებთან ერთად ცაში დავფრინავთ.

თითქოს ცოტა მოიღრუბლა. უცებ ერთ-ერთი, შედარებით მომცრო ღრუბელი დაბლა დაეშვა, ციციანა და ჯიჯეო აიტაცა და ცაში აასრიალა. გოგონა და ჯუჯები პირღია უყურებდნენ ამ სანახაობას. მხოლოდ ციცქნარი იდგა გაღიმებული, თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა და ჩურჩულებდა: "ასეც ვიცოდი, ასეც ვიცოდი".

ცოტა ხანში ღრუბელი დაეშვა, ციციანა და ჯიჯეო მიწაზე აღმოჩნდნენ.

_ ბედნიერებას გისურვებთ. _ ღიმილით ჩამოსძახა ღრუბელმა და თავისიანებისაკენ გაქროლდა. ყველამ ახალგაზრდებისაკენ გაიხედა. ციციანას ღრუბელივით თეთრი და ქუნქულა კაბა ეცვა, თავზეც თეთრი გვირგვინი ედგა. ჯიჯეოც თერებში იყო გამოწყობილი. _ ღრუბლის საჩუქარია. _ ჩუმად წარმოსთქვა ციციანამ.

_ ნამდვილი მეფე -პატარძალი ხართ. მე მგონი ქორწილის გადადება აღარც ღირს. მითუმეტეს "ჯუჯების ფუმფულარია" ახალგაზრდებს ელოდება. _ პირველად გაიღიმა ჯუჯების მეფემ და ციცქნარს ხელი გადახვია. _ ახლა მივხვდი, რომ დღესასწაული ხანდახან თვითონ უნდა მოუწყო შენს თავს და მაშინ შეიძლება საოცრების მოწმეც გახდე. გოგონა, შენ ხომ წამოხვალ ქორწილში?

_ აუცილებლად. _ გადაიკისკ ისა გოგონამ. _ ჯუჯების ქორწილი არასოდეს მინახავს. თანაც ციციანა და ჯიჯეო ძალიან მომწონს.

ყველმ ერთად, ცეკვა-ცეკვით ფუმფულარიისაკენ გასწიეს, საიდანაც უკვე საჭმელების გემრიელი სუნი და ლამაზი მუსიკის ხმა გამოდიოდა.

# უბრალოდ-წკრიალა, ანუ როგორ გაჩნდნენ ციცინათელები

წკრიალაძეების ოჯახმა ადგილსამყოფელი გამოიცვალა. დასახლდნენ “დიდი დათვის” მარჯვნივ, არ მისული “მფრინავ თევზამდე”. ცოტა ხმაურიანი ხალხი იყო, რის გამოც, ახალი მეზობლები ცოტა არ იყოს ამრეზით უყურებდნენ. “დიდი დათვის” ოჯახიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. “მფრინავი თევზიდან” ხანდახან ღიღინს თუ გაიგებდი, ისიც ძალიან ხმადაბალს.

ბევრნი კი არ იყვნენ წკრიალაძეები: მამა-წკრიალა, დედა-წკრიალა, ძმა-წკრიალა და უბრალოდ-წკრიალა. თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ყველანი ვარსკვლავები იყვნენ. არა, შეიძლება ვარსკვლავები არც იყვნენ, მაგრამ ვარსკვლავეთში კი ცხოვრობდნენ.

_ მე მოგზაურობა მიყვარს _ ამბობდა მამა -წკრიალა, _ ოჯახით ვმოგზაურობ, მთელი ვარსკვლავეთი მაქვს შემოვლილი. დედამიწაზეც კი ვარ ერთი-ორჯერ ნამყოფი, მთვარეზეც. დედამიწა ყველაზე საინტერესოა. აბა, ესენი არიან? ჩემს მეზობლებლებზე გეუბნებით. როცა არ უნდა გახედო, არიან დატყეპებულები ერთ ადგილას. “წამოდი გავისეირნოთ მეთქი, ”მფრინავი თევზის” ბიჭს შევთავაზე. და იცით რა მიპასუხა? “მაწანწალა ხომ არა ხარ, რას დაეხეტები წინ და უკანო. ჩვენ ვარსკვლავები ვართ და სერიოზული ქცევა გვმართებსო, არისტოკრატები ვართო, მე მე-16-ე თაობის “მფრინავი თევზი” ვარო. შენ კიდევ, სადღაც წკრიალეთიდან ჩამოსულხარ და ჩვენი წესები გინდა შეცვალოო? არ გამოგივაო”. მე ვუთხარი, “თქვენი წესები კი არ მინდა შევცვალო, შენ მინდა ქვეყანა განახო, თორემ თავშიც ქვა გიხლია მეთქი”. შევბრუნდი და წავედი. იმის მერე იქით აღარც გამიხედავს. შორიდან კი მივაძახე, “სადღაც წკრიალეთიდან კი არა, მე სხვათა შორის, თანავარსკვლავედ “წეროს” ახლო ნათესავი ვარ”, თანაც დავაყოლე “ახლა 21-ე საუკუნეა და მე ვარსკვლავური სივრცის თავისუფალი მოქალაქე ვარ-თქო”. ყურიც არ დამიგდო. ხოდა, მეც ვიფიქრე, კიდევ ერთხელ უხლია მეთქი თავში ქვა.

დედა-წკრიალა, ჩვეულებრივი დიასახლისი გახლდათ. მთელი დღე სამზარეულოში ფუსფუსებდა. თავისუფალ დროს კი ლექსებს წერდა. შემდეგ, იმ ფურცლისაგან, რომელზედაც ლექსი დაეწერა, თვითმფრინავს აკეთებდა და დედამიწისაკენ უშვებდა. “ოჰ, რა ლამაზი ხარ დედამიწავ, რა მიმზიდველი”._ სევდიანად ამოიოხრებდა და ახალ ფურცელზე, ახალი ლექსის წერას იწყებდა.

ძმა-წკრიალას, მამამისივით აქეთ-იქით სეირნობა უყვარდა. მაგრამ, მამისაგან განსხვავებით, ძმა-წკრიალა მეგობრობდა “პატარა ლომთან”, “ოქროს თევზთან” და კიდევ ბევრ თანავარსკვლავედებთან. არც პატარა ვარსკვლავებს უბზუებდა ცხვირს, მათთან ხან დაჭირობანას თამაშობდა და ხან ვარსკვლავურ ომს აჩაღებდა. ცხოვრებით ძალიან კმაყოფილი იყო.

უბრალოდ-წკრიალა, ძალზედ ცელქი გოგონა ბრძანდებოდა, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა და ძმა წკრიალასაგან განსხვავებით, მარტოს უყვარდა სეირნობაცა და თამაშიც. დედამიწაზე, რამოდენიმეჯერ იყო ნამყოფი, დედამისივით მასაც ძალიან მოსწონდა იქაურობა და ერთი სული ჰქონდა, კიდევ როდის ეწვეოდა, ამ პატარა პლანეტას.

დედამიწაზე მესამედ რომ ჩავიდა, ქოჩორა გაიცნო. ქოჩორას ხუჭუჭა თმა ჰქონდა და ეს მეტსახელიც იმიტომ შეარქვეს. იმ დღის მერე, მოსვენება დაჰკარგა წკრიალამ. სულ, ამ ბიჭის სახე ედგა თვალწინ.

ქოჩორა, პატარა ბიჭი იყო,, მთელი ღამეები ტბასთან იჯდა და იქ არეკლილ ვარსკვლავებს აკვირდებოდა. ერთხელ გამვლელმა ჰკითხა, “ვარსკვლავები რომ ასე გიყვარს, ცაში რატომ არ იხედებიო?”. “ცა შორსაა, ტბაში კი ისე ახლოს არიან, გეგონება მეც მათთან ვარო”. გამვლელმა საფეთქელთან თითი მიიდო, გადაატრიალ-გადმოატრიალა, ერთიც დაუსტვინა და გზა განაგრძო. ქოჩორა, ისევ ტბას აკვირდებოდა, აკვირდებოდა და ელოდა. იცით ვის ელოდა? ვის და წკრიალას. ამ ლურჯთვალა, ბრჭყვიალა გოგონამ, პირველი ნახვისთანავე შეაყვარა თავი.

იქვე მდინარე ჩამოედინებოდა, მაგრამ ქოჩორას არ უყვარდა. მდინარეში ვარსკვლავები არ ჩანდა და სულ სადღაც ეჩქარებოდა. ქოჩორას მოშორებით, მდინარის პირას კაცი იჯდა და წყალს ჩაშტერებოდა, თითქოს რაღაცას ელოდებაო.

ერთ დილას, როდესაც ვარსკვლავებმა დაიძინეს და ტბაში მხოლოდ წყლის ლივლივი-ღა ჩანდა, ქოჩორა მდინარეში მოცქერალ უცნობს მიუახლოვდა და ჰკითხა: “მე ტბაში ვარსკვლავებს ვაკვირდები, შენ კი მდინარეში რას ეძებო?” “მე ველოდებიო”, უპასუხა კაცმა. “რა გქვიაო?” “მე, ლოდინი მქვიაო”, უპასუხა უცნობმა და ისევ მდინარეს ჩააშტერდა. “რას ელოდებიო?” არ მოასვენა ქოჩორამ. “როცა დრო მოვა გაიგებ და ჩემს ლოდინსაც ბოლო მოეღებაო”.

მოსაღამოვდა. ვარსკვლავეთში წკრიალა დედამიწაზე ჩასასვლელად ემზადებოდა. დედა-წკრიალა გადაკოცნა და დაბლა დაიწყო დაშვება. ნელ-ნელა მოფრინავდა. მხრებზე მოგდებული, ვერცხლისფერ-ბრჭყვიალა მოსასხამი ტალღასავით ეფინებოდა ზურგზე.

_ ვარსკვლავი ჩამოვარდა _ გასძახა ლოდინმა ქოჩორას.

_ არა, არ ჩამოვარდა, ეს წკრიალაა, ჩემთან მოდის, _ უპასუხა ქოჩორამ.

წკრიალა მიწაზე დაეშვა.

_ გამარჯობა ქოჩორა.

_ გამარჯობა წკრიალა, მომენატრე. რატომ მალოდინე ამდენ ხანს?

_ მე შენს წასაყვანად მოვედი, _ მიმართა წკრიალამ.

_ ვერ წამოვალ , ვარსკვლავი ხომ არ ვარ? ვერც ავფრინდები ვარსკვლავეთამდე. შენ დარჩი.

_ ჩემს მოსასხამს მოგცემ და აფრინდები. გინდა ვცადოთ?

_ ვცადოთ.

წკრიალამ მოსასხამი მოიხსნა და ქოჩორას მოახურა. ქოჩორა თითქოს თვითონაც გაბრწყინდაო. წკრიალას ხელი ჩაჰკიდა და აფრენა სცადა. მიწას ასცდნენ, ცოტათი აფრინდნენ კიდეც, მაგრამ ხის მწვერვალსაც ვერ მიაღწიეს. ისევ მიწაზე დაეშვნენ. ქოჩორამ მოსასხამი მოიხსნა და წკრიალას გაუწოდა.

_ წადი წკრიალა, წადი. მე ვარსკვლავი ვერასოდეს ვერ გავხდები, არც მინდა. მე დედამიწაზე მირჩევნია. აქ, ტბასთან არის ჩემი სახლი.

წკრიალას თვალებში ცრემლმა გამოანათა.

_ ვერ წავალ ქოჩორა, ჩემი ადგილიც აქ არის, შენს გვერდით, მოიხურე მოსასხამი და ვიფრინოთ ერთად. ცოტას მაინც ხომ ვიბრწყინებთ, გზააბნეულ მგზავრს, ბილიკს ხომ გავუნათებთ? დედამიწის ვარსკვლავები ვიქნებით, ციცინათელები.

ქოჩორამ წკრიალას ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა. ამ დროს ციდან ქაღალდის თვითმფრინავი დაეშვა. წკრიალამ აიღო, გაშალა, ქაღალდი გაასწორა, პატარა ნავი გააკეთა და მდინარეს გაატანა.

_ მეშველა, _ ჩაიჩურჩულა ლოდინმა, ქაღალდის ნავს დასწვდა, გაშალა და სწრაფ ად გადაიკითხა. _ ქოჩორა, ქოჩორა მეშველა. _ ქოჩორა და წკრიალა ციმციმით მიფრინდნენ ლოდინთან. კაცმა წკრიალას შეხედა.

_ შენ წკრიალა ხარ?

_ ჰო.

_ დედაშენივით ლამაზი ხარ.

_ შენ დედაჩემს საიდან იცნობ? _ ლოდინმა კითხვას არ უპასუხა. ყოჩაღ წკრიალა, აი დედაშენმა კი ვერ გაბედა. _ კაცმა ქაღალდი გულის ჯიბეში ჩაიდო და მდინარის ნაპირს დაუყვა.

გავიდა ხანი. ქოჩორა და წკრიალა ღამ-ღამობით, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი დაფრინავდნენ და გზააბნეულებს ბილიკს უნათებდნენ. წკრიალა ხანდახან მიწაზე დაეშვებოდა, ქაღალდის ახალ თვითმფრინავს აიღებდა, გაასწორებდა, ნავს გააკეთებდა და წყალს გაატანდა.

მოშორებით, მდინარის პირას მამაკაცი იჯდა, ქაღალდის ნავებს იჭერდა, კითხულობდა, კეცავდა და გულის ჯიბეში ინახავდა. გულს ლოდინი მოსცილებოდა, მონატრებაღა დარჩენოდა.

ციცინათელები კი დღემდე დაფრინავენ და ბილიკის გარდა, გულს გვინათებენ.

# ჯადოქარი მალია

აქედან ძალიან შორს, დაბურულ ტყეში იდგა პატარა, კოხტა სახლი. ამ პატარა კოხტა სახლში ცხოვრობდა ქალი, სახელად მალია. ყველა ჯადოქარს ეძახდა, მაგრამ იყო თუ არა მალია ნამდვილად ჯადოქარი, არავინ იცოდა. ტყიდან ბილიკი შარაგზაზე გამოდიოდა, სადაც ასევე პატარა სახლები იდგა. მართალია მალიას სახლივით კოხტა არა, მაგრამ მაინც სახლები ერქვა. ეს სოფელი იყო. სოფელს სახელი არ ჰქონდა და ყველა უსახელო სოფელს ეძახდა. სოფლის მაცხოვრებლები (უფროსები), ერიდებოდნენ მალიასთან ურთიერთობას. ბავშვები კი პირიქით, ხშირად სტუმრობდნენ მას. მალია მათ ათასნაირ საინტერესო ამბებს უყვებოდა და გემრიელი სადილითაც უმასპინძლდებოდა.

მალიას სასტუმრო ოთახში ერთი დიდი, ძველი კარადა ედგა. კარადის კარს რომ გამოაღებდა, სულ ცხელ-ცხელი საჭმელები გამოჰქონდა იქიდან, თითქოს ეს წუთია ქურიდან გადმოდგაო. ბავშვებს უკვირდათ, როგორ შეიძლებოდა კარადაში სულ ცხელი კატლეტი და ღვეზელი ყოფილიყო, თანაც ზამთარში სულ ალუბლის, მარწყვის და ჟოლოს ნაირ-ნაირი ნამცხვრებით იტკბარუნებდნენ პირს. ბოლოს ასკვნდნენ: "ჯადოქარია და აბა სხვანაირად როგორ შეიძლებაო."

მარტო როცა იყო, მალია ბუხართან იჯდა პატარა სკამზე და ქსოვდა.

_რას ქსოვ მალია? _ ჰკითხა ერთხელ ბიჭუნამ, რომელსაც სახელად გური ერქვა. გური ხშირად დადიოდა მალიასთან. დედა არ ჰყავდა, მამამისს კი მისთვის არ ეცალა, მთელ დროს ოცნებებში ატარებდა. მამამისს გარინჩას ეძახდნენ თანასოფლელები. მართალია არც ერთ მათგანს გარინჩა არც ნანახი ჰყავდა და არც გაგონილი, მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ ბეხბურთელი იყო და თანაც კოჭლი. ეს ამბავი ასე მოხდა: სოფელში, რომელსაც სახელიც კი არ ჰქონდა და არც რუკაზე იყო აღნიშნული, შემთხვევით გზააბნეულმა მგზავრმა შემოაბიჯა, შემოაბიჯა და იკითხა: "სადა ვარო?", სოფლელებმა უპასუხეს: "უსახელო სოფელშიო". გზააბნეულმა მგზავრმა გურის მამას მოჰკრა თვალი, რომელიც კოჭლობით მოჩლახუნობდა, ხელში ბურთი ეჭირა, რომელიც ხუთიოდე წუთის წინ ბავშვებისათვის სოფლის მაღაზიაში ეყიდა. "ვაჰ, თქვენ უსახელო სოფელში გარინჩაც გყოლიათო?" გაიცინა უცნობმა. "მოიცა, მოიცა, გარინჩა ვინ არისო?" ჰკითხა უცნობს გურის მამამ. "გარინჩა მსოფლიოში უდიდესი ფეხბურთელი იყო, თანაც შენსავით კოჭლობდაო", აუხსნა უცნობმა და გზა განაგრძო. მას შემდეგ თანასოფლელები გურის მამას გარინჩას ეძახდნენ და მასაც დიდად მოჰქონდა თავი.

_ რას ქსოვ მალია, არ მეტყვი? _ გაუმეორა კითხვა გურიმ. _ თან კიდევ ერთი თბილ-თბილი ღვეზელი გაიქანა პირისაკენ.

_ კაბას ვიქსოვ, კაბას, _ უპასუხა მალიამ.

_ კაბას რომ არ ჰგავს, ძალიან თხელია და გამჭვირვალე, შენ ეგ როგორ უნდა ჩაიცვა?

_ ჩავიცმევ ჩემო გური, აი ნახავ, მალე აქედან წავალ და სწორედ ეს კაბა მეცმევა.

ამასობაში მალიასთან სხვა ბავშვებიც შეგროვდნენ და მაგიდას შემოუსხდნენ. მალიაც დაბზრიალდა და კარადიდან ცხელ-ცხელი კატლეტები გადმოალაგა, თან ბუზღუნებდა: "ფანტაზია არ გყოფნით, რა სულ კატლეტი და ღვეზელი გინდათ, რამე სხვა მოიფიქრეთო".

_ სად წახვალ მალია, ჩვენგან წახვალ? _ გაფითრდა გური.

_ ჰო, სახლში წავალ.

_ განა ეს შენი სახლი არ არის? _ ბავშვები წამოიშალნენ.

_ კი ჩემი სახლია, მაგრამ დროებით. ჩემი ნამდვილი სახლი, სადაც სამასი წელი გავატარე, სხვაგანაა.

_ სამასი წელი? კი მაგრამ, რამდენი წლის ხარ მალია? _ ერთმანეთს ასწრებდნენ კითხვებს ბავშვები.

_ სამასოცდახუთის _ უპასუხა მალიამ, მაგრამ სამასი ჩურჩულით წარმოსთქვა, ოცდახუთი კი ომახიანად, იმ იმედით, რომ ზოგს შეიძლება მხოლოდ ოცდახუთი გაეგო. სამწუხაროდ პასუხი ყველამ შესანიშნავად გაიგონა.

_ წადით ახლა სახლში და დაიძინეთ, ზედმეტად ცნობისმოყვარეები ხართ. მეც დასვენება მინდა. ხვალ გელოდებით, ჩემი საყვარელი სადილით უნდა გაგიმასპინძლდეთ.

_ წავალთ მალია, მაგრამ ჩვენს სოფელს დიდი გველი შემოეჩვია, ბუჩქებში იმალება.

_ უკვე? სკარპია მოვიდა?

_ რა უკვე? _ გაიკვირვეს ბავშვებმა

_ ყური მიგდეთ პატარებო, როგორც კი გველს შენიშნავთ, საჩვენებელ თითს ზემოთ ასწევთ და ომახიანად წარმოსთქვამთ:

წადი გველო სკარპია,
თორემ მოვა მალია.
ავდარი თუ დარია,
შენ არ გაგიხარია.

გასაგებია? არც ერთი სიტყვა არ გამოგრჩეთ. ჩემი სახელის ხსენებაზე, გველი მიბრუნდება და გაგცილდებათ.

_ ბავშვები მალიას დაემშვიდობნენ და ბილიკს დაუყვნენ. სოფელს რომ მიუახლოვდნენ, დედაბერი სიდორა შემოხვდათ. სიდორა სოფლის განაპირას, მარტო ცხოვრობდა. უკარება ქალი იყო და ცოტა უცნაურიც. თანასოფლელებს, თავის მსუბუქი დაკვრით ესალმებოდა და არავისთან ურთიერთობა არ ჰქონდა. ბავშვების არ იყოს, სიდორაც მალიას ხშირი სტუმარი იყო. ოღონდ მათგან განსხვავებით, ის კატლეტებს კი არ მიირთმევდა, რაღაც ნაყენს სვამდა და როგორც თვითონ ამბობდა: “მალიასთან სტუმრობის შემდეგ, ძალა მიათკეცდებაო”.

_ მალიასგან მოდიხართ? გითხრათ, რომ ხვალ მიდის? _ იკითხა მოხუცმა.

_ ხვალ? _ ბავშვები დაიბნენ _ კი მაგრამ, რატომ?

_ რახან თვითონ არ მოგიყვათ, მე გაგანდობთ მის საიდუმლოს, უფრო სწორედ, ჩვენი სოფლის საიდუმლოს. _ სიდორა იქვე, ხის კუნძზე ჩამოჯდა, ბავშვებსაც ხელით ანიშნა დასხედითო და დაიწყო.

_ დიდებული იყო ადრე ჩვენი სოფელი. ულამაზესი სახლებითა და აყვავებული ბაღ-ვენახებით. მხიარული ხალხითა და უამრავი სტუმრებით. ხალხი შორეული ქვეყნებიდან ჩამოდიოდა, ჩვენი სოფლის სანახავად. ნამდვილი სასწაული იყო. სოფელს სახელიც ერქვა: “მზისკარი” და მართლაც მზესავით იყო გაბრწყინებული. ყველას ერთმანეთი გვიყვარდა და დღეში სამჯერაც რომ შევხვედროდით, პირზე კოცნით ვესალმებოდით.

_ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენს სოფელში მოფრინდა ულამაზესი არსება. არ ვიცი ფერია იყო, არ ვიცი ადამიანის მსგავსი პეპელა. მოკლედ ძალიან ლამაზი, ნაზი და მხიარული ვინმე იყო. სადღაც მიფრინავდა, ფრთა დაუზიანებია და ჩვენს სოფელში გაჩერდა რამოდენიმე დღით, (ფრთის მოსაშუშებლად, რა თქმა უნდა). თან გვთხოვა, საიდუმლოდ შეგვენახა მისი სტუმრობის ამბავი. “სკარპიამ თუ გაიგო რომ აქ ვარ, მომძებნის და მაშინ მისი მოკვლა მომიწევსო”. “სკარპია ვინ არისო?” ვიკითხეთ ჩვენ. “სკარპია ჩემი მეგობარია, ფრთა მან დამიზიანა, ამის გამო დედ-მამაჩემმა ქვეწარმავლად აქციეს. არა და მეცოდება. მე რომ ფრთას მოვიშუშებ და გავფრინდები, მისი ჯადოც მაშინ მოიხსნებაო”, გვიპასუხა გოგონამ.

ჩვენი სოფლის ერთ-ერთმა ყმაწვილმა, გოგონას პატარა, კოხტა სახლი აუშენა. სწორედ ის სახლი, სადაც მალია ცხოვრობს. მთელი სოფელი, თავის სტუმრებიანად დადიოდა მის სანახავად.

_ ხვალ მივფრინავ, _ სევდიანად გაგვიმხილა ერთ მშვენიერ დღეს გოგონამ. _ ფრთა უკვე მომიშუშდა.

_ რომ არ გაფრინდე და აქ დარჩე? _ ჰკითხა ერთ-ერთმა თანასოფლელმა ბიჭმა. გავხედე იმ სულელს და სახტად დავრჩი, ისეთი ანთებული თვალებით შესცქეროდა ფრთიან გოგონას, გეგონებოდა მთელი ცხოვრება მის სიყვარულში გაატარაო.

_ ვინ იყო ის ბიჭი, ჩვენ ვიცნობთ? _ იკითხეს ბავშვებმა.

_ იცნობთ, იცნობთ, მაგრამ სახელს ვერ გეტყვით.

_ მერე, მერე მოყევი რა სიდორა? _ სთხოვეს პატარებმა.

_ მერე რაღა გითხრათ, საშინელება დატრიალდა. იმავე ღამეს, როდესაც გოგონა-ფერიას ეძინა, ჩვენი ვაჟბატონი მიეპარა და ორივე ფრთა ნაჯახით მოაჩეხა. სისხლი ნაკადულივით მოედინებოდა ჭრილობებიდან. ძლივს გადავარჩინეთ მალია. თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ფერია-გოგონა მალია იყო. ბიჭი შეშინებული გაიქცა და ღმერთო, ეს რა ვნახეთ, ახლაც თვალწინ მიდგას. ბიჭი გარბოდა, უკან კი უზარმაზარი გველი მისდევდა, ერთი ნახტომიც და გადასანსლავდა.

_ სკარპია, არ გინდა, ყველაფერი ჩემი ბრალია, _ წამოიძახა გოგონამ. გველი გაჩერდა და ერთადერთი რაც გააკეთა, ფეხში სწვდა ბიჭს და უკბინა. უკბინა, მაგრამ რა უკბინა, ხორცი ლამის ძვლიანად ამოაგლიჯა და რაც მთავარია, კი არ გადაყლაპა, გადმოაფურთხა, “ნაგავი ხარ” _ ჩაისისინა და ბუჩქებში შესრიალდა. ამის შემდეგ დაკოჭლდა სწორედ..... (სიდორამ ენაზე იკბინა და პირზე ხელი აიფარა).

რამოდენიმე დღე გაუჩერებლად ტიროდა მალია.

_ როდის მეღირსება ფრთები, როდის დავბრუნდები სახლში? _ მოთქვამდა გო გონა. მეოთხე დღეს ჩვეულებრივ გაიღვიძა, ადგა, ღიმილით შემომანათა ლამაზი თვალები და მომმართა.

_ მივდივარ შენგან სიდორა. ტყეში უნდა დავსახლდე. აქ ყოფნის ნება არა მაქვს, ამ დღიდან თქვენი სოფელი დაწყევლილია. განმარტოებით უნდა ვიცხოვრო და ფრთები მოვიქსოვო, ასეთია დედ-მამაჩემის ბრძანება. ფრთების მოქსოვას კი, ყველაზე ცოტა, ოცდახუთი წელი დასჭირდება.

მალია მიბრუნდა და წავიდა. მას მერე ტყეში ცხოვრობს, დღე და ღამე ქსოვს და იმ დღეზე ოცნებობს, ფრთებს რომ მოირგებს და აქაურობას სამუდამოდ გაეცლება.

_ მერე ჩვენ არ მოვენატრებით? _ ცრემლნარევი ხმით იკითხა გურიმ.

_ რასაკვირველია მოენატრებით და ხანდახან გესტუმრებათ კიდეც, მაგრამ არა მგონია სოფელში შემოვიდეს, ეს ხომ დაწყევლილი სოფელია.

_ არ მინდა აქ ცხოვრება, მეც მალიას წავყვები და მასთან ერთად ვიცხოვრებ, _ უკვე ტირილზე გადავიდა გური.

_ მეც, მეც _ აყვნენ ბავშვები. სიდორას ჩაეღიმა.

_ არა ჩემო კარგებო, თქვენ აქ უნდა დარჩეთ, სოფელი უნდა ააშენოთ, სახელი და დიდება დაუბრუნოთ. თქვენ ხომ ბრწყინვალე “მზისკარის” შვილები ხართ. _ სიდორა მიბრუნდა და მალიას სახლისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა.

მეორე დღეს მალიამ ნამდვილი ნადიმი მოაწყო. სუფრასთან ბავშვები და სიდორა ისხდნენ. მალია ციბრუტივით ტრიალებდა, კარადიდან რა აღარ გამოჰქონდა, თან ღიღინებდა: “გასინჯეთ, გემრიელია,

ჩემი საყვარელი კერძია”.

მაგრამ ბავშვები საჭმელს პირს არ აკარებდნენ და სევდიანად აყოლებდნენ თვალს აქეთ-იქით მორბენალ მალიას.

კარზე კაკუნი გაისმა.

_ ნეტავ ვინ უნდა იყოს, ყველანი ხომ აქ ხართ? _ შეშფოთდა მალია _ მობრძანდით! _ კარი გაიღო, ზღურბლზე გარინჩა იდგა, ერთი ათად დაბერებული და გაჭაღარავებული.

_ თუ შეგიძლია, მაპატიე მალი ა, თუ არა და... _ გარინჩამ ნაჯახი დააგდო მალიას ფეხებთან, _ თუ არა და დამსაჯე, ეგებ მეც მოვისვენო.

_ არა, გარინჩა, აიღე ეგ ნაჯახი და წადი. მე შენ დიდი ხანია გაპატიე, სოფელსაც მოეხსნა წყევლა. ნახავ, დღეიდან ყველაფერი შეიცვლება _ ჩაიჩურჩულა მალიამ და შეყვარებული თვალები შეანათა მამაკაცს. გარინჩამ ერთადერთ ცრემლს ჩამოგორება არ აცალა, შებრუნდა და გასცილდა იქაურობას. სიდორა გაოგნებული შესცქეროდა ქალს.

_ მალია, შენ... გარინჩა, ამდენი წელი... _ ვეღარ დაამთავრა სიტყვა მოხუცმა, მასაც ტირილი ახრჩობდა. _ კი მაგრამ ხომ შეგეძლო სიყვარულზე უარი არ გეთქვა?

_ არა სიდორა, ჩემი დედ-მამა უარეს მდგომარეობაში ჩააგდებდა სოფელს, უდანაშაულო ხალხი დაიხოცებოდა და სოფელი აღარ იარსებებდა. მე ჩემი ვალი მოვიხადე და სკარპიასთან ერთად მივდივარ. _ მალია მიბრუნდა, საწოლზე მიგდებული ნაქსოვი აიღო, გადაიცვა და ჰოი, საოცრებავ. მათ წინ მალია კი არ იდგა, რომელიც გემრიელ კატლეტებს ამზადებდა და მუდამ ბუხართან იჯდა საქსოვით ხელში. ეს იყო ულამაზესი, ფერიის მსგავსი არსება. ასეთი სილამაზე ბავშვებს არასოდეს ენახათ.

_ მშვიდობით ბავშვებო, მშვიდობით სიდო რა, მშვიდობით ჩემო სიყვარულო. _ მალია შებრუნდა, ფანჯარას მიუახლოვდა, გამოაღო და გაფრინდა. ყველანი კარებს მისცვივდნენ და ფერიას ეძებდნენ თვალებით.

_ მოედნისაკენ, სოფლის მოედნისაკენ წავიდეთ. იქ ჩამოფრინდა ოცდახუთი წლის წინ და ალბათ იქიდანვე გაფრინდება. _ წამოიძახა სიდორამ. ბავშვები გაიქცნენ. სოფლის ცენტრში მეზობლებს მოეყარათ თავი და ცისკენ მიეპყროთ მზერა.

_ იქ არის, იქ _ ყვიროდა ხალხი _ მალია, დარჩი ჩვენთან, გვაპატიე და დარჩი, ისევე ვიცხოვრებთ, როგორც ვცხოვრობდით, ოღონდ დარჩი. _ მალია ფეხი-ფეხზე გადადებული იჯდა ღრუბელზე და კისკისებდა, თვალები კი საოცრად სევდიანი ჰქონდა.

_ ყველანი მიყვარხართ, აქ არის ჩემი მეორე სახლი, ვეცდები დავბრუნდე. _ მალია შებრუნდა და ფრთების ნაზი რხევით გაფრინდა, უკან სკარპია მიჰყვებოდა, სკარპიაც ფრთიან ადამიანად ქცეულიყო და ამაყად მიაპობდა ღრუბლიან ცას.

ყველაფერი დამთავრდა, სოფლის მაცხოვრებლები, მაინც კმაყოფილნი, ნელ-ნელა უბრუნდებოდნენ თავ-თავის საცხოვრებლებს.

ერთადერთი გარინჩა იჯდა სახლში მარტო და ცხარე ცრემლით ტიროდა. არა, კი არ ტიროდა, ხანდახან მხეცივით დაიღრიალებდა და შემდეგ ისევ ჩუმ ქვითინზე გადადიოდა.

უცაბედად კარი გაიღო, გარინჩამ უაზროდ გაიხედა. ზღურბლზე სიდორა იდგა, მას უკან კი ბავშვების მთელი არმია მოჰყვებოდა. სტუმრებს გური გამოეყო.

_ ერთად დაველოდოთ მალიას.

ამ დღიდან მოყოლებული გარინჩას სახლში შუქი არ ჩამქრალა.